

24 საათი

"24 საათის" ფიქიანი ნომერი

*2424

საქართველოს საბარძო სავაჭრო ბრუნვა 2008 წელს გაიზარდა

A4



CIA-ის თვითმფრინავი ნარკოტიკების არაღებულარი ტრანსპორტირებისთვის გამოიყენებოდა

A6



პრემიერი და კრიზისი

A10



"მექანიკური ცვლილება"



საქართველოს ახალი პრემიერ-მინისტრი ჰყავს. გუშინ გრიგოლ მგალობლიშვილმა თანამდებობის დატოვება ჯანმრთელობის მდგომარეობით და მკურნალობის საჭიროებით ახსნა. გუშინვე საქართველოს პრეზიდენტმა მთავრობის წევრებს პრემიერ-მინისტრის პოსტზე პირველი ვიცე-პრემიერისა და ფინანსთა მინისტრის ნიკა გილაურის კანდიდატურა წარუდგინა. ფინანსთა მინისტრად კახა ბაინდურაშვილი დაინიშნა. პრეზიდენტი საკადრო ცვლილებებს მთავრობის სტაბილური მუშაობის აუცილებლობით ხსნის, არასაპარლამენტო ოპოზიცია - ხელისუფლების რიგებში პიროვნული დაპირისპირებით.

გუშინ პრემიერ-მინისტრმა გრიგოლ მგალობლიშვილმა პრემიერ-მინისტრის თანამდებობიდან გადადგომის შესახებ სპეციალური განცხადება გააკეთა. მისი თქმით, ეს გადაწყვეტილება ჯანმრთელობის მდგომარეობიდან გამომდინარე მიიღო, რადგან ახლაც ინტენსიურ მკურნალობას გადის.

"დღეს, როდესაც მთელი ჩვენი ძალისხმევა მიმართულია იმისკენ, რომ დავძლიოთ მსოფლიო ეკონომიკური კრიზისისა და რუსული აგრესიის შედეგად გამოწვეული პრობლემები, შევიწინააღმდეგოთ სამუშაო ადგილები, მე, როგორც საქართველოს პრემიერ-მინისტრი, ბოლო ერთი თვის განმავლობაში რამდენჯერმე ვიმყოფებოდი სამკურნალოდ," - გან-

მარტა მგალობლიშვილმა და აღნიშნა, რომ, ექიმების დასკვნით, კიდევ ორი თვის განმავლობაში ინტენსიური მკურნალობა ესაჭიროება.

"დღეს საქართველოს არა აქვს იმის ფუფუნება, რომ ქვეყნის პრემიერ-მინისტრი სამი თვის განმავლობაში არ იყოს ჩვეულ სამუშაო ფორმაში. დღეს ქვეყანას სჭირდება მთავრობა და პრემიერ-მინისტრი, რომელიც შეძლებს ოცდაოთხსაათიან რეჟიმში მუშაობას," - განაცხადა მგალობლიშვილმა. ყოფილმა პრემიერმა მიხეილ სააკაშვილს და მთავრობის წევრებს მადლობა გადაუხადა თანადგომისთვის და იმ ნდობისთვის, რომელიც მას გამოუცხადეს ბოლო რამდენიმე თვის განმავლობაში.

გუშინ საღამოს, მგალობლიშ-

ვილის გადადგომის შემდეგ გამართულ მთავრობის სხდომაზე, საქართველოს პრეზიდენტმა განაცხადა, რომ მთავრობას "თუნდაც ერთი დღის გაცდენის ფუფუნება არა აქვს."

მისი თქმით, "დღეს საქართველოს გარშემო დიდი ეკონომიკური ქარიშხალია," გადასაჭრელია ომისა და მსოფლიო კრიზისის მიზეზით შექმნილი პრობლემები. შესაბამისად, პრეზიდენტის განცხადებით, მთავრობა "სამხედრო შტაბის რეჟიმში" უნდა მუშაობდეს.

სააკაშვილის განცხადებით, "ყველა მეზობელ ქვეყანას ეკონომიკის შემცირებას და ზოგს ჩამოშლას უწინასწარმეტყველებენ."

ბაზრქობა A3 გვერდზე

რუსეთი აფხაზეთში თავის სამხედრო ყოფნას აძლიერებს

რუსეთმა შავ ზღვაზე სასწრაფოდ უნდა იპოვოს ახალი პორტი

იუზუპოვი გორსკი, ჭიშის ბლინი "ფინანსთა მინისტრი"

რუსეთმა გაააქტიურა თავისი გეგმების რეალიზების პროცესი, რაც საქართველოს შემადგენლობიდან გასულ აფხაზეთის რეგიონში თავისი სამხედრო ყოფნის გაძლიერებას და იქ საავიაციო დაჯგუფების, აგრეთვე სამხედრო-საზღვაო ბაზის აშენებას ითვალისწინებს.

ეს მოსკოვის მორიგი ნაბიჯია, რომელიც ნატო-ს სერიოზულ შემოჭრებას იწვევს. ალიანსის წევრი ქვეყნები ამ ქმედებას აფასებენ, როგორც რუსეთის მცდელობას, თავისი შეიარაღებული ძალები საკუთარი საზღვრების გარეთაც განათავსოს. ბრიუსელში ასევე მიიჩნევენ, რომ რუსეთი ასეთი ქმედებებით ავსტრალიაში საქართველოს ტერიტორიაზე შეჭრისა და აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის დამოუკიდებ-

ლობის აღიარების შემდეგ კიდევ უფრო მეტად არღვევს საქართველოს სუვერენიტეტს.

მიუხედავად ამისა, ამ ამბებმა, საეჭვოა, გავლენა მოახდინოს რუსეთსა და ნატო-ს შორის ურთიერთობების გაუმჯობესებაზე, რაც ბოლო პერიოდში შეინიშნება. ჩრდილოატლანტიკურმა ალიანსმა მიანიშნა, რომ თავის რიგებში საქართველოსა და უკრაინის მიღების გეგმას ყინავს. რუსეთმა კი ამ კვირაში, როგორც ჩანს, უარი თქვა პოლონეთის საზღვრის მახლობლად "ისკანდერების" განთავსებაზე.

ამასთან, ნატო-ს გენერალურ მდივანს იან დე ჰოოპ სხეფერს განზრახული აქვს, აფხაზეთში ბოლო დროს განვითარებული მოვლენები რუსეთის პრემიერ-მინისტრის მოადგილე სერგეი ივანოვთან შეხვედრის დროს განიხილოს, რაც ნატო-ს შემოჭრების ნიშნად შეიძლება ჩაითვალოს.

ბაზრქობა A3 გვერდზე

ინსტიტუტი დაპროსბი

თურქეთის პრემიერი VS ისრაელის პრეზიდენტი

ბათუნა ბაზიანი

შვეიცარიის საკურორტო ქალაქ დავოსში მიმდინარე მსოფლიო ეკონომიკური ფორუმი პოლიტიკური დებატების ასპარეზად იქცა. დიპლომატიური ინციდენტის ავანსცენაზე კი ისრაელის პრეზიდენტი შიმონ პერესი და თურქეთის პრემიერ-მინისტრი რეჯეპ ტაიპ ერდოღანი აღმორჩნდნენ. დებატები ღაზის სექტორში ისრაელის შეიარაღებული ძალების მიერ განხორციელებული ანტიტერორისტული ოპერაციის შესახებ გაერო-ს გენერალურ მდივან ბან კი მუნის თხოვნას მოჰყვა - პალესტინურ ანკლავში მცხოვრები მოსახლეობისთვის მსოფლიო ლიდერებს გაელოთ შემოწმება.

ტრიბუნაზე ასულმა ისრაელის პრეზიდენტმა, დაახლოე-

ბაზრქობა A8 გვერდზე

24 საათი

"24 საათის" ელექტრონული ვერსია იხილეთ Web-გვერდზე www.24saati.ge

ჩვენი პარტნიორები:

თიბისი ბანკი TBC BANK
BORJOMI ბორჯომი
GRDC group
ჰი ჰი ჰი
მინის სადაზღვეო ჯგუფი

მსოფლიო ბანკის გეგმები საქართველოში

ქვეყანაში ეკონომიკური ვითარების გაუმჯობესებასა და ახალი სამუშაო ადგილების შექმნის საკითხებზე საქართველოს ეკონომიკური განვითარების მინისტრმა ლამა ჟვანიამ და ევროპისა და აზიის რეგიონში მსოფლიო ბანკის ვიცე-პრეზიდენტმა შიგეო კაცუმ ისაუბრეს.

წლის ბოლომდე მსოფლიო ბანკი ეკონომიკური განვითარების სამინისტროსთან ერთად საქართველოში რამდენიმე ინფრასტრუქტურულ პროექტს განახორციელებს. შეზღუდვის შემდეგ ლამა ჟვანიამ განაცხადა, რომ საუბარი იყო მსოფლიო ბანკთან სამომავლო თანამშრომლობაზე. "ჩვენ შევთანხმდით თანამშრომლობის სხვადასხვა მიმართულებებზე, რომლებსაც მსოფლიო ბანკისგან ველოდებით ქვეყანაში დამატებითი სამუშაო ადგილების შესაქმნელად. მსოფლიო ბანკი სოფლებსა და პატარა ქალაქებში სპეციალური ჯგუფების ჩამოყალიბებასა და ტრენინგების ჩატარების საკითხში დახმარებას დაგვპირდა," - განაცხადა ლამა ჟვანიამ. მისივე თქმით, მოქალაქეები, რომლებსაც ინფრასტრუქტურულ პროექტებში დასაქმება სურთ, საქმეს წინასწარ შეისწავლიან.

შეგეო კაცუს შეფასებით კი, საქართველო ეკონომიკური განვითარების თვალსაზრისით წინ მიდის.

"შეზღუდრა ძალიან სასარგებლო იყო. საქართველო განვითარების თვალსაზრისით წინ მიდის და ქმნის ძალიან მნიშვნელოვან ბიზნესგარემოს პრივატიზაციისა და ინფრასტრუქტურის მიმართულებით. ეკონომიკის განვითარების საკითხში ჩვენი ხედვები ერთმანეთს დაემთხვა," - აღნიშნა შიგეო კაცუმ. **24 საათი**

ეკა ბესელია "თავისუფლების ინსტიტუტის" წინააღმდეგ

გუშინ, "მოძრაობა ერთიანი საქართველოსთვის" ლიდერმა ეკა ბესელიამ ბრიფინგი გამართა. ბესელიამ ისაუბრა პრეზიდენტისა და მართლმადიდებელი ეკლესიის ურთიერთობაზე და განაცხადა, რომ ეს თემა მისი პარტიისთვის განსაკუთრებით მნიშვნელოვანია. ბესელიას თქმით, ხელისუფლება მიზანმიმართული პოლიტიკით ცდილობს ქართული ცნობიერების გადაფასებას და იმ საქმისთვის, რასაც ის თვითონ ვერ განახორციელებს ამკარად, იყენებს "თავისუფლების ინსტიტუტს". "მოძრაობა ერთიანი საქართველოსთვის" ლიდერი შეეხო ასევე სატელევიზიო გადაცემა "დიდი ათეულის" ჯერ დახურვას და შემდეგ ისევ განახლება და განაცხადა რომ ეს ემსახურებოდა საპატრიარქოს რეპუტაციის შელახვას.

"**საქართველოს ხელისუფლება მიზანმიმართული პოლიტიკით ცდილობს ქართული ცნობიერებისა და ფასეულობების განადგურებას. ცხადია მისი ფარისევლური დამოკიდებულება მართლმადიდებლური ეკლესიისა და ერის სულიერი წინამძღოლის ილია მეორის მიმართ. ყველაზე უკეთ სააკაშვილმა იცის, რომ არა უწინდების სასულიერო და სამოქალაქო აქტივობა, საქართველო სისხლისღვრას, ხოლო თავად პრეზიდენტი ხალხისგან ჩაქოლვას ვერ ასცდებოდა. ის იძულებულია ღიად არ დაუპირისპირდეს პატრიარქს, მაგრამ მართლმადიდებლობის წინააღმდეგ მიმართული შავ-ბნელი ზრახვები ეგრეთ წოდებულ არასამთავრობო ორგანიზაციას - "თავისუფლების ინსტიტუტს" გაახმოვანებინოს. საპატრიარქოს ღიად დისკრედიტირებას ემსახურება "თავისუფლების ინსტიტუტის" კრიტიკული დამოკიდებულება ბაგრატიონთან ქორწინებისა და კონსტიტუციური მონარქიის დამყარების თაობაზე. სატელევიზიო გადაცემა "დიდი ათეულის" დახურვა და შემდგომ განახლება ემსახურება საპატრიარქოს რეპუტაციის შელახვას. პოლიტიკური გაერთიანება "მოძრაობა ერთიანი საქართველოსთვის" უწყევად დგას პატრიარქის გვერდით, "თავისუფლების ინსტიტუტს" კი შეახსენებს, რომ ცნება "თავისუფლება", სხვა არაფერია, თუ არა საკუთარ თავში, საკუთარ ნებაში უფლის მცნებების აღსრულება და იგი საზოგადოების თვალის ასახვევად არასამთავრობო ორგანიზაციის "აბრევიატურად" და საპატრიარქოს წინააღმდეგ არ უნდა გამოიყენონ," - განაცხადა ეკა ბესელიამ. **24 საათი****

ბალათურია კონკრეტული გეგმის შემუშავებას ითხოვს

გუშინ ჯონდი ბალათურია პარლამენტში საგანგებო ბრიფინგი გამართა. პარლამენტარი არასაპარლამენტო ოპოზიციის მემორანდუმს უერთდება. ამასთან, ის მემორანდუმის ხელმოწერა პარტიებს სთავაზობს, რომ დაუყოვნებლივ შემუშავდეს სამოქმედო გეგმა. მისი თქმით, თუკი პრეზიდენტი არ გადაადგება, სასიცოცხლოდ აუცილებელია, გაინეროს კონკრეტული სამოქმედო გეგმა. **ჯი-ეიჩ-ენი**

ცხინვალის ევროსაბჭოს რეზოლუცია შეაფასა

ცხინვალის ინფორმაციისა და ბეჭდვითი სიტყვის ე.წ. კომიტეტი იუწყება, რომ მარიონეტული რეჟიმის პარლამენტის თავმჯდომარემ იური ძინოითმა საპარლამენტო ასამბლეის რეზოლუციის კომენტარებისას აღნიშნა, რომ ევროსაბჭოს საპარლამენტო ასამბლეის რეზოლუცია არანაირ როლს არ თამაშობს და გადაწყვეტილებას სარეკომენდაციო ხასიათი აქვს. ძინოითმა განმარტა, რომ "სამხრეთ ოსეთის ტერიტორიაზე რუსი სამხედროების ყოფნა აბსოლუტურად კანონიერია. ეს რუსეთსა და სამხრეთ ოსეთს შორის "შეგვიძრების, თანამშრომლობისა და ურთიერთდახმარების შეთანხმების" შედეგია. **პირველი**

დაპირისპირება ქუთაისის მთავარი საფინანსო ბაზრის ბაზრში

მაია მისხვარიშვილი

კომენტარი

ქუთაისის საკრებულომ ქალაქის 2009 წლის მთავარი საფინანსო გეგმა ამ კვირის ბოლომდე უნდა დაამტკიცოს. ამისათვის პირველი სხდომა ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენლობითმა ორგანომ გუშინ უკვე გამართა. წარმოდგენილი პროექტის თანახმად, ქალაქის ბიუჯეტი წელს 40 273 900 ლარით განისაზღვრება. აქედან ქალაქის ადგილობრივი შემოსავლები მხოლოდ 11 მილიონ ლარს შეადგენს. დანარჩენი თანხა ქუთაისმა ცენტრალური ბიუჯეტიდან და საერთაშორისო ორგანიზაციებიდან უნდა მიიღოს ტრანსფერებისა და სუბსიდიების სახით.

იმის გამო, რომ ქუთაისში ადგილობრივი შემოსავლების დეფიციტია, ქალაქის ბიუჯეტი უკანასკნელი წლების მანძილზე მუდმივად დოტაციურია. მაგალითად, შარშან ქუთაისის ბიუჯეტმა 53 364 900 ლარი შეადგინა, აქედან ადგილობრივი თვითმმართველობის შემოსავლები მხოლოდ 12 702 400 ლარი გახლდათ.

"ქუთაისში ადგილობრივი შემოსავლების ძირითადი წყარო გახლავთ: ქონების გადასახადი, სათამაშო ბიზნესის მოსაკრებელი, საჯარიმო სანქციებით მიღებული შემოსავლები და დასუფთავების მოსაკრებელი. ეს არის კატასტროფა ქალაქისთვის," - ამბობს "ახლებისა" და "რესპუბლიკელების" ალიანსის ლიდერი ქუთაისში მამუკა მღვდელიძე.

ქუთაისის თვითმმართველობა ადგილობრივი შემოსავლების შემცირებას საერთო ეკონომიკურ კრიზისს უკავშირებს.

"2009 წელს ველოდებით, რომ მკვეთრად შემცირდება პრივატიზაციიდან მიღებული შემოსავლები. სექტემბრის შემდეგ ორჯერ გავიტანეთ

აუქციონზე გასაყიდად 15 საუკეთესო ობიექტი ქუთაისში და ვერ გავყიდეთ. არადა, ამ ობიექტების პრივატიზაციის კუთხით ბიუჯეტის შემოსავლებში 3 მილიონ 300 ათასი ლარი გვაქვს ჩასმული," - ამბობს ქუთაისის მერი ნუგზარ მამუგია.

"ახლებისა" და "რესპუბლიკელების" ალიანსის წარმომადგენლების თქმით, ქალაქის მწირი შემოსავლების ფონზე მკვეთრად იზრდება ადგილობრივი თვითმმართველობის ხარჯები: "მაგალითად, 2007 წელთან შედარებით, 2009 წელს თვითმმართველობაში დასაქმებულთა რაოდენობა 45,5 პროცენტითაა გაზრდილი, მათი შრომის ანაზღაურება კი - 54,5 პროცენტით და ის 3 მილიონ ლარზე მეტს შეადგენს. დაახლოებით, 300 ათასი ლარია ჩასმული შტატგარეშე თანამშრომლებისთვის, რაც საერთოდ ახალი პუნქტია ქუთაისის ბიუჯეტში. თვითმმართველობის ტრანსპორტის მოვლა-პატრონობისა და ექსპლუატაციის ხარჯები 44,5 პროცენტით იზრდება მაშინ, როცა მსოფლიოში სანჯავის ფასი 3-ჯერ, საქართველოში კი - 2-ჯერ შემცირდა," - ამბობს მამუკა მღვდელიძე.

"ეს ხელისუფლება როგორ მუშაობს, ამაზე მარტო იმიტაც შეიძლება ვიმსჯელოთ, რომ სასამართლო პროცესების ნაგების გამო, ბაჟის სახით, ბიუჯეტიდან გასულ წელს 200 ათასი ლარი დაიხარჯა, წელს კი ამისთვის 100 ათასი ლარი აქვთ ჩასმული. პარადოქსია ისიც, რომ ამ კრიზისის ფონზე, 120 ათასი ლარი აქვთ გამოყოფილი უპატრონო ცხოველების იზოლაციისთვის. ხოლო მაშინ, როცა შინაგან საქმეთა სამინისტროს 300-მილიონიანი ბიუჯეტი აქვს, გაუგებარია, რატომ უნდა გამოიყოს პოლიციისთვის კიდევ დამატებით თანხები ქუთაისის ბიუჯეტიდან," - ამ-

ბობს ქუთაისის საკრებულოს "ლეიბორისტი" დეპუტატი სამსონ გუგავა.

ქუთაისის თვითმმართველობაში ირწმუნებიან, რომ საბიუჯეტო ხარჯები მოსახლეობის ინტერესების სრულად გათვალისწინებით შედგა.

"ჩვენ განვახორციელეთ პროექტი - "ბიუჯეტი ხალხთან ერთად", რომლის ფარგლებშიც მოსახლეობის ანკეტური გამოკითხვა ჩატარდა და ბიუჯეტიც უსუსტად ისე შევადგინეთ, რისი დაფინანსებაც მოსახლეობამ მოითხოვა," - ამბობს საკრებულოს უმრავლესობის ლიდერი კახა ნემსინვერიძე.

საინტერესოა ის ფაქტი, რომ ზემოთ აღნიშნული პროექტის - "ბიუჯეტი ხალხთან ერთად" - ფარგლებში, ქუთაისში, სულ რაღაც, 334 დამაინი გამოკითხვა და თანაც, ეს გამოკითხვა რომელიმე კვალიფიციურ საზოგადოებრივი აზრის კვლევით ორგანიზაციას არ ჩაუტარებია. ანკეტების რაოდენობა-შეესება, ადგილობრივი თვითმმართველობის დავალებით, უზრუნველყვეს მერის რწმუნებულებმა ტერიტორიული მართვის ორგანოების მიხედვით. ანკეტაში სულ 16 საკითხი იყო შეტანილი. ანკეტების უბრალო არითმეტიკული კალკულაციით, თვითმმართველობამ დაადგინა, რომ გამოკითხულთა უმეტესობამ პრიორიტეტულად მიიჩნია საბიუჯეტო სახსრებით გარე განათების საკითხის მოწესრიგება, წყალმომარაგების პრობლემა, გზების მშენებლობა, კორპუსების გადახურვა და საკანალიზაციო ქსელის რეაბილიტაცია. საინტერესოა ის ფაქტი, რომ მაშინ, როცა მნიშვნელოვნად შემცირდა ქვეყნის მასშტაბით ჯანდაცვის პროგრამების დაფინანსება, ქუთაისის თვითმმართველობის მიერ ჩატარებული გამოკითხვის თანახმად, სამედიცინო დახმარების პროგრამების დაფინან-

სების მოთხოვნას მხოლოდ მე-7 პოზიცია ხვდა წილად და მედიკამენტების პროგრამას - მე-11 ადგილი.

ბიუჯეტის განხილვა-დამტკიცებაში მონაწილეობაზე პროტესტის ნიშნად უარი განაცხადა საკრებულოს "ლეიბორისტი" დეპუტატმა სამსონ გუგავამ.

"ამ ფარსში მონაწილეობას არ მივიღებ, რადგან ეს ბიუჯეტი შედგა სადღაც იატაკქვეშეთში და მე, პირადად, ეს პროექტი მხოლოდ 5 დღის წინ ვიხილე, არადა, უმრავლესობის წევრები გვიმტკიცებენ, რომ ამ ბიუჯეტზე თურმე ორი თვეა მიდის მუშაობა ხალხთან ერთად," - ამბობს სამსონ გუგავა.

ქუთაისის თვითმმართველობაში აცხადებენ, რომ საჭიროებებიდან გამომდინარე შესაძლებელი იქნება ბიუჯეტში ცვლილებების შეტანა.

"გასულ წელს ჩვენ 17 ცვლილება შევიტანეთ ბიუჯეტში, რადგან იზრდებოდა შემოსავლები და ამის საშუალება გვქონდა," - ამბობს ქუთაისის მერი. მისივე თქმით, წელს ქუთაისის ბიუჯეტი, საერთო ჯამში, 85 მილიონ ლარს მიაღწევს: "დამატებით 20 მილიონი ლარი გამოიყოფა ცენტრალური ბიუჯეტიდან რეკონსტრუქციის პროექტის გაგრძელებისთვის; 19 მილიონი ლარი დაიხარჯება ავტოქარხნის დასახლებაში ინფრასტრუქტურის რეაბილიტაციისთვის; 6 მილიონი ლარის სამუშაოები კი განხორციელდება წყლის სისტემის რეაბილიტაციის პროგრამის ფარგლებში," - ამბობს ნუგზარ მამუგია.

ქუთაისის 2009 წლის ბიუჯეტის დამტკიცებას საკრებულოში ამ კვირის ბოლომდე ვარაუდობენ. აღსანიშნავია, რომ 2006 წელს ქალაქის ბიუჯეტმა 27 მილიონი ლარი შეადგინა, 2007 წელს - 40 მილიონი, 2008 წელს კი - 54 მილიონი ლარი.

რექტორთა მუდმივმოქმედი კონფერენცია

მარი ახსიაშვილი

საქართველოს უნივერსიტეტების რექტორთა მუდმივმოქმედი კონფერენცია დაარსდა. ეს არის უნივერსიტეტების ნებაყოფლობითი გაერთიანება. კონფერენციაზე ყველა უნივერსიტეტს მისი რექტორი წარმოადგენს. კონფერენციის მონაწილე უნივერსიტეტები შიდასაუნივერსიტეტო პოლიტიკას და სტრატეგიას ერთმანეთისაგან დამოუკიდებლად განსაზღვრავენ და ახორციელებენ, მაგრამ გამოხატავენ შეთანხმებულ პოზიციას ისეთ საკითხებზე, რომელიც ეხება საქართველოში უმაღლესი განათლების და კვლევის პოლიტიკას და სტრატეგიას.

მუდმივმოქმედი კონფერენცია საქართველოს რვა უნივერსი-

ციის თავმჯდომარე ექვსი თვის განმავლობაში იქნება კონფერენციის დამაარსებელი ერთ-ერთი უნივერსიტეტის რექტორი. "ჩვენი სურვილია, რომ საერთო პოზიცია გვქონდეს და საერთო შეთანხმებული გეგმით ვმოქმედებდეთ, როდესაც ლაპარაკია უმაღლესი განათლების პოლიტიკაზე და სტრატეგიაზე და მის განსაზღვრებაზე" - განაცხადა ჩვენთან საუბრისას მუდმივმოქმედი კონფერენციის პირველმა თავმჯდომარემ, ილია ჭავჭავაძის სახელმწიფო უნივერსიტეტი (რექტორი - გიგი თევზაძე), საქართველოს სახელმწიფო უნივერსიტეტი (რექტორი - ვიკტორია გოცირიძე), თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტი (რექტორი - გიორგი მენაბდე), ილია ჭავჭავაძის სახელმწიფო უნივერსიტეტი (რექტორი - გიგი თევზაძე), საქართველოს სახელმწიფო უნივერსიტეტი (რექტორი - ვიკტორია გოცირიძე), გელა ჯავახიშვილი), საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი, შოთა რუსთაველის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტი (რექტორი - ალიოშა ბაკურიძე).

მუდმივმოქმედი კონფერენ-

ციის თავმჯდომარე ექვსი თვის განმავლობაში იქნება კონფერენციის დამაარსებელი ერთ-ერთი უნივერსიტეტის რექტორი. "ჩვენი სურვილია, რომ საერთო პოზიცია გვქონდეს და საერთო შეთანხმებული გეგმით ვმოქმედებდეთ, როდესაც ლაპარაკია უმაღლესი განათლების პოლიტიკაზე და სტრატეგიაზე და მის განსაზღვრებაზე" - განაცხადა ჩვენთან საუბრისას მუდმივმოქმედი კონფერენციის პირველმა თავმჯდომარემ, ილია ჭავჭავაძის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორმა გიგი თევზაძემ.

თევზაძის თქმით, კონფერენციის წევრები უახლოეს მომავალში აპირებენ, უმაღლესი განათლების და კვლევის სტრატეგიაზე განაცხადის გაკეთებას და საქართველოს მთავრობისთვის რეკო-

მენდაციის მიცემას.

"ვცინდა, რომ ერთად ვითანამშრომლოთ მთავრობასთან, აქ ლაპარაკია საქართველოში განათლების რეფორმაზე. ეს არის ჩვეულებრივი მუდმივმოქმედი კონფერენცია რექტორების, რომელიც ევროპის ყველა ქვეყანაშია და რომელიც ძალიან ეფექტურად მუშაობს," - აღნიშნა გიგი თევზაძემ.

კონფერენციის წევრ უნივერსიტეტებს შორის არ არის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი. ილია ჭავჭავაძის უნივერსიტეტის რექტორის განცხადებით, კონფერენცია ღიაა ყველა - როგორც სახელმწიფო, ისე კერძო უმაღლესი სასწავლებლებისთვის.

კონფერენციის ახალი წევრები მიიღება დამაარსებელი უნივერსიტეტის რექტორების კონსენსუსით.

გაზეთი "24 საათის" გამოცემაში შპს "მეზა". რედაქტორ-გამომცემელი: მამუკა ფარუშაშვილი, პაატა მუხაშვილი.

რედაქცია: სოფიო წახიძე (მთავარი რედაქტორი), ლევან ღირსიაშვილი (მმართველი რედაქტორი). რედაქტორები: მაია ჭალავანიძე (საზოგადოება, Weekend), ინგა ალავეცი (სამართალი), დავით ნინიკაშვილი (ბიზნესი),

სოფო კილაშვილი (რეგია), კახა ფარუშაშვილი (სპორტი). **რედაქცია და მარკეტინგის მენეჯერი:** ირაკლი ლეკვაძე ტელ: 899 22 09 49. **კომპიუტერული ტექნიკა:** თამაზ ჩხაიძე (მენეჯერი), დიმიტრი შალვაშვილი, თენგიზ ქირია, ნინო ყავლაშვილი

რედაქციის მისამართი: თბილისი, 01-86. ირაკლი გამრეკელი ქ.51. ტელ: 20-24-24, 31-91-03 (06, 07), 31-93-90 (91). ფაქსი: 31-93-86. ელ-ფოსტა: public@24hours.ge

"მეჩანიკური ცვლილება"

პირველი გვერდიდან

ამ პირობებში საერთაშორისო სავალუტო ფონდი საქართველოსთან მიმართებაში ზრდის პროგნოზს აკეთებს, "მაგრამ ამას სჭირდება სტაბილურობა, დღე და ღამე მუშაობა, დისციპლინირებული და კოორდინირებული საქმიანობა."

როგორც სააკაშვილმა განაცხადა, მთავრობასთან და საპარლამენტო უმრავლესობასთან კონსულტაციების შემდეგ გადაწყდა, რომ პრემიერის დანიშნვის გარდა, მთავრობაში სხვა ცვლილებები არ განხორციელდება. "საქართველოს მთავრობას სტაბილურობა და მშვიდად მუშაობა სჭირდება," - განაცხადა პრეზიდენტმა.

მისი თქმით, გილაურის დანიშვნით "პრაქტიკულად მექანიკური გადაადგილება ხდება," - პრემიერის სავარძელს პირველი ვიცე-პრემიერი იკავებს, ფინანსთა მინისტრის გადათავისუფლებულ თანამდებობას კი - მისი პირველი მოადგილე კახა ბაინდურაშვილი.

მიხეილ სააკაშვილმა გაიხსენა გილაურის, როგორც ენერგეტიკის ყოფილი მინისტრის წვლილი ენერგეტიკული კრიზისის მოგვარებაში. "დღეს ქალაქებსა და სოფლებში ხალხი ტელევიზორს რომ უყურებს და შუქი რომ ანთია, ეს გილაურის პირადი დამსახურებაა." მან ასევე გაიხსენა საბიუჯეტო შემოსავლების რამდენჯერმე გაზრდა მას შემდეგ, რაც გილაური ფინანსთა მინისტრად დაინიშნა.

პრეზიდენტმა ახალი ფინანსთა მინისტრიც შეაქო. მისი თქმით, კახა ბაინდურაშვილის დამსახურებაა საგადასახადო და საბაჟო სამსახურის საქმიანობის გაუმჯობესება.

არასაპარლამენტო ოპოზიცია პრემიერის გადადგომას მწვავე შეფასებებით გამოეხმაურა. პრემიერ-მინისტრის მიერ თანამდებობის დატოვება ხელისუფლების აგონიაში ყოფნაზე მიუთითებს - ამის შესახებ სააკაშვილმა "ჯი-ეიჩ-ენს" პარტია "საქართველოს გზის" ლიდერმა სალომე ზურაბიშვილმა განუცხადა.

"დღეს ერთადერთი გამოსავალი ამ ხელისუფლების გადადგომაა. მაგლობლიშვილთან დაკავშირებული მოვლენები სირცხვილია, ხოლო მის თანამდებობაზე ნიკა

გილაურის დანიშვნა - კიდევ უფრო დიდი სირცხვილი," - განაცხადა ზურაბიშვილმა.

როგორც სააკაშვილმა "რესპუბლიკური პარტიის" წევრმა დავით ზურაბიშვილმა განუცხადა, გრიგოლ მგალობლიშვილის გადადგომის რეალური მიზეზი სააკაშვილთან შეუთავსებლობა გახდა. "ჩვენს ქვეყანაში პრემიერ-მინისტრობა ფიქცია რომ არის, ეს ცხადია, ანუ პრემიერის თანამდებობა ზურაბ შვანიას შემდეგ არ არსებობს. ხელისუფლებაში ყოფნა ერთგვარი "ღირსების ტესტია", დღეს ქვეყანაში ყველაფერს სააკაშვილი და მერაბიშვილი მართავენ," - განაცხადა ზურაბიშვილმა.

საკუთარი ინფორმაცია

"ლეიბორისტების" პროტესტი

"ლეიბორისტული პარტიის" წარმომადგენლები სალიცენზიო, კერძო დაცვის საქმიანობის და სანებართვო მოსაკრებლის შესახებ კანონში შესატან ცვლილებებს პროტესტებენ. პარტიის იდეოლოგიურმა მდივანმა კახა ძაგანამ გუშინ გამართულ პრესკონფერენციაზე განაცხადა, რომ ამ კანონებში შესატან ცვლილებებს პარლამენტი საგაზაფხულო სესიაზე განიხილავს. მისი თქმით, პარლამენტში განსახილველად წარმოდგენილი ცვლილებათა პროექტის თანახმად, კერძო დაცვის სამსახურები ვალდებული არიან, ანგარიშზე 200 ათასი ლარი ჰქონდეთ, წინააღმდეგ შემთხვევაში ისინი ლიცენზიას ვერ მიიღებენ. ამიტომ 20-დან 30 ათასამდე ადამიანი ქუჩაში რჩება, რადგან ისინი ამ თანხის მობილიზებას ვერ შეძლებენ. კახა ძაგანი ამ მტკიცებით, იგეგმება ასევე კერძო დაცვის სამსახურების გაუქმება და ერთწყებად ჩამოყალიბება. ეს, მისი თქმით, შინაგან საქმეთა მინისტრ ვანო მერაბიშვილის საკუთრება იქნება. **ჯი-ეიჩ-ენი**

2010 წელს მოსახლეობის აღწერა იგეგმება

"ოსინფორმის" ცნობით, ოკუპირებულ სამხრეთ ოსეთში 2010 წელს მოსახლეობის აღწერა იგეგმება. ეს გადაწყვეტილება ე.წ. სამხრეთ ოსეთის მთავრობის პრეზიდენტის სხდომაზე მიიღეს. აღნიშნული კანონპროექტი, მარიონეტული რეჟიმის სახელმწიფო სტატისტიკურმა სამსახურმა წარმოადგინა და ის ოუსტიციის სამინისტროსთან არის შეთანხმებული.

ოსური მხარე იუწყება, რომ "XX საუკუნის და XXI საუკუნის პირველ ნახევარში სამხრეთ ოსეთის მოსახლეობამ რამდენიმე გენოციდი გადაიტანა. საქართველო თავისი აგრესიული ქმედებებით ყოველთვის ცდილობდა, ოსი ხალხი თავისი ისტორიულად კუთვნილი მიწა-წყლიდან გაეყარა. ახლა კი დამოუკიდებლობის აღიარების შემდეგ ჩვენი დემოგრაფიული სიტუაციის გაუმჯობესების იმედი გავკვირდა," - განმარტა მარიონეტულმა რეჟიმმა. **ჯი-ეიჩ-ენი**

გურჯაანის მოსახლეობა ხელმონერებს აგროვებს

გურჯაანის მკვიდრი მგზავრობის ღირებულების შემცირებას ითხოვენ. ასამდე მოქალაქემ მუნიციპალიტეტის გამგებელს დახმარებისთვის უკვე მიმართა. მოქალაქეები აღნიშნავენ, რომ სოფლის გემო მათთვის მიუღებელია საზოგადოებრივი ტრანსპორტით მგზავრობისთვის დადგენილი ტარიფი. ეს ეხება ქალაქიდან სოფლებს შორის მარშრუტებს. საინიციატივო ჯგუფის წევრებმა აღნიშნეს, რომ მგზავრობის ღირებულება სანავის ფასის ზრდის შემდეგ გაიზარდა. ხოლო მას შემდეგ, რაც სანავი გაიფარა, მგზავრობის ფასი ისევ უცვლელი დარჩა. მსგავსი პრობლემა აქვთ კახეთის სხვა რაიონებში მცხოვრებ მოქალაქეებსაც. **ჯი-ეიჩ-ენი**

ცესკო-ს მომავალი გეგმები

ცესკო-ს მიერ შემუშავებული პროექტი მოიცავს ამომრჩეველთა რეგისტრაციის კანონმდებლობის კვლევის ანალიზს და მის პრაქტიკულ განხორციელებას ცენტრალურ და აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნებში. პროექტი ეყრდნობა საქართველოს, ბოსნია-ჰერცეგოვინას, უნგრეთის და მოლდოვას 4 სასწავლო მაგალითს. დაგეგმილია ამ ქვეყნების შედეგებისა და საუკეთესო გამოცდილების შესახებ სახელმძღვანელოს გამოცემა და დასკვნითი კონფერენციის ჩატარება.

აღნიშნული პროექტის საკონსულტაციო საბჭოს მუშაობაში მონაწილეობას მიიღებენ ევროპული ქვეყნების საარჩევნო მოხელეთა ასოციაცია, ევროსაბჭოს და ევროკავშირის საერთაშორისო ინსტიტუტები, ასევე საარჩევნო სისტემების საერთაშორისო ფონდი, ევროკავშირის უსაფრთხოებისა და თანამშრომლობის ინსტიტუტი და გაერო-ს საარჩევნო მხარდაჭერის ორგანიზაციის წარმომადგენლები. **ჯი-ეიჩ-ენი**

ინტრონიზაციის ცერემონიალი

მიტროპოლიტ კირილის რუსეთის მე-16 პატრიარქად ინტრონიზაცია 1 თებერვალს მაცხოვრის სახელობის ტაძარში გაიმართება. ცერემონიაზე დასასწრებად გაემიწო მოსკოვში გამგებ ზავრა საქართველოს მართლმადიდებლური ეკლესიის დელეგაცია. საქართველოს საპატრიარქოს დელეგაციას მიტროპოლიტი თეოდორე ხელმძღვანელობს.

დეკანოზ დავით შარაშენიძის თქმით, დელეგაციის შემადგენლობაში ასევე შედიან მიტროპოლიტი გერასიმე, არქიმანდრიტი დავითი, დეკანოზი გიორგი და საქართველოს ყოფილი ელჩი რუსეთის ფედერაციაში ზურაბ აბაშიძე. დელეგაციის წევრები რუსეთთან 4 თებერვალს დაბრუნდებიან. **პირველი**

"ფრიდომ ჰაუსი" საქართველოს შენიშვნებს გაითვალისწინებს

"ფრიდომ ჰაუსის" წარმომადგენელი ჯეფ გოლდ შტეინი საქართველოს პარლამენტის ტერიტორიული მთლიანობის აღდგენის დროებითი კომისიის თავმჯდომარე შოთა მალაშვიას შეხვდა. ერთსაათიანი დახურული შეხვედრის შემდეგ "ფრიდომ ჰაუსის" წარმომადგენელმა განაცხადა, რომ ორგანიზაციის ბოლო დასკვნის შესახებ პარლამენტის შენიშვნებს გაითვალისწინებს. მისი თქმით, მალაშვიასგან მიღებული შენიშვნები ორგანიზაციის ვებ-გვერდზე უახლოეს დღეებში განთავსდება. ჯეფ გოლდ შტეინმა დასკვნაში არსებულ ფაქტობრივ შეცდომებს თავიუბნობა უნდა და მომავალში მსგავსი შეცდომების თავიდან ასაცილებლად საქართველოსთან მჭიდრო თანამშრომლობის აუცილებლობაზე გაამახვილა ყურადღება. **ჯი-ეიჩ-ენი**

რუსეთი აფხაზეთში თავის სამხედრო ყოფნას აძლიერებს

პირველი გვერდიდან

ეს შეხვედრა მომავალ კვირას, მიუნხენში უსაფრთხოების საკითხებზე გამართული კონფერენციის ფარგლებში შედგება.

სამხედრო ექსპერტები იმ ვარაუდზეც ამახვილებენ ყურადღებას, რომლის თანახმად, აფხაზეთში რუსეთის ჯარების ყოფნა ხელს შეუწყობს უსაფრთხოების უზრუნველყოფას მოსაზღვრე სოჭის რაიონში, სადაც 2014 წელს ზამთრის ოლიმპიური თამაშები უნდა ჩატარდეს.

ნატო-ს წარმომადგენლები ასევე მიიჩნევენ, რომ რამდენადაც სევასტოპოლის სამხედრო-საზღვაო ბაზის იჯარის ვადა 2017 წელს იწურება, რუსეთმა შავ ზღვაზე სასწრაფოდ უნდა მოქმედოს ისეთი ახალი პორტი, რომელიც ზამთარში არ იყინება.

ხუთშაბათს საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროდან წამოვიდა გაფრთხილება, რომ რუსეთმა აფხაზეთი შეიძლება აქციოს ახალი სამხედრო ბაზების ასაშენებელ "პლაცდარმად" სამხრეთ კავკასიაში, რომელიც სტრატეგიულ დერე-

ფანს წარმოადგენს - აქ გადის უცხოური კომპანიების კუთვნილი მილსადენები, რომლითაც დასავლეთს კასპიის ნავთობი და გაზი მიეწოდება.

"იმ პირობებში, როდესაც რუსეთის მიერ საქართველოს ტერიტორიების ოკუპაციაზე არ არსებობს საერთაშორისო კონტროლი, მოსკოვი ყველაფერზე წავა ამ რაიონში თავის სამხედრო პოტენციალის განსამტკიცებლად," - ნათქვამია საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს განცხადებაში.

ევროსაბჭოს საპარლამენტო

ასამბლეამ თავისი რეზოლუციით დაგმო თვითგამოცხადებულ რაიონებში რუსეთის სამხედრო ყოფნა და ახალი ბაზების მშენებლობა. ასამბლეამ აღნიშნა, რომ მოსკოვის მიერ აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის დამოუკიდებლობის აღიარება საერთაშორისო სამართლის ნორმების დარღვევას წარმოადგენს.

ამ რეგიონში ევროკომისიის წარმომადგენელმა პიერ მორელმა კი აღნიშნა, რომ კონფლიქტური ზონების სიახლოვეს სამხედრო ძალის ნებისმიერმა გაზრდამ შეიძლება "დამატებითი პრობლემები" შექმნას.

მოსკოვი კავკასიაში უფრო ბააქტიურდება

რუსეთის ფედერაციის სა-თავბიროს ზედა პალატის ვიცე-სპიკერ ალექსანდრ ტორშინის თქმით, რუსეთის საკანონმდებლო ორგანოსთან კავკასიის საბჭო შეიქმნა. ჩრდილოეთ კავკასიის "დალაგების" შემდეგ მი-

სი ფუნქცია სრულიად კავკასიაზე ზრუნვა იქნება. ტორშინმა განმარტა, რომ "სამხრეთ ოსეთის კონფლიქტის შემდეგ ამ რეგიონში ვითარება შეიცვალა და ამიტომ კავკასიას გაცილებით დიდი დრო უნდა დავუთ-

მოთ." ახლად შექმნილ საბჭოში ჩრდილოეთ კავკასიის ყველა რესპუბლიკის საკანონმდებლო ორგანოს ხელმძღვანელები შევიდნენ. გარდა ამისა, საბჭოს წევრია ის შვიდი სენატორი, რომლებიც სათათბიროში კავ-

კასიის რესპუბლიკებს წარმოადგენენ. თანამშრომლობის შესახებ წინადადება, საქართველოს, სომხეთთან და აზერბაიჯანთან ერთად, ცხინვალს და სოხუმსაც დაეგზავნებათ.

ჯი-ეიჩ-ენი

ოკუპანტებს საქართველოში მინის ნაკვითებს გადასცემენ

სოხუმის მარიონეტული მთავრობა რუსეთის თავდაცვის სამინისტროს წარმომადგენლებსთვის გალის რაიონის სოფელ ფიჩორში სამხედრო ბაზის ასაშენებლად მინის ნაკვითების

გადაცემას გეგმავს. აფხაზეთის ლეგიტიმური მთავრობის თავმჯდომარე მალხაზ აკიშბაია საერთაშორისო თანამშრომლობის სთხოვს, ამ ფაქტით დაინტერესდნენ და შესაბამისი ზომები

მიიღონ. მისი თქმით, "ეს არის ოკუპაციის გაგრძელება და საერთაშორისო საზოგადოება, რუსების მიერ აფხაზეთის მიწების მითვისების გარდა, ადგილობრივ მასწავლებლებზე ზე-

ნოლით, რუსული პასპორტების დარიგებით და სეპარატისტული ხელისუფლების მიერ მიღებული სხვა უკანონო გადაწყვეტილებებითაც უნდა დაინტერესდეს." **მედიანუსი**

ბაგაფში მოსკოვი რავიდა

რუსეთის საგარეო უწყების ვებ-გვერდი იტყობინება, რომ სოხუმის მარიონეტული რეჟიმის ლიდერი სერგეი ბაგაფში რუსეთის საგარეო საქმეთა მინისტრ სერგეი ლავროვს შეხვდა. შეხვედრაზე ლავროვმა და

ბაგაფში რუსეთსა და სეპარატისტულ აფხაზეთს შორის სრულფორმატიანი სახელმწიფოთაშორისი თანამშრომლობის დამყარების საკითხი განიხილეს და უსაფრთხოების სფეროში ორმხრივი შეთანხმებების

მომზადების მიმდინარეობაზე იმსჯელეს. ლავროვმა ბაგაფშთან შეხვედრაზე ასევე განიხილა კავკასიაში არსებულ ვითარებასთან დაკავშირებული საერთაშორისო ასპექტები. გარდა ამისა, საუბრის ერთ-ერთი

მედიანუსი

10 000 სააბონენტო ნომერი 22 ათას ლარად გაიყიდა

საქართველოს კომუნიკაციების ეროვნულ კომისიაში გამართულ აუქციონში შპს "ახალმა ქსელებმა" გაიმარჯვა. კომპანიის წარმომადგენლებმა 13 XXXX ინდექსის 10 000 სააბონენტო ნომერი 22 ათასი ლარის გადახდის მზადყოფნა გამოთქვეს. კომისიამ ქ.თბილისში სააბონენტო ნუმერაციის გამოყენებით ადგილობრივი საკომუნიკაციო მომსახურების განსახორციელებლად ნუმერაციის რესურსით სარგებლობის ლიცენზიის მისაღებად აუქციონი 2008 წლის 19 დეკემბრის გადაწყვეტილებით გამოაცხადა. "ჯი-ეი-ენი"

ბაზისბანკის საახალწლო აქციის ფარგლებში პირველი პლასტიკური ბარათები "ოქროს ბუმბულის" გამარჯვებულებმა მიიღეს

იანვრის ბოლოს დასრულდა ბაზისბანკის საახალწლო აქცია, რომლის ფარგლებშიც 500-ზე მეტმა მომხმარებელმა საჩუქრად ვიზა ბარათი მიიღო. ერთი თვის განმავლობაში ბანკის ვებგვერდიდან ბარათის მისაღებად განაცხადის გაკეთება ნებისმიერ მსურველს შეეძლო. აღსანიშნავია, რომ სასაჩუქრე ბარათის პირველი მფლობელები ლიტერატურული კონკურსის "ოქროს ბუმბულის" გამარჯვებულები გახდნენ. კონკურსის გენერალურმა სპონსორმა სს "ბაზისბანკმა" პირველი, მეორე და მესამე პრემიის მფლობელებს გადასცა პლასტიკური ბარათები, რომელზეც დარიცხული იყო საპრიზო თანხა - შესაბამისად 5, 3 და 2 ათასი ლარი.

ბარათი, რომელსაც სხვა პრიორიტეტებთან ერთად, საანაბრე ფუნქციაც გააჩნია, მფლობელებს საშუალებას მისცემთ დადებით ნაშთზე 4%-იანი წლიური სარგებელიც მიიღონ. "ჯი-ეი-ენი"

ილჰამ ალიევი: აზერბაიჯანმა საქართველოში 3 მილიარდი დოლარის ინვესტიცია ჩადო

დავოსის ფორუმის ფარგლებში გამართულ შეხვედრაზე, რომელშიც აზერბაიჯანის პრეზიდენტი ილჰამ ალიევი, თურქეთის პრემიერ-მინისტრი რადჯებ ტაიპ ერდოღანი, ირანის საგარეო საქმეთა მინისტრი მანუჩერ მოტაკი და სომხეთის საგარეო საქმეთა მინისტრი ედვარდ ნალბანდიანი მონაწილეობდნენ, ილჰამ ალიევი განმარტა, რომ 1991 წლიდან აზერბაიჯანი დამოუკიდებელ პოლიტიკას აწარმოებს. აზერბაიჯანსა და ევროკავშირს შორის უკვე მოეწერა ხელი თანამეზობლობის პოლიტიკის მემორანდუმს, რომლის მიხედვითაც ენერგეტიკის სფეროში აზერბაიჯანი და ევროკავშირი სტრატეგიული პარტნიორები ხდებიან.

ალიევიმა ნახუკოს პროექტის შესახებ კომენტარი გააკეთა და განმარტა, რომ უცხოურ კომპანიებთან თანამშრომლობისა და პარტნიორობის დახმარებით აზერბაიჯანს ბუნებრივი რესურსები მსოფლიო ბაზარზე გააქვს.

დღეისათვის აზერბაიჯანში 7 ნავთობ- და გაზსადენს ფლობს. ამიტომ აზერბაიჯანი ენერგეტიკულ სფეროში დიდ როლს ასრულებს.

"პროექტს მომავალი გარანტირებული აქვს. ევროპამ ამ პროექტს მხარი სერიოზულად უნდა დაუჭიროს, რადგან გადასაწყვეტია ფინანსური პრობლემები. აზერბაიჯანი ექსპორტის სფეროს გაზრდას აპირებს და უპირატესობას მშვიდობიან პირობებში თანამშრომლობას ანიჭებს", - დასძინა ალიევი.

აზერბაიჯანის პრეზიდენტის განცხადებით, საქართველოსა და აზერბაიჯანს შორის საკმაოდ მნიშვნელოვანი პროექტები ხორციელდება, რაც ევროპის ენერგეტიკულ უსაფრთხოებას უწყობს ხელს.

"აზერბაიჯანი საქართველოში 3 მილიონი დოლარის ინვესტიციას განახორციელებს. ამ კუთხით აზერბაიჯანის ნავთობკომპანია აქტიურად მუშაობს. ორ ქვეყანას შორის რაც უფრო მჭიდრო კავშირები დამყარდება, მით უფრო განვითარდება რეგიონი, რაც ორმხრივ თანამშრომლობას შეუწყობს ხელს", - განაცხადა ალიევი. "ჯი-ეი-ენი"

ათობით გლეხი შპს "კახური ტრადიციული მეღვინეობისგან" 2008 წლის შემოდგომაზე ჩაბარებული საბრენდე ჯიშის ყურძნის საფასურის გადახდას ითხოვს

როგორც "პირველს" ადამიანის უფლებათა ცენტრიდან აცნობეს, ხელშეკრულების თანახმად, საწარმოს მიღებული ყურძნის დავალიანება 2008 წლის დეკემბრის ბოლომდე უნდა გაესტუმრებინა, მაგრამ გლეხებს კუთვნილი თანხები ამ დრომდე არ მიუღიათ.

"თითქმის ყოველდღე ყვარელში დავდივართ, სადაც ამ კომპანიამ ყურძენი მიიღო, მაგრამ პასუხს არავინ გვცემს. იმ თანხის ნახევარი, რომელიც გვაქვს მისაღები, უკვე გზაში დავხარჯეთ", - აღნიშნეს გლეხებმა. არასამთავრობო ორგანიზაციის რეგიონული კოორდინატორის განმარტებით, შპს "კახური ტრადიციული მეღვინეობისათვის" დავალიანების დაუყოვნებლივ გადახდის და მატერიალური ზიანის დაკისრების მოთხოვნით ორგანიზაციის იურისტები სასამართლოს სარჩელით უახლოეს დღეებში მიმართავენ. შპს "კახეთის ტრადიციული მეღვინეობის" ფინანსური მენეჯერის ალექო დადიანის განცხადებით კი, კომპანიის წარმომადგენლები ყვარელში არაერთხელ ჩავიდნენ, თუმცა

საქართველოს საბარაო სავაჭრო ბრუნვა 2008 წელს გაიზარდა, თუმცა უარყოფითი სავაჭრო ბალანსი 4.5 მილიარდ დოლარს აჭარბებს

იკა აქიყაშვილი

ექსპერტთა აზრით, ამის უმთავრესი მიზეზი, სახელმწიფოს მხრიდან დიდი რაოდენობით გაწეული ხარჯები და კერძო სექტორისათვის სხვადასხვა პროგრამების დასაფინანსებლად "წართმეული" თანხებია.

ყველაფერი დიდი ბიუჯეტისთვის

სტატისტიკის დეპარტამენტის ინფორმაციის მიხედვით, უარყოფითი სავაჭრო ბალანსი 2008 წელს \$4 560.4 მილიონს შეადგენს. (საქართველოს უარყოფითი სავაჭრო ბალანსი აქვს 107 ქვეყანასთან. 2007 წელს უარყოფითი სავაჭრო ბალანსი 100 ქვეყანასთან გვექონდა).

გასულ წელს საგარეო სავაჭრო ბრუნვამ \$7 555.8 მილიონი შეადგინა, რაც 2007 წლის მონაცემებთან შედარებით 17.2%-ით მეტია. მიუხედავად იმისა, რომ ექსპორტი 2007 წელთან შედარებით 21.5%-ით გაიზარდა და \$1.5 მილიარდს მიაღწია, პარალელურად 16.2%-ით გაიზარდა იმპორტიც და \$6 მილიარდს გადააჭარბა. (იმპორტი ექსპორტს 4-ჯერ აჭარბებს).

როგორც საქართველოს ახალი ეკონომიკური სკოლის ვიცეპრეზიდენტმა და ექსპერტმა გია ჯანდიერმა "24 საათთან" საუბარში განაცხადა, "უარყოფითი სავაჭრო ბალანსი შემანუხეველი ფაქტორია როდესაც ქვეყანა განვითარების გზაზე დგას, თუმცა რეალური სიტუაციის გათვალისწინებით, დიდი საშიშველბა არ ხდება, ვინაიდან ის სხვადასხვა წყაროებიდან,



მათ შორის საერთაშორისო ორგანიზაციების დახმარებით ფინანსდება".

"ამ პირობებში რაც შეიზღება საქართველომ გააკეთოს: ისე და ისე მოხდეს ეკონომიკის მეტი ლიბერალიზაცია, შემცირდეს გადასახადები და სახელმწიფოს ხარჯები. სახელმწიფომ თავი უნდა დაანებოს ფულის ხარჯვას. ნებისმიერი ხარჯები არის ბიზნესის ჯიბიდან ამოღებული თანხები. ის ფული რასაც ხელისუფლება სხვადასხვა პროგრამების ფარგლებში ხარჯავს, მათ შორის დასაქმების პროგრამისთვის, უმჯობესი იქნება კერძო ბიზნესს დაუტოვოს. ამ შემთხვევაში, კერძო ბიზნესი თავად შეძლებს დასაქმებას. ეკონომიკის უფრო მეტი ლიბერალიზაცია საკენ წაყვანა, კომპანიებს საშუალებას მისცემს მეტი პროდუქცია აწარმოონ, შესაბამისად კუნკურენტუნარიანი იქნებიან და უკეთესი პირობები ექნებათ ექსპორტის განხორციელებისათვის".

"ექსპორტზე მნიშვნელოვან და დადებით გავლენას მოახ-

დენს ევროკავშირთან თავისუფალი ვაჭრობის უფლებას თუ მივიღებთ, ცხადია რომ პატარა ქვეყნისათვის პროდუქციაზე ფასების დანევა ძნელია. ექსპორტის გაძლიერება რთულია ბევრი პრობლემის გამოც: გარდა იმისა, რომ შარშანდელი მდგომარეობით ექსპორტიორები შეშინდნენ, ამას ისიც ერთვის, რომ ჩვენი სამეზობლო კარგი არ არის, იმ თვალსაზრისით, რომ ჩვენგან ვერ იქნენ პროდუქციას (ისევე როგორც ჩვენ მათგან)" აცხადებს ჯანდიერი.

სტატისტიკის დეპარტამენტის ინფორმაციით, სავაჭრო ბრუნვა ევროკავშირის ქვეყნებთან 10.7%-ით გაიზარდა და \$2 მილიარდს გადააჭარბა, რაც საქართველოს მთლიანი სავაჭრო ბრუნვის 26.5%-ია, გასულ წელს 28% იყო. ევროპის ქვეყნებთან ექსპორტი \$335,2 მილიონია, ხოლო იმპორტი \$1 665,3 მილიონი. მიუხედავად ამისა სავაჭრო დეფიციტის 29.2% ევროპის ქვეყნებზე, ხოლო 32% დსთ-ს ქვეყნებზე მოდის.

დსთ-ს ქვეყნებთან საგარეო

ვაჭრობამ \$2.5 მილიარდს გადააჭარბა, რაც თითქმის 10%-ით აღემატება 2007 წელს ამ ქვეყნებთან არსებულ სავაჭრო ბრუნვას. საქართველოს მთლიანი სავაჭრო ბრუნვის 33.7% სწორედ დსთ-სთან ჰქონდა. ამ ქვეყნებთან გასულ წელს ექსპორტი 17.4%-ით იყო გაზრდილი, ხოლო იმპორტი 8%-ით.

2008 წელს თურქეთი ისევ საქართველოს უმსხვილეს სავაჭრო პარტნიორ ქვეყანად რჩება. თურქეთთან სავაჭრო ბრუნვა \$1 202.8 მილიონს შეადგენს, რაც წინა წლის მაჩვენებელზე 33.7%-ით მეტია. უმსხვილეს სავაჭრო პარტნიორებს შორისაა დსთ-ს სამი ქვეყანა, რომელთა წილი საერთო ვაჭრობაში 27.3%-ია. მკვეთრად გაიზარდა აზერბაიჯანთან სავაჭრო ბრუნვა და \$813.2 მილიონი შეადგინა, რაც წინა წლის მაჩვენებელზე 56.4%-ით მეტია. უკრაინა საქართველოს უმსხვილეს სავაჭრო პარტნიორთა ათეულში მესამე ადგილზეა. ამ ქვეყანასთან სავაჭრო ბრუნვა \$791.8 მილიონია, რაც წინა წლის მაჩვენებელზე 18.3%-ით მეტია.

2008 წელს რუსეთთან სავაჭრო ბრუნვა თითქმის 1,6-ჯერ შემცირდა და \$28.471 მილიონი შეადგინა, რის შედეგადაც ის მეხუთე ადგილზე გადავიდა, ნაცვლად მესამე პოზიციისა, რომელიც 2007 წელს \$45.6 მილიონით ჰქონდა დაკავებული.

დადებითი სავაჭრო ბალანსი საქართველოს მხოლოდ 21 ქვეყანასთან აქვს, რაც დაახლოებით \$230 მილიონია. მათ შორის არიან კანადა, სომხეთი, მექსიკა, ერაყი, ტაჯიკეთი და ალბანეთი. (2007 წელს დადებითი სავაჭრო ბალანსი 23 ქვეყანასთან გვექონდა).

ბარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტროს მუდმივმოქმედმა საზოგადოებრივმა საბჭომ ხელისუფლებას

მიმართვა გაუზარადა

"საქართველოს გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტროს მუდმივმოქმედმა საზოგადოებრივმა საბჭომ თბილისის მერს გიგი უგულავას, საკრებულოს თავმჯდომარეს ზაალ სამადაშვილსა და გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების მინისტრს გოგა ხაჩიძეს მიმართვა გაუგზავნეს.

მიმართვაში ნათქვამია, რომ თბილისში მიმდინარე მშენებლობებისას ხშირად ირღვევა გამწვანების კოეფიციენტის ე.წ. კვ და ამას მაქსიმალური ყურადღება უნდა მიექცეს.

"დღეისათვის თბილისში შენდება დაახლოებით 2 მილიონი მ2 საერთო ფართის ობიექტები, მათ შორის საცხოვრებელი, საზოგადოებრივი, სახელმწიფო და კერძო. საშუალოდ ეს ყველაფერი შენდება 1 მილიონ მ2 მიწაზე ანუ 100 ჰექტარზე. ეს ნიშნავს, რომ თბილისის მერიის მიერ გაცემული ქალაქგეგმარებითი პირობების მიხედვით მენაშენები ვალდებული არიან

გამწვანონ 100 ათასი მ2 ანუ 10 ჰექტარი. ჩვენ მიგვაჩნია, რომ კვ კოეფიციენტის შესრულებას მაქსიმალურად უნდა მიექცეს ყურადღება, რათა ჩვენმა შვილებმა არ მიიღონ შეცვლილი ქალაქი, რომელიც აღარ გავს ყველაასათვის ცნობილი გამწვანებულ და ეკოლოგიურად უსაფრთხო თბილისს", - ნათქვამია მიმართვაში.

საბჭოს წევრები მიიჩნევენ, რომ თბილისის მერიამ უნდა გამკაცროს კვ კოეფიციენტის შემოწმების პროცედურა სამშენებლო ობიექტის ექსპლუატაციაში მიღების დროს, ასევე თბილისის საკრებულომ და მერიამ უნდა გამყოს სპეციალური ადგილი, სადაც, შესაბამისი ქალაქგეგმარებითი პროექტის საფუძველზე, გაშენდება პარკი ან რაიმე გამწვანებული ტერიტორია, კვ კოეფიციენტის არასათანადო დონეზე შემსრულებელი კომპანიების დაჯარიმების ხარჯზე.

მიმართვას ხელს აწერენ საბ-

ჭოს თავმჯდომარე: ირაკლი როსტომაშვილი, საბჭოს წევრები: აჩიკო გულედანი, ზაალ უდუმაშვილი, სანდრო ცნობილაძე, ირმა ჯალაღონია

ია სუბიტაშვილი, ეკა გაბრიჩიძე, ნათია ბუკულოვა, ვახო ბაბუნაშვილი, ვასიკო ხორავა და ვახო სანაია.

"ჯი-ეი-ენი"

Advertisement for 'საღმთო' (Saghamo) featuring a cross logo, text about traditional Georgian carpets, and contact information: 'საღმთო, ვასიკოს ქ. №6 ტელ.: (995 32) 66 21 00, (995 32) 66 21 02'.

იუსტიციის სამინისტრო სტრასბურგის სასამართლოს გადაწყვეტილების დეტალურ განმარტავს

საქართველოს იუსტიციის სამინისტრო ეხმაურება ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს მიერ საქმეზე "რამიშვილი და კობრეიძე საქართველოს წინააღმდეგ" გამოტანილ გადაწყვეტილებას.

იუსტიციის სამინისტროს ინფორმაციით, განმცხადებლები ევროპული სასამართლოს წინაშე ასაჩივრებდნენ ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მე-3 (წამების, არაადამიანური ან დამამცირებელი მოპყრობის აკრძალვა), მე-5 (თავისუფლებისა და უსაფრთხოების უფლება), მე-6 (სამართლიანი განხილვის უფლება), მე-8 (პირადი და ოჯახური ცხოვრების პატივისცემის უფლება), მე-10 (აზრის გამოხატვის თავისუფლება), მე-13 (უფლება სამართლიანი დაცვის ეფექტიან საშუალებაზე), მე-14 (დისკრიმინაციის აკრძალვა) და მე-18 (უფლებებზე შეზღუდვათა გამოყენების ფარგლები) მუხლების დარღ-

ვევას, ასევე, მეორე განმცხადებელი მიუთითებდა ევროპული კონვენციის პირველი დამატებითი ოქმის პირველი მუხლის სავარაუდო დარღვევაზე. "არსებითი განხილვის შედეგად, ევროპულმა სასამართლომ დაადგინა, რომ ადგილი არ ჰქონია ევროპული კონვენციის 5.4-ე მუხლის დარღვევას, ვინაიდან, განმცხადებლებს ხელი მიუწვდებოდათ საქმეში არსებულ მტკიცებულებებზე," - აცხადებს იუსტიციის სამინისტრო. იუსტიციის სამინისტროს ინფორმაციით, ევროპულმა სასამართლომ დაადგინა, რომ რამიშვილის მიმართ ადგილი ჰქონდა ევროპული კონვენციის მე-3 მუხლის დარღვევას თბილისის №5 საპყრობილეში არსებული პირობების გამო. ამასთანავე, მეორე განმცხადებელთან მიმართებით სასამართლომ დაადგინა, რომ თბილისის №5 საპყრობილეში საკანის გადატვირთულობა წარმოადგენდა ევროპული კონვენციის მე-3 მუხლის დარღვევას.

სასამართლომ ასევე აღნიშნა, რომ 2005 წლის 2 სექტემბრის სასამართლო პროცესზე განმცხადებლების მოთხოვნა რკინის გისოსებს მიღმა ეწინააღმდეგებოდა ევროპული კონვენციის მე-3 მუხლს. ევროპულმა სასამართლომ დაადგინა ევროპული კონვენციის 5.1 მუხლის დარღვევა იმ ფაქტთან დაკავშირებით, რომ 2005 წლის 27 ნოემბრიდან 2006 წლის 13 იანვრის ჩათვლით (ერთი თვე და 17 დღე) განმცხადებლები იმყოფებოდნენ პატიმრობაში შესაბამისი სასამართლო გადაწყვეტილების გარეშე. რაც შეეხება 2006 წლის 2 სექტემბრის ზეპირ მოსმენას, სასამართლომ აღნიშნა, რომ მითითებული პროცესი მოკლებული იყო სამართლიანი სასამართლო განხილვის ფუნდამენტურ კრიტერიუმს. "აღსანიშნავია, რომ 2007 წელს, იუსტიციის მინისტრის ბრძანების საფუძველზე გაუქმდა თბილისის მე-5 საპყრობილე. ასევე, მნიშვნელოვანია აღინიშნოს, რომ სასა-

მართლოთა აბსოლუტური უმრავლესობა გარემონტდა და აღიჭურვა თანამედროვე სტანდარტების მიხედვით, სასამართლო დარბაზებში აღარ გამოიყენება რკინის გისოსები. ამასთან, სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსში შეტანილი ცვლილების შედეგად, კერძოდ, 162-ე მუხლის მე-8 ნაწილის საფუძველზე, სასამართლო ვალდებულია საქმის გადაცემიდან 24 საათის განმავლობაში იმსჯელოს აღკვეთის ღონისძიების კანონიერებაზე," - განმარტავს იუსტიციის სამინისტრო. 27 იანვარს ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ გამოიტანა გადაწყვეტილება რის საფუძველზეც, საქართველოს მთავრობას დაეკისრა 6 000 ევროს გადახდა მორალური ზიანისათვის თითოეული განმცხადებლის სასარგებლოდ და 14 694 ევროს გადახდა ორივე განმცხადებლის მიერ განუხლები ხარჯების ასანაზღაურებლად. **საკუთარი ინფორმაცია**

სამოქალაქო რეესტრის საბენქოს დაარსებიდან სამი წელი გავიდა

იუსტიციის სამინისტროს სამოქალაქო რეესტრის სააგენტოს დაარსებიდან სამი წლისთავთან დასკვნით სამოქალაქო რეესტრის სააგენტოში ღონისძიება გაიმართა, სადაც სააგენტოს თავმჯდომარე გიორგი ვაშაძემ გასული წლის საქმიანობა შეაჯამა.

როგორც სამოქალაქო რეესტრის სააგენტოს თავმჯდომარე გიორგი ვაშაძემ განაცხადა, 2008 წელს სამოქალაქო რეესტრის სააგენტომ მოქალაქეთა მომსახურების დახვეწის მიზნით არაერთი სიახლე დანერგა. რეესტრაციისა და მესაკუთ-

რეებისათვის საჭირო აღარ არის საკუთრების დამადასტურებელი დოკუმენტის წარდგენა, ამ ინფორმაციას სამოქალაქო რეესტრი საჯარო რეესტრის ბაზიდან ონლაინ-რეჟიმში იღებს. 16 წლის ზემოთ პასპორტის ასაღებად საჭიროა მხოლოდ ერთი მშობლის ან კანონიერი წარმომადგენლის თანხმობა, საზღვარგარეთ მყოფ მოქალაქეებზე პასპორტის გაცემა მინდობილი პირის მეშვეობითაც გახდა შესაძლებელი, საინფორმაციო-სამისამართო ცნობების აღება შესაძლებელი გახდა ტერიტორიულ სამსახურებშიც, პირადობის გაცემის ასაკის

შემცირდა 14 წლამდე, დაიწყო სკოლის მოსწავლეთა რეგისტრაცია, ჩამოყალიბდა სურათიანი ელექტრონული ბაზა, სახელმწიფო ორგანოებს მიეცათ სამოქალაქო რეესტრის მონაცემთა ბაზასთან წვდომის შესაძლებლობა, დაიწყო სამოქალაქო აქტების ელექტრონული ფორმით რეგისტრაცია და ბეჭდვა, დაიწყო დაბადების რეგისტრაციისას პირადი ნომრის მინიჭება, დაბადებისა და გარდაცვალების იურიდიული მნიშვნელობის მქონე ფაქტების დადგენის ფუნქცია სასამართლოდან სამოქალაქო რეესტრის სააგენტოს გადაეცა. საქმის წარმოების ვადა შემცირდა 5

თვიდან 1 თვემდე, ხოლო სახელმწიფო ბაჟი - 50 ლარი - საერთოდ გაუქმდა. გიორგი ვაშაძის ინფორმაციით, 2008 წელს თანამედროვე სტანდარტების შესაბამისი ოფისები გაიხსნა: თბილისში, უზნაძის ქ. N2-ში ქორწინების სახლი, ისნის ტერიტორიული ოფისი, თბილისის არქივი, ზუგდიდის სამსახურის შერობა და ქორწინების სახლი, ჩხოროწყუსა და წყალტუბოს ტერიტორიული სამსახურის შენობები, გარემონტდა და თანამედროვე ტექნიკით აღიჭურვა საბურთალოს სამსახური და ქორწინების სახლი "კონკა". **საკუთარი ინფორმაცია**

უარი სახალხო დამცველს

სახალხო დამცველი სასჯელალსრულების დეპარტამენტის მუდმივმოქმედ კომისიას, რომელიც მსჯავრდებულთა ვადამდე ადრე გათავისუფლების საკითხებს განიხილავს, უფუნქციობაში ადანაშაულებს და სასჯელალსრულების დეპარტამენტის უფროსის მოვალეობის შემსრულებლის დაჯარიმებას მოითხოვს.

როგორც ომბუდსმენი განმარტავს, გუშინდელ მუდმივმოქმედ კომისიას მსჯავრდებულ შალვა რამიშვილის საქმე უნდა განეხილა. ამასთან დაკავშირებით, სახალხო დამცველმა სასჯელალსრულების დეპარტამენტის უფროსის მოვალეობის შემსრულებელ დავით ჭაკუას მიმართა თხოვნით, ომბუდსმენის ოფისისთვის ეცნობებინათ სხდომის დანიშნვის შესახებ. სახალხო დამცველი კომისიის სხდომის მონიტორინგის განხორციელებას აპირებდა. სოზარ სუბარის თქმით, სხდომის გამართვის შესახებ მას სხდომის დამთავრების შემდეგ აცნობეს. "ამით შეილახა სახალხო დამცველის უფლებამოსილება

და მოვითხოვ სასჯელალსრულების დეპარტამენტის უფროსის მოვალეობის შემსრულებლის დავით ჭაკუას დაჯარიმებას. კანონის მიხედვით, სახალხო დამცველს დახურული სხდომის მონიტორინგის უფლება გააჩნია. დავით ჭაკუამ სხდომის შესახებ არ გვაცნობა, რითაც დაირღვა სახალხო დამცველისთვის კანონით მინიჭებული უფლებები, კერძოდ, ხელი შეემშალა უფლებამოსილების განხორციელებაში," - აცხადებს სოზარ სუბარი. მას ეჭვი აქვს, რომ კომისიის სხდომა საერთოდ არ გამართულა. ამ ეჭვის საფუძველად კი სხდომის ოქმის არარსებობას ასახელებს. სოზარ სუბარმა სასამართლოს უკვე მიმართა სასჯელალსრულების დეპარტამენტის უფროსის მოვალეობის შემსრულებლის დაჯარიმების მოთხოვნით და იმედი აქვს, რომ მართლმსაჯულება მის მოთხოვნას დააკმაყოფილებს. ჯარიმის თანხა 800-დან 2000 ლარს შეადგენს. "ამ ფაქტით კიდევ ერთხელ დადასტურდა, რომ სასჯელალსრულების დეპარტამენტის მუდმივმოქმედი კომისია, რომელიც 5 წევრისგან შედგება, მხოლოდ

ქალღმერთს არსებობს და რეალურად არ იკრიბება. კომისია, რომელიც მსჯავრდებულთა პირობით ვადამდე ადრე გათავისუფლების საკითხებს განიხილავს და თვეში ერთხელ იკრიბება, ხშირად ერთ სხდომაზე, საშუალოდ 300-დან 500-მდე მსჯავრდებულის განცხადებას განიხილავს, რაც ნიშნავს, რომ 8-საათიანი სამუშაო რეჟიმის პირობებში კომისია თითოეული მსჯავრდებულის საკითხის განხილვას სავარაუდოდ, 1 წუთს ანდობს," - აცხადებს სოზარ სუბარი. შალვა რამიშვილის ვადამდე ადრე გათავისუფლების საკითხი სასჯელალსრულების მუდმივმოქმედი კომისიამ კარგა ხნის წინ ერთხელ უკვე განიხილა. პირველი განხილვისას კომისიამ დაადგინა, რომ არსებული მასალები და დანაშაულის სიმძიმე რამიშვილის მიმართ შედაგათის გაგრძელების საშუალებას არ იძლეოდა. ომბუდსმენის განმარტებით, გასული წლის 29 დეკემბერს მას მიმართა მსჯავრდებულმა შალვა რამიშვილმა და მისი პირობით ვადამდე ადრე გათავისუფლების საკითხის განხილვის დროს სას-

ჯელალსრულების დეპარტამენტის მუდმივმოქმედი კომისიის საქმიანობაზე ზედამხედველობა სთხოვა. სწორედ ამიტომ მიმართა ომბუდსმენმა დავით ჭაკუას თხოვნით, ეცნობებინა დეპარტამენტის მუდმივმოქმედი კომისიის იმ სხდომის ჩატარების თარიღი, რომელზეც რამიშვილის პირობით ვადამდე ადრე გათავისუფლების საკითხის განხილვა იგეგმებოდა. "27 იანვარს სახალხო დამცველის აპარატის კანცელარიაში კურიერმა მოიტანა წერილი სასჯელალსრულების დეპარტამენტისგან იმის შესახებ, რომ დეპარტამენტის მუდმივმოქმედი კომისიის ეს სხდომა 27 იანვარს ჩატარდებოდა. 29 იანვარს სახალხო დამცველის წარმომადგენელმა ოფიციალური რწმუნებისა და სახალხო დამცველის წერილის საფუძველზე დეპარტამენტიდან ჩატარებული სხდომის ოქმი მოითხოვა. დეპარტამენტის წარმომადგენელი ოქმის გაცემას 30 იანვარს დაგვიპირდა, თუმცა დეპარტამენტში მისულ ჩემს წარმომადგენელს ოქმის გაცემაზე უარი განუცხადეს," - განმარტავს სახალხო დამცველი. **საკუთარი ინფორმაცია**

"ანგარიშწორების კოდექსის" შრეზენცია

სახალხო დამცველის ოფისში ჟურნალისტის ვახტანგ კომახიძის ფილმის - "ანგარიშწორების კოდექსის" შრეზენცია გაიმართა, რომელიც ბიზნესმენ ქიბარ ხალვაშის საქმიანობას ეძღვნება. ფილმში აღწერილია, თუ როგორ განახორციელა ხელისუფლებამ ხალვაშის პოლიტიკური დევნა, როგორ დალუქა მისი კომპანიები, დააკავა მისი მეგობრები და ძმა. ფილმში ნაჩვენებია კომახიძის მიერ გერმანიაში ქიბარ ხალვაშთან გაკეთებული ინტერვიუ, რომელიც ბიზნესმენი საკმაოდ სკანდალურ განცხადებას აკეთებს. ხალვაშის განცხადებით, ოქრუაშვილის ოპოზიციურ ფლანგზე გააქტიურების შემდეგ თავდაცვის მაშინდელმა მინისტრმა დავით კეზერაშვილმა მას უთხრა, რომ ოქრუაშვილს დაკავშირებოდა და ეთქვა, რომ "ოპოზიციონერობას შემეგობდა". სანაცვლოდ ბიზნესში კარტლანსს სთავაზობდა. ქიბარ ხალვაშის განცხადებით, ოქრუაშვილმა სთხოვა არ ჩარეულიყო პარტიულ და პირად ურთიერთობებში. ბიზნესმენი მტკიცებით, მას მინისტრობას და სხვადასხვა თანამდებობას სთავაზობდნენ. ბალვაში იხსენებს კეზერაშვილის სიტყვებს: "ჩვენ პატარა ქვეყანა ვართ და ბიზნესი დამოუკიდებელი არ არის". ბიზნესმენმა მისი კომპანიების დევნაში დავით კირკიტაძის ძმაც დაადანაშაულა. ხოლო დათა ახალაიას ბრალი დასდო მისი ძმის - ნიაზ ხალვაშის უკანონო დაპატიმრებაში. როგორც ქიბარ ხალვაში ამბობს, ნიაზ ხალვაში და მისი ერთ-ერთი კომპანიის ხელმძღვანელი მტრეველი, დათა ახალაიას ტყვეობაში ჰყავდა, რათა ირაკლი ოქრუაშვილის გირაოს თანხა გადაეხადათ. ქიბარ ხალვაშმა გააკეთა განცხადება იმასთან დაკავშირებითაც, თუ როგორ წაართვა კომპანიების წილები. "ფილმში ასახულია ის ანგარიშწორება, რომელიც ხელისუფლებამ ქიბარ ხალვაშის წინააღმდეგ განახორციელა. ფილმის მიხედვით, ხელისუფლებამ ქიბარ ხალვაშის კომპანიებს ბიუჯეტში გადასახდელად საბოლოო ჯამში 60 მილიონ ლარზე მეტი დააკისრა, რაც, ფაქტობრივად, ამ კომპანიების გაკოტრებას ნიშნავდა," - განუცხადა ჟურნალისტებს ვახტანგ კომახიძემ. ერთი თვის წინ გერმანიის მთავრობამ ხალვაშს პოლიტიკური დევნილის სტატუსი მიანიჭა. **24 საათი**

სეპარატისტები რუს ოკუპანტებს იცავენ

აფხაზი სეპარატისტები რუს ოკუპანტებს ექმნებიან და გალის რაიონის სოფელ ნაბაკევის მკვიდრის კობა მებონიას მკვლელობას უარყოფენ. კერძოდ, გალის აფხაზური ადმინისტრაციის ე.წ. პროკურორი ალგურ კოლონია ქართული მედიით გავრცელებულ ინფორმაციას იმის თაობაზე, რომ კობა მებონია რუსმა ოკუპანტებმა მოკლეს, კატეგორიულად უარყოფს და აცხადებს, რომ ეს ინფორმაცია სიბრტლეს არ შეეფერება. კოლონია თქმით, ინფორმაციის გავრცელებისთანავე გალის რაიონის პროკურატურამ შესაბამისი მოთხოვნები გაგზავნა მილიციასა და სოფელ ნაბაკევის ადმინისტრაციაში და დაადგინა, რომ კობა მებონია ჯერ კიდევ 5 დღის წინ არის გარდაცვლილი და იგი არა გალის რაიონის სოფელ ნაბაკევის, არამედ ზუგდიდის რაიონის სოფელ ხურჩას მკვიდრი იყო. რუსმა ოკუპანტებმა სოფელ ნაბაკეს გუშინდელ ორჯერ გაუხსნეს ცეცხლი. სროლას ახალგაზრდა მამაკაცი, სოფელ ნაბაკევის მკვიდრის კობა მებონიას სიცოცხლე შეენირა. არაფხიზელ მდგომარეობაში მყოფი რუსი ოკუპანტები სოფელში რეიდს ატარებდნენ, სწორედ ამ დროს მოკლეს მებონია. მეორედ უკვე ცეცხლი სოფელ ჭუბორჩინჯიდან გახსნეს. **ჯი-ეი-ენი**

საქართველოს საინჟინრო აკადემიის "წყალმომარაგების, წყალარინების და ჰიდროტექნიკის საინჟინრო პრობლემების" განყოფილება ღრმა მწუხარებით იუნყება, რომ გარდაიცვალა აკადემიკოსი

ირაკლი ლუღუშაური

და სამძიმარს უცხადებს ოჯახს.

საქართველოს საინჟინრო აკადემიის პრეზიდიუმი ღრმა მწუხარებით იუნყება, რომ გარდაიცვალა აკადემიის აკადემიკოსი

ირაკლი ლუღუშაური

და სამძიმარს უცხადებს ოჯახს.

ოჯახი იუნყება, რომ გარდაიცვალა **ლევან პასილის ძე გორდამიძე**

პანაშვილები: 30 და 31 იანვარს

დაკრძალვა: კვირას 1 თებერვალს 2 საათზე

მისამართი: ქ. თბილისი

წინამძღვრიშვილის 106

გია არსენიშვილი პატიმრებს არ ითვლის

ადამიანის უფლებათა დაცვის საპარლამენტო კომიტეტის თავმჯდომარემ, თელავის რაიონის მაჟორიტარმა დეპუტატმა გია არსენიშვილმა არ იცის, რამდენი პატიმარი აქვთ თელავში.

"წინილები იმან დაითვალეს, ვისაც ეს ევალება. ისე, სადაც არიან, საუკეთესო პირობებში არიან," - განაცხადა პარლამენტის ადამიანის უფლებათა დაცვის კომიტეტის თავმჯდომარემ. **ჯი-ეიჩ-ენი**

თვითმკვლელობის მცდელობის ორი შემთხვევა ერთ დღეში

მაშველებმა ერთ დღეში თვითმკვლელობის ორი მცდელობა აღკვეთეს. მტკვრის მარჯვენა სანაპიროზე, თვითმკვლელობის მცდელობის მიზნით, გუშინ, 25 ნლის კოლა ადრეაშვილი ბარათაშვილის ხიდიდან გადახტა. მომხდარის შესახებ ინფორმაცია სამაშველო სამსახურს შემთხვევითმა გამველიმა მოქალაქემ შეატყობინა. შემთხვევის ადგილზე მისულმა სამაშველო ბრიგადებმა დროულად მოახერხეს ახალგაზრდის მტკვრიდან ამოყვანა. როგორც გაირკვა, კოლა ადრეაშვილი ნასვამ მდგომარეობაში იმყოფებოდა. შემთხვევის ადგილზე პატრულის ეკიპაჟი და სასწრაფო სამედიცინო დახმარების ბრიგადაც მივიდა.

გუშინ, გვიან ღამით, ხანძარი გაჩნდა ვაჟა-ფშაველას გამზირის მესამე კვარტალში მდებარე შპს "კავკასიონის" ტერიტორიაზე. საგანგებო სიტუაციითა და საქალაქო სამსახურის ინფორმაციით, ხანძარი შპს "კავკასიონის" ტერიტორიაზე მოზაიკის ფილების საამქროს მუშების ოთახში გაჩნდა. შემთხვევის ადგილზე ოთხი სახანძრო მანქანა მივიდა, თუმცა მამა-შვილი 13 წლის დათო ჭანკვეტაძე და 36 წლის ჭოლა ჭანკვეტაძე უკვე დაშვრები იყვნენ.

ხანძრის შედეგად დაინვა საამქროს 10-20 კვადრატული მეტრი. ექსპერტთა ხანძრის გამომწვევ მიზეზებს ადგენს. **მედიანიუსი**

მამა-შვილის სიცოცხლე ხანძარს ემსხვერპლა

ფილმში წარმოდგენილია ქიბარ ხალვაშის, მისი ძმის და სხვა უცხოელი კომპანიონების ინტერვიუები, რომლებიც დეტალურად ყვებიან, თუ როგორ გააკოტრა თანდათანობით ხელისუფლებამ ხალვაშების ბიზნესი.

ფილმის მიხედვით, ქიბარ ხალვაშს ჰპირდებოდნენ ბიზნესის შენარჩუნებას და ხელშეუხებლობას, თუ ის ოქრუშვილთან ურთიერთობას შეწყვეტდა და მას არ დააფინანსებდა. იმის გამო, რომ ხალვაშმა ხელისუფლებასთან ყველანაირ ურთიერთობაზე უარი განაცხადა, მისი დევნა დაიწყო და 2007 წელს მან პოლიტიკური დევნის გამო საქართველო დატოვა, ერთი თვის წინ კი გერმანიის მთავრობამ მას პოლიტიკური დევნილის სტატუსი მიანიჭა.

42-წლიანი ფილმის პრეზენტაციას სახალხო დამცველი, არასამთავრობო და პოლიტიკური ორგანიზაციების წარმომადგენლები ესწრებოდნენ.

"ეს არის კლასიკური ზენოლა და ბიზნესის განადგურება", - ასე შეაფასეს ოპოზიციური პარტიებისა და არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენლებმა "ანგარიშსწორების კოდექსი". **მედიანიუსი**

კანცელარიის პროგრამა 40 სარეგისტრაციო სამსახურში

იუსტიციის სამინისტროს საჯარო რეესტრის ეროვნულმა სააგენტომ შიდა სამსახურებრივი საქმიანობის გამჭვირვებების მიზნით, შეიმუშავა და დანერგა კანცელარიის პროგრამული უზრუნველყოფა, რომლის დახმარებითაც, სააგენტოში მნიშვნელოვნად გაუმჯობესდა საქმის წარმოება.

2008 წლის განმავლობაში აღნიშნული პროგრამა სააგენტოს 40 ტერიტორიულ სარეგისტრაციო სამსახურში დანერგა. 2009 წლის 2 თებერვლიდან დაგეგმილია პროგრამის განახლებული ვერსიის ამოქმედება სააგენტოს ყველა სარეგისტრაციო სამსახურში. აღნიშნული პროგრამის მეშვეობით ოპერატიულად ხდება სარეგისტრაციო სამსახურში შესული წერილების აღრიცხვა, ხელმძღვანელობისთვის დროულად გადაცემა, შესაბამის სტრუქტურულ ქვედანაყოფებში გაგზავნა, ინფორმაციის შენახვა, მოძიება, ყოველთვიურად დოკუმენტრუნვის მიხედვით შესრულებული და შეუსრულებელი დავალებების სტატისტიკური მონაცემების აღრიცხვა და ა.შ.

კანცელარიის პროგრამული უზრუნველყოფის საფუძველზე შეიქმნა მონაცემთა ერთიანი ბაზა, დაიხვეწა საჭირო პროცედურები და ეფექტური გახდა როგორც თავად კანცელარიის, ასევე მთლიანად სააგენტოს მმართველობითი საქმიანობა. პარალელურად მიმდინარეობს პროგრამის ამოქმედებამდე არსებული სააგენტოს კანცელარიის არქივის ციფრულ ფორმატში გადატანა და ერთიან მონაცემთა ბაზაში განთავსება.

უახლოეს მომავალში აღნიშნული პროგრამა განთავსდება სააგენტოს ვებ-გვერდზე და მომხმარებლებს შესაძლებლობა მიეცემათ სახლიდან თუ ოფისიდან გაუსვლელად, სარეგისტრაციო სამსახურებში ინტერნეტით გაგზავნონ კორესპონდენციები და ასევე ელექტრონულად მიიღონ მომზადებული პასუხები. **ჯი-ეიჩ-ენი**

CIA-ის თვითმფრინავი ნარკოტიკების არალეგალური ტრანსპორტირებისთვის გამოიყენებოდა

იტალიურმა ყოველდღიურმა გამოცემა *L'Espresso*-მ გამოაქვეყნა სტატია, რომელშიც ამერიკის ცენტრალური სადაზვერვო სამსახური - CIA დაადანაშაულა იმში, რომ ამერიკის დაზვერვის სამსახურის თვითმფრინავს გუანტანამოს სამხედრო ბაზაზე გადაჰყავდა არა მარტო ტერორიზმში ეჭვმიტანილები, არამედ კოლუმბიიდან ამერიკაში ნარკოტიკები გადაჰქონდა.

და თვითმფრინავი ნახევარკუნძულ იუკატანში ჩამოვარდა. მფრინავები გადარჩნენ და ისინი რამდენიმე საათის შემდეგ სამხედროებმა იპოვეს. მფრინავებმა აშშ-ს საკონსულოსთან დაუყოვნებლივ დაკავშირება ითხოვეს. გამოცემის ინფორმაციით, მოგვიანებით დადგინდა, რომ Gulfstream II რიონეგროდან მიფრინავდა კოლუმბიაში. თვითმფრინავის ბორცის ნომერი - N987SA აღრიცხულია ორ სიაში და დასტურდება, რომ 2002 წლიდან 2004 წლამდე Gulfstream II შეასრულა 18 რეისი დიდ ბრიტანეთს, ირლანდიას, საფრანგეთს, ამერიკასა და გუანტანამოს შორის. მექსიკაში რეისის შესრულებამდე თვითმფრინავი ეკუთვნოდა იმ ფირმას, რომელიც კოლუმბიაში არალეგალური ბიზნესის წარმოებაში იყო შემჩნეული.

გაზეთის ინფორმაციით, 2008 წლის 16 დეკემბერს მექსიკის შტატ სონორაში, რომელიც ამერიკის საზღვარზე მდებარეობს, 7 თვითმფრინავი დააპატიმრეს.

"ეს თვითმფრინავები არ უნდა ყოფილიყვნენ ამ რაიონებში, რადგან მათ კოლუმბიაში "კოკაინის" გადატვირთვის წინააღმდეგ ოპერაციის ჩატარება, როგორც ჩანს ევალებოდათ, ვინაიდან ის "კოკაინის" ამერიკაში ტრანსპორტირებისთვის გამოიყენა," - წერს გაზეთი.

გაზეთის ინფორმაციით, ნარკოსკანდალში ჩართული გაერთიანებული ერების ორგანიზაციაც აღმოჩნდა. როგორც გამოცემა ირწმუნება, გამოძიებამ აჩვენა, რომ გაეროს ნარკოტიკების წინააღმდეგ ბრძოლის სააგენტო, რომ-



Gulfstream II ჩამოვარდნის ადგილი.

ლის ოფისიც ვენაში მდებარეობს, მონაცემებს ამახინჯებდა მსოფლიოში ნარკოტიკების წარმოების თაობაზე.

გაზეთი აქვეყნებს გაეროს-ს მონაცემებს, რომლის მიხედვითაც, ყოველწლიურად მსოფლიოში მზადდება 600 ტონა "კოკაინი". არადა, ასოციაცია "ლიბერას" მონაცემებით, ამ რაოდენობის ნარკოტიკის ერთ თვეში მხოლოდ კოლუმბია აწარმოებს. გაეროს-ს მონაცემებს უარყოფს იტალიის ანტიმთავრობის ორგანიზაცია, რომლის მონაცემებითაც, იტალიური მავთოზური დაჯგუფება "კამორას" და "ნდრაგეტას" ევროპაში ყოველწლიურად 600 ტონა ნარკოტიკი შეაქვთ.

"ვენის სააგენტოს მონაცემები, ფაქტობრივად, ემთხ-

ვევს ამერიკის სახელმწიფო დეპარტამენტის მონაცემებს. 2000 წელს ამერიკამ მიიღო "კოლუმბიის გეგმა," რაც ამერიკელებს 4,5 მილიარდი დოლარი დაუჯდა. ეს გეგმა ნარკომაფიის წინააღმდეგ ჩვეულებრივი და საიდუმლო სამხედრო ოპერაციების ჩატარებას ითვალისწინებდა. თუმცა, "კოკაინის" წარმოების თაობაზე დეპარტამენტის ხელთ არსებულმა ინფორმაციამ გეგმა ჩაშალა," - წერს L'Espresso.

გაზეთი წინასწარ აქვეყნებს Narcomafie-ის თებერვლის ნომრის მონაცემებს, სადაც ნათქვამია: "311 კრისტალიზატორიდან, რომელიც კოლუმბიაში 2008 წელს უნდა გაენადგურებინათ, აწარმოებს 100 ტონა "კოკაინის" ქლორჰიდრატს. არსებული მონაცემებით, 2008 წელს კოლუმბიაში სულ ცოტა 2000 ტონა "კოკაინი" აწარმოეს. ეს მონაცემები 3-4-ჯერ აღემატება გაეროს-ს მონაცემებს და 4-5-ჯერ ამერიკისას."

გამოცემის განცხადებით, თითქმის იგივე დასკვნამდე მივიდა აშშ-ს სენატის უცხოელთა საქმეების კომისია. 2005 წელს თავის ანგარიშში კომისია წერდა, "კოლუმბიის გეგმის" ჩავარდნის თაობაზეც.

"ნარკომაფიის წინააღმდეგ ბრძოლის კონკრეტული ინფორმაციების არარსებობამ გეგმის ჩავარდნა დაანაშაულა თანამონაწილეობამდე," - წერდნენ სენატორები. დოკუმენტს ხელს აწერდა ყოფილი სენატორი ილინოისის შტატიდან და ამერიკის ამჟამინდელი პრეზიდენტი ბარაკ ობამა.

უპრეცედენტო პროცესი კოლუმბიაში

კოლუმბიის ქალაქ ბარანკაბერმეხის ყოფილ მერს, სასამართლომ 28 წლით პატიმრობა მიუსაჯა - ჟურნალისტის მკვლელობის ორგანიზებისთვის. მალაჩინოსანმა რეპორტიორის მოსაკლავად დაიქირავა ქილერი, რადგანაც ჟურნალისტი კორუფციული თემების გაშუქებისას მას სერიოზულ პრობლემებს უქმნიდა.

კოლუმბიისთვის უპრეცედენტო პროცესი, ჟურნალისტის მკვლელობის საქმის განხილვა - ქალაქის თავკაცისთვის ხანგრძლივი პატიმრობის მისჯით დასრულდა. როგორც საქმის მასალებიდან ირკვევა, ქალაქის მაშინდელმა თავკაცმა ხულო სეზარ არდილია ტორესმა რადიო Calor Estereo-ს 44 წლის ჟურნალისტის, ხოსე ემეტერიო რივასის მკვლელობა 2003 წლის აპრილში შეუკვეთა.

მკვლელობის მოტივი ის გახდა, რომ ქალაქის მერს ჟურნალისტის კრიტიკული მოსაზრებები არ მოსწონდა. ტორესს ბარანკაბერმეხის მერის თანამდებობა 2000 წლიდან 2003 წლამდე ეკავა. ჟურნალისტმა მერი არაერთხელ დაადანაშაულა კორუფციაში. სიკვდილამდე რამდენიმე დღით ადრე ტელევიზიით გამოსვლისას რივასმა არდილიოს მარადიორი უწოდა. ჟურნალისტმა ჩინოვნიკი ასევე დაადანაშაულა უკანონო ფორმირება "კოლუმბიის გაერთიანებული ძალებთან" ურთიერთობაში. Associated Press-ის ინფორმაციით, ოპერაცია, რომელიც ამ დაჯგუფების "ბოვიკების" წინააღმდეგ ბარანკაბერმეხში ტორესის მერობისას ჩატარდა მიზეზი გახდა უდანაშაულო ადამიანების დაღუპვისა და "ბოვიკებისთვის" სასურველი შედეგით დასრულდა. სასამართლომ დაკიბხულმა მთავარმა მოწმე რენერ ენ-

რიკე ბროკატემ განაცხადა, რომ ტორესმა "გაერთიანებულ ძალებს" რივასის მკვლელობისთვის 68 ათასი დოლარი შესთავაზა. ყოფილი მერი 2008 წელს დააპატიმრეს. რამდენიმე დღის წინ მისთვის გამოტანილი განაჩენი ნაიკითხა მოსამართლე ნელი ვალენსო არანდამ. მისივე გადაწყვეტილებით, ყოფილმა მერმა უნდა გადაიხადოს ჯარიმა 500 ათასი დოლარის რაოდენობით. ჟურნალისტის მკვლელობასთან დაკავშირებით სასამართლომ გაასამართლა ორი პირი, რომლებიც ყოფილ მერსა და ქილერებს შორის შუამავალის როლს ასრულებდნენ. მოსამართლემ მათ 26 წლით და რვა თვით პატიმრობა მიუსაჯა. გარდა ამისა, სასამართლო განხილვა მიმდინარეობს ულტრამერჯვენე დაჯგუფების ორი პირის მიმართ, რომლებსაც განაცენს უახლოეს დღეებში გამოუტანენ.

როგორც სასამართლოზე გაირკვა, რივასს ჯერ კიდევ 1999 წელს ემუქრებოდნენ და ამის გამო პოლიციამ სახლთან დაცვა დაუყენა. თავად მას კი, პირადი დაცვა დაუნიშნა, სპეციალური სახელისუფლებო პროგრამის - ჟურნალისტების დაცვის პროგრამის ფარგლებში. მკვლელობამდე რამდენიმე დღით ადრე ჟურნალისტმა დაცვის გაძლიერება ითხოვა. ჟურნალისტთა უფლებების დაცვის საერთაშორისო კომიტეტის ინფორმაციით, ბოლო 15 წლის მანძილზე, პროფესიული საქმიანობის მოტივით კოლუმბიაში მოკლეს 57 ჟურნალისტი. მკვლელობების 70 პროცენტზე მეტი გაუხსნელია, ან მკვლელობის შემკვეთი და ქილერი იძებნება. ბოლო 20 წლის მანძილზე ეს პირველი შემთხვევაა, როცა ჟურნალისტის მკვლელობის შემკვეთი და ისიც ყოფილი მაღალჩინოსანი გასამართლეს.

ბუმისთვის ნასროლ ფეხსაცმელს ერაყში ძეგლი დაუდგეს

ერაყში გაიხსნა ამერიკის პრეზიდენტ ჯორჯ ბუშისთვის ერაყელი ჟურნალისტის მიერ პრესკონფერენციაზე ნასროლი ფეხსაცმლის სკულპტურა. გიგანტური ფეხსაცმელი ქალაქ ტიკრიტში, ყოფილი ერაყელი დიქტატორის სადამ ჰუსეინის მშობლიურ ქალაქში დაიდგა, იმ სახლის ბაღში, სადაც განთავსებულია ერაყის კონფლიქტისას დაობლებულ ბავშვებზე მზრუნველი საქველმოქმედო ორგანიზაცია. ფეხსაცმელი თეთრ პედესტალზეა მოთავსებული. სკულპტურის სიმაღლე, დაახლოებით, 3 მეტრია. პედესტალზე ამოტიფურულია ლექსი, რომელიც ჟურნალისტ მუნთადარ ზაიდის საქციელს ხოტბას ასხამს. ცნობისთვის: გასული წლის დეკემბერში, ერაყში პრეზიდენტ ჯორჯ ბუშის პრესკონფერენციის დროს ჟურნალისტი ნამოხტა და ორივე ფეხსაცმელი ამერიკელ ლიდერს ესროლა, რომლის გვერდით ერაყის პრემიერ-მინისტრი ნური მალიკიც იმყოფებოდა. **მედიანიუსი**

ფიდელ კასტრომ აშშ-სგან გუანტანამოს სამხედრო ბაზის დაბრუნება მოითხოვა

კუბის სახელმწიფო საბჭოს ყოფილმა მეთაურმა ფიდელ კასტრომ აშშ-ს პრეზიდენტისგან გუანტანამოს სამხედრო ბაზის დაბრუნება მოითხოვა. სტატიაში, რომელიც კუბის სამთავრობო საიტზე გამოქვეყნდა, სათაურით - "აშშ-ს ახალი პრეზიდენტის შესახებ ბჭობა", ნათქვამია, რომ კუბაზე კუბელი ხალხის წინააღმდეგ სამხედრო ბაზის არსებობა საერთაშორისო სამართლის ძირეული უფლებების დარღვევად უნდა შეფასდეს. მან ობამას ამ პრინციპების ულპარაკოდ დაცვისკენ მოუწოდა და აღნიშნა, რომ ობამა სამხედრო ბაზის დაბრუნებაზე მანამ არ იფიქრებს, სანამ გუანტანამოს აშშ-სთვის სტრატეგიული მნიშვნელობა ექნება. **მედიანიუსი**

ერაყში დეპუტატობის ორი სუნიტი კანდიდატი მოკლეს

ერაყში 31 იანვარს პროვინციულ საკანონმდებლო ასამბლეებში დაგეგმილ არჩევნებში მონაწილე ორი სუნიტი კანდიდატი მოკლეს. ბაღდადში 29 იანვარს ჩაცხრილეს ომარ ფარუქ ალ-ანი, რომელიც პარლამენტში სუნიტების პარტიის უმთავრესი გაერთიანება "ერაყის თანხმობის ბლოკიდან" იყრიდა კენჭს. თავდასხმა ადამიანების ჯგუფის მიერ მოხდა. იმავე დღეს ქვეყნის ჩრდილოეთით, მოსულში, სადაც მეტწილად ქურთული მოსახლეობაა, მოკლეს ჰაზიმ სალიმ აჰმედი, "ერაყის ეროვნული ერთიანობის" სუნიტი კანდიდატი. მიმომხილველთა დიდი ნაწილი კარსმომდგარ არჩევნებს უყურებს როგორც ერაყის დემოკრატიული მმართველობის სტრუქტურების გამოცდას, რომლებიც სადამ ჰუსეინის ჩამოგდების შემდეგ ჩამოყალიბდა. **მედიანიუსი**

ისრაელი ღაზას სექტორში "ჰამასსა" და სხვა დაჯგუფებებზე საჰაერო დარტყმებს აგრძელებს

ისრაელი ღაზას სექტორში "ჰამასსა" და სხვა დაჯგუფებებზე საჰაერო დარტყმებს აგრძელებს. ღაზას სექტორში "ჰამასზე" ავიადარტყმების აგრძელების შესახებ გადაწყვეტილება მთავრობის უსაფრთხოების კაბინეტისა და ისრაელის თავდაცვის სამინისტროს მაღალჩინოსნების შეხვედრის დასრულების შემდეგ გახდა ცნობილი. **"სამარო დარტყმები აუცილებელია, რათა ვაჩვენოთ "ჰამასს", რომ მისი დარტყმები ისრაელის მხრიდან უპასუხოდ არ დარჩება,"** - განაცხადა გაზეთ "ჰარეცთან" საუბრისას მთავრობასთან დაახლოებული პირმა. **პირველი**

ამერიკულ ჯარში თვითმკვლელობებმა იმატა

ამერიკულ ჯარში უკვე მეორე წელია, თვითმკვლელობების რეკორდული მაჩვენებელი ფიქსირდება. "ბი-ბი-სი"-ს ინფორმაციით, 2008 წელს 128 ამერიკელმა ჯარისკაცმა სიცოცხლე თვითმკვლელობით დაასრულა, კიდევ 15 საქმეზე კი გამოძიება გრძელდება. ჯარში თვითმკვლელობების გახშირების ზუსტი მიზეზი ვერ სახელდება, თუმცა ამერიკელი სამხედროები აღიარებენ, რომ ამაში გარკვეულ როლს თამაშობს ხანგრძლივი სამსახურებრივი მივლინებები სამხედრო მოქმედებების ზონებში, კერძოდ - ერაყსა და ავღანეთში. ქვეყნის სამხედრო ხელმძღვანელობა აცხადებს, რომ ჯარისკაცებს შორის თვითმკვლელობების აღმოფხვრა ნომერ პირველი პრობლემაა და ვითარების შესაცვლელად ყველაფერი კეთდება. სტატისტიკის მიხედვით, თვითმკვლელობების 35 პროცენტი ჩაიდინეს იმ ჯარისკაცებმა, რომლებიც არ ყოფილან გაზავნილი სამხედრო სამსახურის ადგილებში, 30 პროცენტი დანიშნულების ადგილზე მსახურობდა, ხოლო შემთხვევათა დანარჩენი 35 პროცენტი სახლში მოხდა - ხშირად სამხედრო სამსახურის დასრულებიდან, დაახლოებით, ერთი წლის შემდეგ. 2007 წელს ამერიკულ ჯარში თვითმკვლელობის 115 შემთხვევა დაფიქსირდა. 2008 წლის მონაცემებმა გამოავლინა, რომ ვიეტნამის ომის შემდეგ პირველად ჯარში თვითმკვლელობების მაჩვენებელმა პროპორციულად გადააჭარბა სამოქალაქო საზოგადოებაში არსებულ შესაბამის მონაცემებს. **მედიანიუსი**

ინციდენტი დავოსში

პირველი ჩვირები

სწორედ, პერესის გამოცვლას მოჰყვა რეჟემ ტაიპ ერდოგანის მძაფრი რეაქცია. **"თქვენ იცით, რომ ყურს გიგდებენ და ამიტომ იმართლებთ თავს. თანაც იცით, რომ თქვენც მიგიდლებთ ბრალი. თქვენ ღაზას სექტორში ბავშვები და სამოქალაქო პირები დახოცეთ. საქმე მკვლელობას ეხება,"** - დაიყვირა თურქეთის პრემიერმა, რამაც დარბაზში ხმაური გამოიწვია.

აურზაურის შემყურე შიმონ პერესი წყობიდან გამოვიდა და თანამოსაუბრეს თითოთ უბიძგა, თან ხმას აუწია: **"თქვენ რას მოიმოქმედებდით რაკეტები სტამბულს რომ დასცემოდა?"** ისრაელის პრეზიდენტის სიტყვებს დარბაზში აპლოდისმენტები მოჰყვა. საპასუხოდ ერდოგანმა მიკროფონი მოითხოვა, ხოლო კონფერენციის მოდერატორმა მას ზუსტად ერთი წუთი მისცა.

"კარგად მახსოვს ისრაელის ორი წინა პრემიერ-მინისტრი, რომლებიც ბედნიერი იყვნენ, როცა ღაზას სექტორში ტანკების შეყვანა შეძლეს. სამწუხაროა, რომ აქ დამსწრე საზოგადოებამ აპლოდისმენტებით მხარი დაუჭირა თქვენს სიტყვებს. ღაზას სექტორში თქვენ ხალხი დახოცეთ და არა მგონია, რომ ეს სწორი და ჰუმანური საქციელი იყო," - განაცხადა ერდოგანმა.

კონფერენციის მოდერატორმა, "ვაშინგტონ პოსტის" მესვეტე ჟურნალისტმა დევიდ იგნატიუსმა მას სიტყვა შეაწყვეტინა: **"ჩვენ არ შეგვიძლია დებატების ხელშეწყობა დაწყება. ამის დრო არ გვაქვს, პატივცემული საზოგადოება ვახშამულებ უნდა გაემართოს."**



თურქეთის პრემიერმა სთხოვა, მისთვის სიტყვის დამთავრების საშუალება მიეცა, რაზეც უარი მიიღო, რის შემდეგაც ერდოგანი წამოიძრა და დემონსტრაციულად დატოვა დარბაზი სიტყვებით: **"დიდი მადლობა. არა მგონია, რომ ამის შემდეგ ოდესმე დავოსში ჩამოვიდე. ჩემთვის დავოსი დასრულდა."**

პრემიერს ჟურნალისტები დაედევნენ, მაგრამ კომენტარის მიღება მხოლოდ მოგვიანებით შეძლეს. ერდოგანის თქმით, მან დარბაზი იმიტომ დატოვა, რომ ნაკლები დრო მიეცა საკუთარი აზრის გამოხატავად, თუმცა არც ისრაელის პრეზიდენტთან შელაპარაკება დაეინწყინა.

"მე არაფერი მაქვს ებრაელი ერისა და პრეზიდენტ პერესის სანაწილადმდეგო. დიდ პატივს ვცემ შიმონ პერესს მისი ასაკისა და გამოცდილების გამოვალისწინებით, მაგრამ მე თურქეთის პრემიერ-მინისტრი ვარ და არა "ჰამასის" მეთაური. მას უფლება არა აქვს, ასეთი ტონით მელაპარაკოს. მე ვარ პრემიერ-მინისტრი, რომელიც ხმამაღლა ვაცხადებ, რომ ანტისემიტურია კაცობრიობის წინააღმდეგ დანაშაულია," - განაცხადა რეჟემ ტაიპ ერდოგანმა.

ოფიციალური ანკარა ერთ-ერთი იმ მუსლიმურ ქვეყანათაგანია, რომელსაც ნორმალური კავშირები ჰქონდა ისრაელთან,

მაგრამ ურთიერთობები დაიძაბა თურქეთში 2002 წელს ხელიწერილი სათავები "სამართლიანობისა და განვითარების პარტიის" მოსვლის შემდეგ, რომელსაც ისლამური ფესვები აქვს.

ხუთშაბათს საღამოს შიმონ პერესმა და რეჟემ ტაიპ ერდოგანმა ტელეფონით ისაუბრეს ერთმანეთთან და საკითხი ამონაშურულად მიიჩნიეს. დავოსიდან სამშობლოში დაბრუნებულ ერდოგანს თანამემამულენი როგორც გამირს ისე შეხვდნენ. **"ერდოგან, ჩვენ შენთან ვართ!",** "ერდოგანი - მომავალი მსოფლიო ლიდერი!" - ამ შინაარსის პლაკატებით დახვდა ხალხი აეროპორტში პრემიერ-მინისტრს.

ჩრდილოეთისა და სამხრეთის ომი

ფხენიანი სულთან მიღწეულ შეთანხმებებს არღვევს

მარიკა იაშვილი

ჩაკეტილი სახმელეთო საზღვარი, "წითელი ჯვრის" დახურული ოფისი, აკრძალვა ქვეყანაში სამხრეთ კორეელი ტურისტების ჩასვლაზე და პირდაპირი სატელეფონო კავშირის შეწყვეტა - ეს ის ნაბიჯებია, რომლებიც ჩრდილოეთ კორეამ სამხრეთელ მეზობელთან შეთანხმების ჩაშლის შემდეგ გადადგა. "ჩვენ ვწყვეტთ ყოველგვარ კავშირს სეულთან," - აცხადებენ ფხენიანში.

ჩრდილოეთ კორეაში მიიჩნევენ, რომ ნახევარკუნძულზე ამჟამად არსებული ვითარებიდან გამოსავალი ან ნორმალური ურთიერთობის აღდგენის იმედი არ არსებობს. **"სამხრეთ კორეამ ორი ქვეყანა ომის ზღვარზე მიიყვანა. ყველა შეთანხმება, რომლებიც სამხრეთსა და ჩრდილოეთს შორის არსებული პოლიტიკური თუ სამხედრო კონფრონტაციის დასრულებას ეხებოდა, ანუ-ლირებულა,"** - აცხადებს ჩრდილოეთ კორეის მთავრობა. შეთანხმებას მშვიდობის შესახებ ჩრდილოეთ და სამხრეთ კორეამ 2007 წელს მიაღწიეს. თუმცა მას შემდეგ, რაც სამხ-


რეთ კორეის პრეზიდენტის პოსტი კონსერვატორმა ლი მენ ბაკმა დაიკავა, ურთიერთობა კვლავ დაიძაბა. ფხენიანის უკმაყოფილება ახალი პრეზიდენტის მკაცრმა პოლიტიკამ და მკვეთრმა განცხადებებმა გამოიწვია. ლი მენ ბაკმა ხელისუფლებაში მოსვლისთანავე განაცხადა, რომ იმ შემთხვევაში, თუ ჩრდილოეთ კორეა იტყვიან პროგრამაზე უარს არ იტყვის და დაუყოვნებლივ დემილიტარიზაციას არ დაიწყებს, სამხრეთი მასთან ეკონომიკურ ურთიერთობას განწყვეტს.

ერთ-ერთი ყველაზე მტიკინული საკითხი სამხრეთ და ჩრდილოეთ კორეის ურთიერთობაში საზღვაო შეღების საკითხია. სწორედ ეს უნდა ყოფილიყო მათი სამშვიდობო შეთანხმების მთავარი პუნქტიც, თუმცა ჩრდილოეთი კორეა ამ საკითხში კვლავ თავისი პოზიციის შენარჩუნებას ამჯობინებს. ეს კი, თავის მხრივ, 1999-2002 წლებში მომხდარი ინციდენტების გამოვლინების საფრთხეს ზრდის. საუბარია ყვითელ ზღვაში ქვეყნებს შორის არსებულ დე ფაქტო საზღვართან ჩრდილოეთისა და სამხრეთის სამხედრო-საზღვაო ძალებს შორის მომხდარ შეტაკებებზე, რომელთა შედეგად სამხრეთ კორეის ექსი, ხოლო ჩრდილოეთ კორეის ათობით მოქალაქე

დაიღუპა. შექმნილ ვითარებაში ნახევარკუნძული ომის მოლოდინშია. ფხენიანი კვლავ განაგრძობს სამხრეთელთა პოლიტიკის კრიტიკას და აცხადებს, რომ მათ მიერ გადადგმული ყველა ნაბიჯი და განცხადება მხოლოდ და მხოლოდ ვითარების კიდევ უფრო დაძაბვას უწყობს ხელს და ოფიციალურ სეულს ომის წამოწყება სურს. ორ ქვეყანას შორის არსებული დაძაბულობიდან გამომდინარე, ომის ალბათობა სულ უფრო რეალური ხდება. თუმცა არ არის გამორიცხული, ჩრდილოეთ კორეას ბევრად უფრო შორეული გათვლები ჰქონდეს, ვიდრე ეს სამხრეთელ მეზობელთან მცირემასშტაბიანი შეტაკებებია. ფხენიანის ლიდერებს ამერიკის ახლად არჩეული სასარგებლოდ დენის ყურადღების მიპყრობა სურთ და ცდილობენ, ობამას, ისევე როგორც მთელ მსოფლიოს, დაუმტკიცონ, რომ ნახევარკუნძულზე შექმნილ კონფლიქტში მთავარი დამნაშავე სეულია. ფხენიანში მიაჩნიათ, რომ მოლაპარაკების შემთხვევაში ეს მათ მნიშვნელოვან უპირატესობას მიანიჭებს და სადავო საკითხების თაგანს სასარგებლოდ გადაწყვეტას შეძლებენ. ჩრდილოელთა ბრალდებების მიუხედავად, ოფიციალური სეული კვლავ ცდილობს მეზო-

ბელთან ურთიერთობის აღდგენას, მწუხარებას გამოთქვამს იმის გამო, რომ ორი კორეული რესპუბლიკა საერთო ენის გამოწვევას ვერ ახერხებს და ჩრდილოელებს მოუწოდებს, კიდევ ერთხელ მიუსხდნენ ერთად მოლაპარაკების მაგიდას, რათა მორიგი სისხლისღვრა თავიდან აიცილონ. სამხრეთ და ჩრდილოეთ კორეას, ომის გარდა, კიდევ ერთი სერიოზული საფრთხე - ეკონომიკური პრობლემები ემუქრება. ინვესტორები და მსხვილი უცხოური კომპანიები ნახევარკუნძულიდან საქმიან ურთიერთობებზე უარს აცხადებენ, რადგან მიიჩნევენ, რომ მათ უსაფრთხოებისა და სტაბილურობის გარანტია არა აქვთ. თუმცა საფრთხეებზე საუბრისას პრიორიტეტულად მაინც ომის საშიშროება რჩება, რადგან კორეის 1950-53 წლების ომის შემდეგ გაფორმებულ სამშვიდობო ხელშეკრულებაზე დატანილია ჩრდილოეთ კორეის, აშშ-ს და ჩინეთის ხელმოწერები, მაგრამ არ არსებობს სამხრეთ კორეის ხელმოწერა. გამომდინარე აქედან, კორეული რესპუბლიკები ერთმანეთთან დღემდე ოფიციალურად საომარ მდგომარეობაში იმყოფებიან და მორიგი შეტაკებებიც ალბათ არცთუ ისე შორეული პერსპექტივაა.

რევოლუ



მადრიდის პრადოს მუზეუმში, გუშინ სალამოს ცნობილი ბრიტანელი მხატვრის, ფრენსის ბეკონის რეტროსპექტიული გამოფენა გახსნეს. ბეკონის ნამუშევრები მსოფლიოს ყველა იმ დიდ მუზეუმშია წარმოდგენილი, რომლებიც თანამედროვე ფერწერას აგროვებენ. ფრენსის ბეკონი მსოფლიოში ყველაზე ძვირადღირებული მხატვრული ტილოების ავტორია მეოცე საუკუნის გარდაცვლილ მხატვრებს შორის. მხატვარი, რომელმაც აიძულა მსოფლიო, მხატვრობა ნებისმიერ თანამედროვე მიმართულებაზე მრავლისმომცველიად ელიარეზინათ და ამავდროულად, როგორც ამბობენ, მანვე 'მოკლა ფერწერა'. ბეკონის შემდეგ რთულია ხატო, მან ყველაფერი წარმოიდგინა და დახატა, რაც თანამედროვე ადამიანს შეეძლო რომ წარმოედგინა და შემდეგ დაეხატა.

AFP © 2009

დახმარება, მხარდაჭერა, მიზანი!

ჯაკ ჩიკვანიძე

ძალიან მძიმეა და ალბათ არავის სურს იმის გახსენება, თუ რა ხდებოდა საქართველოში 2008 წლის აგვისტოში. საომარი მოქმედებების შედეგად დაზარალებული ადამიანები და მათ შორის ბავშვებიც, როგორც ქვეყნის შიგნით, ისე მის ფარგლებს გარეთ გადაადგილდნენ. კრიზისის კულმინაციის დროს თითქმის 40 000 ბავშვი იქნა ქვეყნის შიგნით იძულებით გადაადგილებული. ბევრი მათგანი უშუალოდ საომარი მოქმედებების ზონიდან იყო გამოქცეული, ზოგი კი თავად გახდა ძალადობისა და ნგრევის მონაწილე. ყველა ბავშვი ტრავმირებული იყო იმის გამო, რომ მათ უეცრად, ექსტრემალურ ვითარებაში მოუხდათ საკუთარი სახლების დატოვება და დროებით თავშესაფარში, ხშირად უცხო ადამიანებთან ერთად უნედათ ცხოვრება. ხშირ შემთხვევაში ისინი საკუთარი ოჯახების, მეზობლებისა და თავის სოციალური წრისგან განცალკევებით ცხოვრობდნენ. ეს ბავშვები განსაკუთრებულ ზრუნვას საჭიროებდნენ და გარდა კვებისა თუ სანიტარული მომსახურებისა, მათ ფსიქოლოგიური რეაბილიტაციაც სჭირდებოდათ. ასოციაცია საქართველოს ტექსტილის ჯგუფმა ამერიკის შეერთე-



ბული შტატების საელჩოს ფინანსური დახმარებით დევნილებისა და ომით დაზარალებული მოსახლეობისთვის სამ თვიანი სოციალური რეაბილიტაციის პროექტი განახორციელა. პროექტი "კამარა II" გორის რაიონში ჩატარდა, სადაც ომით დაზარალებულ ბავშვებსა და ქალბატონებს ხელსაქმის სხვადას-

ხვა გაკვეთილები ჩაუტარდათ. სპეციალურად შერჩეული პედაგოგები უტარდებდნენ გაკვეთილებს ხატვაში, ქარგვაში და ფარდაგულ ქსოვაში, ასწავლიდნენ თეატრულ მუშაობასაც. სპეციალურად ბავშვებისთვის ჩატარდა თოჯინების კეთებისა და მარიონეტების ძერწვის გაკვეთილები. პროექტის მთავარი მიზანი

იყო დახმარება გაენიათ ომის შედეგად დაზარალებულ ბავშვებსა და ქალბატონებს ფსიქოლოგიურ რეაბილიტაციასა და შემოქმედებითი პროცესის განვითარებაში. "დევნილობის პერიოდში ეს პროექტი ძალიან დაგვეხმარა ფსიქოლოგიურ რეაბილიტაციაში. ჩვენთვის დაუზოგავად შრომობდ-

ნენ, რომ ხელობა გვესწავლა და საკმაო წარმატებასაც მივალნიეთ", - ამბობს პროექტის მონაწილე ია ზუბაშვილი.

სამთვიანი მუშაობის შედეგად მიღებული ნამუშევრები საქართველოს ტექსტილის ჯგუფმა გუშინ, აბრეშუმის მუზეუმში გამართულ გამოფენა-გაყიდვაზე წარუდგინა საზოგადოებას. გამოფენილი იყო ბავშვთა ნახატები, თექის ქუდები, ჩუსტები და სამკაულები, გობელენი, ხევისრული ორნამენტებით შესრულებული სხვადასხვა ნამუშევრები, თოჯინები, გამოძერწილი მარიონეტები და სხვა მრავალი ხელნაკეთი ნივთები. "პროექტი განკუთვნილი იყო იმისთვის, რომ ბავშვებს განტვირთვის საშუალება მისცემოდათ და მასალის გამოყენება ესწავლათ. საკმაოდ ნიჭიერი და დაინტერესებული ხალხია. ჩვენ ძალიან კმაყოფილები ვართ შედეგით და ვთვლით, რომ პროექტის მიზანი მთლიანად შესრულებულია", - აღნიშნა საქართველოს ტექსტილის ჯგუფის ხელმძღვანელმა ნინო ყიფშიძემ.

გამოფენაზე წარმოდგენილმა ნამუშევრებმა მნახველთა საკმაოდ დიდი დაინტერესება გამოიწვია. არაერთი ნამუშევარი უკვე გაიყიდა. აბრეშუმის მუზეუმში გამართული გამოფენა-გაყიდვა კიდევ სამ დღეს გაგრძელდება.

ბასა ჯანიკაშვილის შაბათობები



ინტერვიუ მეექვსე

პრემიერი და კრიზისი

გასული კვირის მსგავსად, საქართველოს პრეზიდენტი კვლავ ყურადღების ცენტრში მოექცა. პარასკევს, საქართველოს მოსახლეობამ და მთელმა მსოფლიომ შეიტყო საქართველოს ახალი პრემიერის სახელი - ეს ნიკა გილაურია. გავითვალისწინებ რა გავითის მკითხველის ინტერესს, გადავწყვიტე გავსაუბრებოდი საქართველოს დამსახურებულ მონადირეს, მეთევზეთა და მეცხვარეთა კავშირის საპატიო წევრს - ასტამურ საგანელიძეს. ბატონი ასტამურ საგანელიძე უკვე იმ ასაკშია, როდესაც შინიდან ვეღარ გადის და დღე და ღამე ტელევიზორს არის მიჯაჭვული.

ბასა ჯანიკაშვილი - ბატონო ასტამურ, დიდი მადლობა რომ გამოხატეთ დრო და ჩვენი გაზეთის მკითხველს კომპეტენტურ აზრს გავაცნობთ ქვეყანაში მიმდინარე მოვლენების...

ასტამურ საგანელიძე - დიდი მადლობა ბატონო ბასა. მე ყოველთვის მზად ვარ შევხვედეთ თქვენი ჟურნალის მკითხველს და...

ბ.ჯ. - გავითის, გავითის მკითხველს, ბატონო ასტამურ.

ა.ს. - დიახ, ჩემო ბატონო, გავითის მკითხველს და ჩემი შთაბეჭდილებები გავაცნოთ ნადირობის სეზონის შესაბამისად.

ბ.ჯ. - ამჯერად, თქვენ, როგორც ცნობილ მონადირეს, რა აზრი გაქვთ სამთავრობო ცვლილებების შესახებ?

ა.ს. - არ ვიცი ამ თემას ჩემო ბატონო.

ბ.ჯ. - გუშინ პრეზიდენტმა სამთავრობო სხდომა ჩაატარა, სადაც ახალი პრემიერ მინისტრი დანიშნა.

ა.ს. - ვინ?

ბ.ჯ. - ნიკა გილაური. ბოლოს იგი ფინანსთა მინისტრი იყო, მანამდე კი...

ა.ს. - ნიკა გილაური? რას მელაპარაკებით? ვიცნობ კარგად ძალიან.

ბ.ჯ. - მართლაც? როგორ შეგიძლიათ დაახასიათოთ?

ა.ს. - არაჩვეულებრივი მონადირეა. ერთხელ მე და ნიკა ბაღდათი ვიყავით დათვებზე სახადირობა, გამოვიდა ეს დათვი და აი, ასე პირისპირა დაუდგა და დაპირდა ორი ტყვია, ათ მეტრში, წარმოიდგინეთ, ჩემო ბატონო, მოდის უმეღვლებელი დათვი და შენსკენ რა მოდის, ისე კი არა, აი, პირდაპირ რომ მოდის და ამ დროს უკვე მიზანი უნდა ამოიღო, მერე გადატენო, უნდა ამოიღო მიზანი და დასცე. და თუ ააცილებ...

ბ.ჯ. - მე მეგონა, ჩვენ მინისტრებს ნადირობის დრო არ ჰქონდათ.

ა.ს. - რატომ ამბობთ მაგას, ბატონო ბასა?

ბ.ჯ. - მე არა, თვითონ ამბობენ. მკურნალობის დრო არა აქვთ და სანადიროდ როგორ ასწრებენ?

ა.ს. - რა შუაშია მკურნალობა? მე ნადირობაზე გელეპარაკებით.

ბ.ჯ. - კი ბატონო, გისმენთ.

ა.ს. - ერთხელ, მე და ნიკა გილაური მაშინ ახალგაზრდები ვიყავით, ე-ე, როდის გეუბნები ამას, სამოცდა... ცხრა, და...

ბ.ჯ. - მგონი ნიკა გილაური მაშინ დაბადებული არ იყო, ბატონო ასტამურ.

ა.ს. - ჩემო ბატონო, თქვენ მოხვედით ჩემთან, მე ხო არ მოვსულვარ? დამამთავრებინეთ ლაპარაკი.

ბ.ჯ. - კი ბატონო, მაგრამ, თქვენ სხვა ნიკა გილაურზე მელაპარაკებით.

ა.ს. - ნიკა გილაური ერთია და წყალი არ გაუვა მაგას! რას ქვია, სხვა ნიკა გილაური?

ბ.ჯ. - რას ჰქვია და ნიკა გილაური, საქართველოს ახალი პრემიერ მინისტრი ახალგაზრდა კაცია და სამოცდაცხრაში არც იყო დაბადებული. როგორ შეიძლება მასთან ერთად გენადიროთ?

ა.ს. - აბა, რა საქმეზე ხართ მოსული ბატონო ჩემო?

ბ.ჯ. - მკითხველს თქვენი კომპეტენტური აზრის მოსმენა უნდოდა ახალგაზრდა პრემიერ მინისტრზე და სატელეფონო საუბრის დროს, თქვენ მითხარით, რომ ძალიან კარგად იცნობდით მას. ამიტომაც, გადავწყვიტე თქვენთან ინტერვიუს ჩაწერა.

ა.ს. - მე ვიცნობ ბატონო ნიკა გილაურს. პროფესორია ბატონო ჩემო და ლექციებს კითხულობს კასპის ზღვის უნივერსიტეტში, უნესიერესი კაცია და კარგი მეგობარი და რაც მთავარია მონადირეა.

ბ.ჯ. - კარგი, ბატონო ასტამურ, მცირე გაუგებრობად ჩავთვალოთ. ინტერვიუს ბოლოს, ჩვენ ასეთი ტრადიცია გვაქვს, იქნებ რაიმე კურობიზი მოგვიყვებოთ?

ა.ს. - ნიკა გილაური რომ ნადირობს, იმაზე კარგად თქვაოდა იცის. ერთხელ, ახალგაზრდები ვართ მაშინ, პოლტავაში ვიყავით მილვლინებით და დაგვპატიჟეს სათევზაოთ. ეს იცოდა რომელი წელია? გეტყვით ახლაც ჩემო ბატონო, სამოცდა თერთმეტი. მასსოვს იმიტომ რომ ნიკამ მაშინ იმ წელს ცოლი მოიყვანა. ჰოდა პოლტავაში ვართ და დაგვპატიჟეს სათევზაოდ, იქაურმა, ჩვენმა უკრაინელმა მეგობრებმა, წავედით და რას ვხედავ? არ დარჩა ნიკას ანკეპი? ჰა ჰა იმდენი ვიცინებთ, რომ ეხლაც ცრემლები მადავლებს. (იცინის)

ბ.ჯ. - მადლობა. (იცინის) კარგად ბრძანდებოდეთ. ა.ს. - მინდა წარმატება უსურვო ჩემ მეგობარს ამ თანამდებობაზე, და გადავიცით. **ბ.ჯ.** - გადავიცემ. დიდი მადლობა.

ფოტოისტორია საფრანგეთიდან

მეოთხე FOTO და შემდეგის მოლოდინში

სოფო კილასონია

ჟურნალ "ამარტას" მკითხველი და უბრალოდ ფოტოგრაფიის მოყვარული კარგად იცნობენ ამ ჟურნალის დამატებას - Foto. თუმცა ეს არსება მისი სპეციფიკურობის, სიღმეების, ხარისხის და საკუთარი მკითხველის წყალობით სულაც არ აღიქმება, როგორც რაიმეს დანამატი. გუშინ სალამოს მისი მეოთხე ნომრის პრეზენტაცია გაიმართა. პირველი ნომრისგან განსხვავებით, რომლის საჯარო პრეზენტაცია არ გამართულა, ამ მეოთხეს ძალიან გაუმართლა. მასთან შეხვედრა და მის შესახებ საუბარი ალექსანდრე დიუმას სახელობის ფრანგული კულტურის ცენტრში გამართეს. ცხადია, ამ ამბავს ჰქონდა გამომწვევი მიზეზი.



ბი, რომლებიც ჟურნალის ნინა-სიტყვაობად წარმოგვიდგინეს, კიდევ ერთხელ მართლდება ჟურნალის შიგთავსით, საინტერესო სტატიებით და იმ არტისტული ცხოვრებით, რომლითაც საფრანგეთი ცხოვრობს და რომელიც ნესტან ნიჟარაძის მიერ დაწერილი ტექსტებით ჟურნალის მკითხველისთვისაც ცნობადი და საინტერესო ხდება. ვინაიდან ფრანგული თანამედროვე ხელოვნების ტენდენციებისთვის ერთხელ რეალურად ანდა ინტერნეტში მაინც შეუვლია თვალი, მან იცის, რომ ფოტოგრაფიის გარეშე ის წარმოუდგენელი და ფოტოგრაფიაც ძალიან ღირსეული იქნებოდა ფრანგების გარეშე. ასე რომ ამ ქვეყნის კულტურა, გასული და მიმდინარე საუკუნე მეტად მჭიდროდ არის ფოტოს ისტორიასთან დაკავშირებული. გადახედვით ჟურნალს და დამეთანხმებით...

გურამ ნიბახაშვილის და ნესტან ნიჟარაძის მოგზაურობა საფრანგეთში არლის ფოტოგრაფიის ფესტივალის მონაწილეობით დაიწყო და პარიზის მუზეუმებისა და გალერეების საგამოფენო სივრცეებში გადმოინაცვლა. "ამარტა-ფოტოს" ეს ნომერი ნიგნივითაა და პირველ გვერდზე მისი ნომერი რომ არ გვახსენებდეს მის პერიოდულობას, თავისუფლად ჩავთვლიდით, რომ ხელთ გვაქვს ნიგნი, რომელიც საფრანგეთს იტევს.

დიახ, საფრანგეთს, ქვეყანას, რომელსაც იმდენი შეუქმნია ფოტოგრაფიაში, რომ ახლა

თავისუფლად შეიძლება შექმნილი მხოლოდ დათვლიერებით მისი ისტორია- მეოცე საუკუნე და რაც მთავარია, ანმყო გავიცნოთ.

მეოთხე "ფოტო" უკვე მის მიერ დასახულ ტრადიციებს არ ღალატობს. მიმოიხილავენ ახალ ნიგნებს ფოტოგრაფიისა და ფოტოგრაფების შესახებ. რუბრიკაში პორტფოლიო გვაცნობენ ფრანგი კლასიკოსი ფოტოგრაფის, მეოცე საუკუნის ბურჟუაზიული ყოფის მემკვიდრის - ჟან-ანრი ლარტიგის, მის "ლამაზი ეპოქის მოგონებებს" ენაცვლება ფოტონაბეჭდები არლის 2008 წლის ფესტივალთან. გასული წლის ივლისში ყოველწლიური ფესტივალი 39-ედი გაიმართა და აქცენტი მოდისა და ფოტოგრაფიის ტანდემზე გაკეთდა.

არლის ფესტივალის ინტერეიტებს მოსდევს ინტერვიუ ლუსიან კლერგთან, ფოტოგრაფთან, რომელმაც ახლახანს ხელოვნების დამსახურებული მოღვაწის ორდენი დაიმსახურა საფრანგეთის მთავრობისგან. როგორც ნესი ამ ორდენით მწერლები და მხატვრები ვიღოვდებიან, მაგრამ ეს ფოტოხელოვანი გამონაკლისია და თურათომ, ამას ჟურნალში წაიკითხვათ.

აქედან უკვე პარიზში უნდა გადავიწვილოთ. ელისეს მინდვრებს, კონკორდის მოედნის ქვაფენილების მონახაზებს უნდა ავედევნოთ, ჟურნალის ავტორების მარშუტს გავეყვით... ვხედავთ და ვკითხულობთ,

თამანდროვი ხელოვნება გაქვირდა

ლონდონის აუქციონზე, რომელსაც "Christie's" სახლი 2009 წლის 11 თებევალს ჩაატარებს, თანამედროვე ხელოვნება 31 ლოტს წარმოადგენს. ვაჭრობიდან მიღებული კონსერვატორული ფასი 15 მილიონ ფუნტ სტერლინგს აღემატება (21 მილიონ დოლარზე მეტი). ორი ყველაზე ძვირფასი ლოტი აღმოჩნდა ფრენსის ბეკონის - "მამაკაცი ლურჯში VI" (4-6 მილიონი ფუნტი, ანუ 5.6 - 8,5 მილიონი დოლარი) და მარკ როტკოს "მწვანე, ლურჯი, მწვანე ლურჯზე" (2,5 - 3,5 მილიონი ფუნტი, ანუ 3,5 - 4,9 მილიონი დოლარი) ნამუშევრები.

"Christie's" აუქციონის პრესრელიზში ასევე ნახსენებია ისეთი ლოტები, როგორიცაა ალბერტო ბურის ობიექტი "ცეცხლმოკიდებული პლასტიკატი" (800 ათასი - 1,2 მილიონი ფუნტი, ანუ 1,1 - 1,7 მილიონი დოლარი), ჯეფ კუნსის ნახატი "მაიმუნები (კობე)" (1,4 - 2, ილი-

ონი ფუნტი, ანუ 2-2,8 მილიონი დოლარი), ვილემ დე კუნინგის ტილო "მომღერალი ქალები I" (650-850 ათასი ფუნტი, ანუ 917 ათასიდან 1,2 მილიონ დოლარამდე). აღსანიშნავია, რომ ბეკონის, ბურისა და დე კუნინგის ნამუშევრები აუქციონზე 30 წელზე მეტია არ გამოუტანიათ.

ჩვენ, როგორც ნესი, ვაკვირდებით ბაზარზე უმაღლესი ხარისხის ნამუშევრებზე მყარ მოთხოვნას, მით უფრო მაშინ, თუ ისინი აუქციონზე მრავალი წლის განმავლობაში პირველად გამოიფინება", - ამბობს პილარ ორდოვასი, რომელიც არის "Christie's" აუქციონის თანამედროვე და ომის შემდგომი პერიოდის ხელოვნების ევროპული განყოფილების ხელმძღვანელი.

ეს გახლავთ ის, რაც უახლოეს მომავალში იგეგმება. "Christie's" უკანასკნელი სიახლე კი, ის გახლავთ, რომ 29 იანვარს, ნიუ იორკში, ძველი ოს-

ტატების აუქციონზე 12,9 მილიონ დოლარად გაიყიდა ბრიტანელი მხატვრის, უილიამ ტერნერის ნამუშევარი, სახელწოდებით - "იუპიტერ პენელინსკის ტაძარი". ის ყველაზე ძვირფას ლოტად იქცა. ამის შესახებ ინფორმაცია "BBC"-მაც გავავრცალა.

ტილო, რომელიც პირველად 1816 წელს წარმოადგინეს, უკანასკნელი 25 წლის განმავლობაში ამერიკელ არტ-დილერს - რიჩარდ ფეიგენს ეკუთვნოდა; სურათის ახალი მფლობელის ვინაობა, რომელმაც აუქციონში ტელეფონის საშუალებით მონაწილეობდა, უცნობია.

როგორც "BBC"-მ აღნიშნა, 28 იანვარს ნიუ იორკის "Christie's" აუქციონზე ტერნერის კიდევ ოთხი ნამუშევარი გაიყიდა, რომელთა საერთო ღირებულება მიაღწია, დაახლოებით, 1,8 მილიონი დოლარი შეადგინა. ამ მხატვრის ნამუშე-

რომ შემდეგი გაჩერება პარიზის ერთ-ერთი გალერეაა, რომელშიც ნესტან ნიჟარაძე და მასთან ერთად ჩვენც ამერიკელ ფოტოგრაფს - რიჩარდ ავედონს და მის პირველ რეტროსპექტიულ გამოფენას (გარდაცვალების შემდეგ) ვეცნობთ. ავედონის ექსპოზიციას Jeu de Paume-ის მუზეუმში შევყავართ და მისი დირექტორი მკითხველს, პოტენციურ მენეჯერს, არტ-კურატორს, ანდა მუზეუმის თანამშრომელს თანამედროვე სტანდარტების დეტალებს და საკუთარ გამოცდილებას უზიარებს.

"ფოტოს" გვერდები ასახავენ, რომ ავტორების მოგზაურობა პარიზში თანდათან უფრო საინტერესო ხდება. ძველი პარიზული სასაფლაოები, ცნობილი ადამიანების საფლავთა დიზაინის ამსახველი ფოტოსერია, კადრები და ფოტოექსპონატები პარიზის მუზეუმებიდან, ანუ მეოთხე Foto-ში ძველი პარიზული სიუჟეტები ვითარდება. გასული საუკუნის 50-იანი წლების პარიზის პეიზაჟები კი დოკუმენტურად ასახავს და მიგვანიშნებს იმ ცვლილებებზე, რომელიც დღემდე პარიზს განუცდია. ამ ჟურნალში კიდევ ბევრია საინტერესო, საინტერესოა ის უცნობი ქართველიც, რომელმაც დიდი წვლილი შეიტანა არა მხოლოდ ფრანგულ ფოტოგრაფიაში, არამედ ვიზუალურ ხელოვნებაში, აჩუქა რა მას ცნობილი მხატვრების პორტრეტები... დღეს და და სხვა თემებს მე ვერ მოვხერხებ, თანაც გულიანად და ბოლომდე "ფოტოს" მეოთხე გამოცემის წაკითხვა ჯერაც ვერ მოვასწარი. ასე რომ, შეიძინეთ, წაიკითხეთ და დამიჯერეთ, ამ ჟურნალის ერთგული მკითხველის მსგავსად თქვენც მოუთმენლად დაელოდებით შემდეგ ნომერს და არ აქვს მნიშვნელობა, რამდენად გაინტერესებთ ფოტოგრაფია და მისი სპეციფიკა, ამ ჟურნალში ბევრად მეტს ვკითხულობთ და ვხედავთ, ბოლო-ბოლო ფოტოც ხომ უკვე ბევრად მეტია, ვიდრე დოკუმენტური ასახვა სინამდვილისა და როდესაც გაყინული წამები.

ვართავან ერთ-ერთის რეკორდული ღირებულება დაკავშირებულია მის ერთ-ერთ ვენეციურ პეიზაჟთან, რომელიც 2006 წელს, "Christie's"-ის აუქციონზე 36 მილიონ დოლარად გაიყიდა.

როგორც, "Christie's"-ის აუქციონის პრეს-სამსახურის წარმომადგენელმა - ჰელენ კოლიერმა (Helen Collier) აღნიშნა, მსგავს ლოტებს შორის, შესამჩნევი იყო ჰოლანდიელი ჰენდრიკ ტერბრიუგენის ტილო, რომელიც 10,16 მილიონ დოლარად გაიყიდა, ასევე, გოიას - "პრინც ალიოზას პორტრეტი" - 2,21 მილიონი დოლარი და კანალეტოს 2,88 მილიონ დოლარად გაყიდული ერთი ნამუშევარი.

"Sotheby's"-ის აუქციონის საიტზე დადებული ინფორმაციის თანახმად, 29 იანვარს, ექსპონატებით ვაჭრობამ, სულ 65, 652 მილიონი დოლარი შეადგინა.

ისევ საქართველოში

უილიამ ოზგუდ ფილმის 90 ფოტო "ქარვასლაში"

ბელა ჩიკურიძე



გუშინ თბილისის ისტორიის მუზეუმში - "ქარვასლა" ამერიკელი გეოლოგის უილიამ ოზგუდ ფილმის ფოტონამუშევრების გამოფენა გაიხსნა. მასზე წარმოდგენილია ამერიკელი მეცნიერის მიერ 1929-33 წლებში საქართველოში გადაღებული ფოტომასალა, რომელზეც აღბეჭდილია კავკასიონის მყინვარები, ზემო სვანეთისა და არაგვის ხეობის სოფლები ადგილობრივი მაცხოვრებლებით, ეკლესიებითა და კომპლექსებით.

ყველაფერი კი 1988 წელს დაიწყო, როცა ისტორიკოს ირაკლი იაკობაშვილს ხელში ჩაუვარდა ვაშინგტონში მოწოდებული ერთ-ერთი გამოფენის კატალოგი - "ხუროთმოძღვრება ხუროთმოძღვრის გარეშე", სადაც ხალხური არქიტექტურა იყო წარმოდგენილი. ამ კატალოგში სვანური სოფლის უშგულის კომპლექსის ორი ფოტოსურათი იყო შესული. სოფელი უშგული ძალიან ცოტა მოგზაურს აქვს გადაღებული და ირაკლი იაკობაშვილმა ამ ფოტოების ავტორის ძებნა დაიწყო. მან წერილი გაუგზავნა ჟურნალ National Geographic-ს

უშგულის ფოტოების ავტორის ვინაობის დასადგენად და მოულოდნელად თვითონ ავტორი გამოიჩინა. ამერიკელი მეცნიერის წერილები ირაკლი იაკობაშვილს დღესაც აქვს შენახული.

უილიამ ოზგუდ ფილდი ჩრდილოეთ ამერიკაში გლაციოლოგიის ფუძემდებლად ითვლება. კავკასიაში იგი მყინვარების კვლევამ ჩამოიყვანა. 1929 წელს ბალყარეთიდან სვანეთში გადმოვიდა, საიდანაც თბილისში უნდა წამოსულიყო, იქიდან კი მოსკოვში, შემდეგ კი ამერიკაში გაფრენილიყო. მაგრამ მან სვანეთი ნახა და 10 დღით დარჩნა გადაწყვიტა. ამ ათი დღის შემდეგ ამერიკელი მეცნიერი მოსკოვში წავიდა, თარჯიმანი იპოვა და უკან დაბრუნდა. თენახვერის განმავლობაში ფეხით მოიარა სვანური სოფლები და ამ მხარეზე დოკუმენტური ფილმიც გადაიღო. იგი ფირზე აღბეჭდა ყველაფერს, რაც კი ხვდებოდა და ეს ყველაფერი გადაღებულია ხალხის მიმართ საოცარი სიყვარულითა და კეთილგანწყობით.

ფოტოების ნახვისას გრძნობთ, რომ რასაც იღებდა, ავტორი ყველაფერში სილამაზეს ეძებდა, დათვლილი მთები იქნება ეს თუ ადამიანები და მათი ყოფა. მაგალითად, შთამბეჭქდავია მის მიერ გადაღებული მურზაყან დადეშქელიანი ფოტო, ეს სვანი თავადი, მეფის არმიის ყოფილი ოფიცერი, მაშინ მესტიის ფოლკლორული ანსამბლის ხელმძღვანელი ყოფილა. ფოტოებში ვიპოვით მისი მასპინძლის, ყოფილი მღვდელის გერმან მემანისვილისა და მისი მეუღლის პორტრეტებსაც, ასევე სილიბისტრო ნავერიანს, ერთ დროს სვანეთის რევეკომს, რომელსაც კარგად სცოდნია რუსული და ცოტა ფრანგულიც, ასე რომ თარ-

ჯიმნობასაც უწევდა ხოლმე სტუმარს.

ეს ფოტოები საინტერესოა არა მხოლოდ მხატვრული თვალსაზრისით, მათზე დაკვირვებით შეგვიძლია ვნახოთ, რა შეიცვალა მე-20 საუკუნის 30-იანი წლების შემდეგ საქართველოს მთის რეგიონებში. მაგალითად, უშგულის გზაზე, სოფელი ივართან, მდინარე ენგურში ისევ დგას სიყვარულის კოშკი, თუმცა კი, მის გვერდით საცხოვრებელი სახლი ამჟამად აღარ არსებობს. სამწუხაროდ აღარ არსებობს არც თამარის ციხის კოშკები უშგულში, რომელიც კომუნისტებმა საშენი მასალისათვის ააფეთქეს. და რასაკვირველი შეცვლილია მყინვარებიც, დღეს უკვე მყინვართა ენამ ძალიან დაინა უკან და კავკასიონის მთიან მასივს მწვერვალები გაუშავდა.

უშგულში დღესაც ახსოვთ ოზგუდ ფილმის სტუმრობა, ხოლო ლაერთი ჩარკვიანის ოჯახში მისი გადაღებული ფოტოც ინახება, სადაც თამარის ციხეა აღაბეჭდილი.

1931 წელს ოზგუდ ფილდი ისევ ჩამოვიდა საქართველოში, მან ამჯერად მეუღლეც ჩამოიყვანა და ხვესურეთი და არაგვის ხეობა მოიარა, დოკუმენტური ფილმი ხვესურეთზეც გადაიღო. მეცნიერი საქართველოს მთიანეთს 1933 წელსაც სწევია. 1959 წელს კი, როდესაც მოსკოვში გეოლოგების კონფერენცია იმართებოდა, იგი შვილებთან ერთად ჩავიდა, რათა იქიდან თბილისში ჩამოსულიყო და შვილებისთვის სვანეთი ეჩვენებინა. როგორც ირაკლი იაკობაშვილისადმი მოწერილ წერილში იხსენებდა, თბილისში ჩამოსული ოზგუდ ფილდი 4 დღე ეხვეწებოდა საქართველოს ინტურისტის ხელმძღვანელობას, სვანეთში გამოიშვითო. რის პასუხადაც ეუბნებოდნენ, თბილისიდან მხოლოდ 30 კილომეტრის რადიუსით გაქვთ გასვლის უფლებაო. ვერ ჩახვალთ სვანეთამდე, გზა არ ვარგაო, უხსნიდნენ



მესტია. მურზაყან დადეშქელიანი. 1929 წელი.

თურმე. ფეხით წავალო, იხვენებოდა ამერიკელი მეცნიერი, იქსურობას კარგად ვიცნობო, მასპინძლებიც მყავსო. თურმე ამაზე კიდევ უფრო დაეჭვებულან, რას ჰქვია, სვანეთში ხალხს იცნობო!

მოგვიანებით, ირაკლი იაკობაშვილთან საუბრისას ოზგუდ ფილმის

ქალიშვილი იხსენებდა: "მამაჩემი მეუბნებოდა, თუ საქართველო ნანახი არ გაქვს, ესე იგი, არაფერი გინახავსო!"

ირაკლი იაკობაშვილი: "ოზგუდ ფილდი საქართველოს ზღაპრულ ქვეყანას ეძახდა და როგორც წერილებში ამბობდა, არანაკლებ აკვირ-

ვებდა ქართველი ხალხი, მათი ურთიერთობები და ის დამოკიდებულება, რასაც მის მიმართ იჩენდნენ. ამ ურთიერთობამ გამაგიჟაო, მწერდა, როგორ მეპატიჟებოდნენ, როგორ მხვდებოდნენო. ერთხელ მას გადაუღია 7 ნოემბრის დემოსტრაცია მესტიაში. "პარადის" მერე ბანკეტზე დამპატიჟეს, სადაც პოლიციის უფროსი, მისი მოადგილე, აღმასკომის თავმჯდომარე, აფთიაქარი, სახანძარი რაზმის უფროსი იყვნენ მოწვეულნი. 12 კაცმა 14 ბოთლი ღვინო და 4 ბოთლი არაყი დავლიეთ, მეორე დღეს ძალიან გვიან გავიღვიძე, ნახევარი დღე ჩამივარდაო. სვანეთზე უზომოდ იყო შეყვარებული, 1989 წელს რაჭაში მინისძვრა რომ მოხდა, წერილი მომწერა, გავიგე, კავკასიაში მინისძვრა იყო და სვანეთში ხომ არაფერი დაზიანდაო. მეპატიჟებოდა ამრიგად, მაგრამ ვიდრე ცოცხალი იყო, მასთან ჩასვლა ვერ მოვახერხე. ფოტოების მცირე ნაწილი თვითონვე გამომიგზავნა.

საოცარი პიროვნება იყო, ძალიან განათლებული. მისი ბაბუის მამა ამერიკის რკინიგზის მფლობელი იყო, მილიონერი, კორნელიუს ვანდერბლდი, ხოლო მამამისის აშენებულია ნიუ იორკის ცენტრალური რკინიგზის სადგური. მას არასდროს არაფრის პრობლემა არ ჰქონდა. მის არქივში ათასამდე ფოტოა დაცული. გარდა მყინვარებისა, გადაღებული აქვს ჩრდილო დაღესტანი, ცენტრალური რუსეთის ქალაქები, მოსკოვი და საქართველო. იგი 1994 წელს გარდაიცვალა 90 წლის ასაკში და გარდაცვალებამდე თავისი ფოტო არქივი გადასცა ამერიკის გეოგრაფიულ საზოგადოებას, რომელიც იმყოფება ვისკონსინის შტატში, ქალაქ მილუოკში. დაუბარა, რომ ამ ფოტოებს საქართველოდან ესა და ეს მეცნიერი მოაკითხავს და არქივთან მუშაობის ნებართვა მიეცითო. მხოლოდ 2006 წელს მოვახერხე იქ ჩასვლა. თვითონ მოიძიეს თანხა და მიმინვიეს ამ ფოტომასალაზე სამუშაოდ".

ამჟამად ქარვასლაში უილიამ ოზგუდ ფილმის 90 ფოტონამუშევარი წარმოდგენილი. გასულ ზაფხულს ნამუშევრები მესტიის მუზეუმში იყო გამოფენილი, რომელიც თვითონ ამერიკის გეოგრაფიული საზოგადოების არქივის დირექტორმა ქრისტოფერ ბარიტმა ჩაიტანა სვანეთში. სამწუხაროდ, გამოფენის გახსნიდან 2 დღის მერე შიდა ქართლში საომარი ვითარება შეიქმნა და გამოფენა მალე მოიხსნა. ირაკლი იაკობაშვილის თქმით, პროექტის დასრულების შემდეგ ექსპოზიციის სვანური ნაწილი მესტიის მუზეუმს გადაეცემა საჩუქრად, მანამდე კი ოზგუდ ფილმის ფოტოები მცხეთასა და გუდაურში გამოიფინება და შესაძლოა, ბათუმსა და ზუგდიდსაც ეწვიოს.

გამოფენის ორგანიზატორმა ირაკლი იაკობაშვილმა აღნიშნული პროექტი საქართველოში ამერიკის შერთებული შტატების საელჩოსა და კომპანია "X-ფორმის" დახმარებით განახორციელა.

ამერიკაში მუზეუმები იხურება

მასაჩუსეტის შტატში, ბრანდაისის უნივერსიტეტის სამეთვალყურეო საბჭომ დღის წესრიგში "Rose Art Museum"-ის დახურვისა და ომის შემდგომი პერიოდის ხელოვნებით კოლექციის გაყიდვის საკითხი დააყენა.

უმალეს სასწავლებლის საკუთრებაში მყოფი მუზეუმის მონაპოვარში, როგორც სააგენტო

"France Press"-ი იუნყება, დაახლოებით 8 ათასი ექპონატია, მათ შორის ჯასპერ ჯონსის და ჯექსონ პოლოკის ნამუშევრები. ასეთი ნაბიჯის გადადგმა უნივერსიტეტის სამეთვალყურეო საბჭოს ფინანსურმა კრიზისმა განაპირობა.

გაზეთ "The New York Times"-ის მონაცემებზე დაყრდნობით კი, მუზეუმის კოლექცია 6 ათასი ექსპო-

ნატისგან შედგება, რომელთა საბაზრო ღირებულება 350-დან 400-მდე მილიონ დოლარს შეადგენს. მუზეუმის კოლექციაში შედის ლიხტენშტეინის, რაუშენბერგის და უორჰოლის ნამუშევრები.

მუზეუმი 2009 წლის ზაფხულის ბოლოს დაიხურება, ხოლო მისი ნამუშევრები ერთ-ერთი ნამყვანი სააუქციონო სახლის საშუალებით გაიყიდება.

ბრანდაისი კერძო ინვერსიტეტი და მისი დაფინანსება შემოწირულობებზეა დამოკიდებული. ბერნარდ მეილოფის ფინანსური მარტინაციების "წყალობით" უნივერსიტეტის რამდენიმე დონორი უმაღდაზარადა და უმაღლეს სასწავლებელსაც მკვეთრად შეუმცირეს დახმარება. შედეგად, ბრანდაისის სამეთვალყურეო საბჭომ, საგანმა-

ნათლებლო პროგრამის შენარჩუნების მიზნით, მხატვრული კოლექციის დათმობა არჩია.

აღსანიშნავია, რომ აქამდე არც ერთ ამერიკულ უნივერსიტეტს არ დაუთმოა მთელი სამუზეუმო კოლექცია, თუმცა უმაღლესი სასწავლებლების კოლექციებიდან ცალკეული ნამუშევრების გაყიდვის მცდელობები იყო.

საქართველოს ფინანსთა სამინისტრო აცხადებს ტენდერს სამშენებლო - სარემონტო სამუშაოების შესყიდვაზე და ინვესტორს ტენდერში მონაწილეობის მისაღებად ყველა დაინტერესებულ პირს

საქართველოს ფინანსთა სამინისტრო (მის: ქ. თბილისი 0114, ვ. გორგასლის ქ. N16 ტელეფონი: 261-337) „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად, აცხადებს ტენდერს სამშენებლო-სარემონტო სამუშაოების შესყიდვაზე.

დაფინანსების წყარო - სახელმწიფო ბიუჯეტი

შესყიდვის ობიექტი:

საქართველოს ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახურის თბილისის რეგიონალური ცენტრის (საგადასახადო ინსპექცია) სამშენებლო-სარემონტო სამუშაოები. მისამართი: ქ.თბილისი, გულუას ქ. N4.

1. ტენდერში მონაწილეობის მიღება შეუძლია ყველა ფიზიკურ და იურიდიულ პირს.
2. სამუშაოების დასრულება უნდა განხორციელდეს სახელმწიფო შესყიდვების შესახებ ხელშეკრულების გაფორმებიდან არაუგვიანეს 396 კალენდარულ დღეში.
3. ტენდერში გამოყენებულ იქნება პრეტენდენტთა მიერ სატენდერო წინადადებების წარდგენისა და კონვერტების გახსნის ალტერნატიული წესი და სატენდერო წინადადებების შეფასების განსხვავებული მეთოდი.
4. პრეტენდენტმა ქართულ ენაზე შედგენილი საკვალიფიკაციო მონაცემები და სატენდერო წინადადება უნდა წარმოადგინოს ორ დახურულ კონვერტში, არაუგვიანეს 2009 წლის 25 თებერვლის 09:00 სთ-დან 15:00 საათამდე მე-18 პუნქტში მითითებულ მისამართზე.
5. პრეტენდენტის მიერ წარმოდგენილ კონვერტებზე თანმიმდევრულად უნდა იყოს აღნიშნული მათში არსებული შესაბამისი დოკუმენტების ჩამონათვალი.
6. პირველი კონვერტით, რომელშიც თავსდება პრეტენდენტის საკვალიფიკაციო მონაცემები და ტექნიკური წინადადებები, წარმოდგენილი უნდა იყოს მხოლოდ შემდეგი დოკუმენტები და ინფორმაცია (მე-6 პუნქტით მოთხოვნილი დოკუმენტაცია არ ექვემდებარება შეფასებას):

იურიდიული პირებისათვის:

- ა) ცნობა საგადასახადო ორგანოდან, რომ მის მიმართ არ ხორციელდება რეორგანიზაცია ან ლიკვიდაცია;
- ბ) ცნობა სასამართლოდან, რომ მის მიმართ არ მიმდინარეობს გაკოტრების ან რეაბილიტაციის საქმე;

ფიზიკური პირებისათვის:

- ა) ცნობა სასამართლოდან პირის ქმედუნარიანობის შესახებ;
- ბ) ცნობა სასამართლოდან, რომ მის მიმართ არ მიმდინარეობს გაკოტრების საქმის წარმოება.

როგორც ფიზიკური, ასევე იურიდიული პირებისათვის:

- ა) პრეტენდენტის დასახელება, იურიდიული და ფაქტიური მისამართი, ტელეფონი/ფაქსი, ელექტრონული ფოსტის მისამართი, საბანკო რეკვიზიტები, ხელმძღვანელის სახელი და გვარი;
 - ბ) სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს წერილი, რომ პრეტენდენტი არ არის რეგისტრირებული შესყიდვებში მონაწილე არაკეთილსინდისიერ პირთა რეესტრში;
 - გ) ცნობა საგადასახადო ორგანოდან ბიუჯეტის წინაშე დავალიანების არარსებობის შესახებ;
 - დ) ცნობა საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოდან, რომ მის ქონებაზე არ არის დადებული ყადაღა;
 - ე) განხორციელებულ სამუშაოებზე, დამკვეთის მიერ შედგენილი 2-დან 5-მდე სარეკომენდაციო წერილი;
 - ვ) 2007 ან 2008 წელს საგადასახადო ორგანოში წარდგენილი მოგების დეკლარაციის ასლი, რომლის თანახმადაც ერთობლივი შემოსავალი ერთ-ერთი წლის დეკლარაციის მიხედვით, არ უნდა იყოს 1 000 000 (ერთი მილიონი) ლარზე ნაკლები;
 - ზ) ინფორმაცია ბოლო 2 წლის განმავლობაში განხორციელებული სამშენებლო-სარემონტო სამუშაოების თაობაზე (წარმოდგენილი უნდა იყოს გაფორმებული ხელშეკრულებების ასლები და შესრულებული სამუშაოების ჩამონათვალი დამკვეთების რეკვიზიტების მითითებით), რომელთა ჯამური ღირებულება არ უნდა იყოს 1 000 000 (ერთი მილიონი) ლარზე ნაკლები;
 - თ) განსახორციელებელი სამშენებლო-სარემონტო სამუშაოების საგარანტიო ვადები და პირობები.
7. მეორე კონვერტში თავსდება მხოლოდ ის დოკუმენტაცია, რომელიც შემდგომ ექვემდებარება შეფასებას (შეფასებას არ ექვემდებარება მხოლოდ სატენდერო წინადადების უზრუნველყოფის საბანკო გარანტია). მე-2 კონვერტით წარმოდგენილ უნდა იქნას შემდეგი დოკუმენტები და ინფორმაცია:
 - ა) პრეტენდენტის მიერ შეესრულებული სატენდერო წინადადების ფორმა (პრეტენდენტმა უნდა შეავსოს შემსყიდველის მიერ გაცემულ სატენდერო დოკუმენტაციაში არსებული სატენ-

- დერო წინადადების ფორმა);
 - ბ) ცალკე წარმოდგენილი სამშენებლო-სარემონტო სამუშაოების შესრულების გეგმა-გრაფიკი, კალენდარული დღეების რაოდენობის მიხედვით;
 - გ) ცალკე წარმოდგენილი სატენდერო წინადადების სახარჯთაღრიცხვო გაანგარიშება, წარმოდგენილი ლარებში;
 - დ) მოთხოვნილი ავანსის ოდენობა (პრეტენდენტის მიერ ავანსის მოთხოვნის შემთხვევაში, ავანსის ოდენობა, რომელიც გამოსახული უნდა იყოს პროცენტებში, არ უნდა აღემატებოდეს შესაბამისი სახელშეკრულებო ღირებულების 25%-ს. თუ პრეტენდენტის მიერ არ იქნება მოთხოვნილი საავანსო ანგარიშსწორება, ის ცალსახად გამოსახავს თავის მოთხოვნას 0-ით);
 - ე) სატენდერო წინადადების უზრუნველყოფის 1%-იანი საბანკო გარანტია (გარანტიის მოქმედების ვადა 30 დღით უნდა აღემატებოდეს სატენდერო წინადადების მოქმედების ვადას).
8. შერჩევის დროს თავდაპირველად მოხდება პირველი კონვერტით წარმოდგენილი დოკუმენტებისა და ინფორმაციის განხილვა. თუ პირველი კონვერტით წარმოდგენილი დოკუმენტები და ინფორმაცია აკმაყოფილებს განცხადების მე-6 პუნქტის მოთხოვნებს, შემდეგ მოხდება მე-2 კონვერტის გახსნა და შეფასება, წინააღმდეგ შემთხვევაში მე-2 კონვერტი საერთოდ არ გაიხსნება, დაუბრუნდება პრეტენდენტს და შესაბამისად, მოხდება პრეტენდენტის დისკვალიფიკაცია.

9. ტენდერის შედეგად გამოვლინდება ერთი გამარჯვებული, რომელმაც ხელშეკრულების გაფორმების დროს, უნდა წარმოადგინოს ხელშეკრულების შესრულების უზრუნველყოფის საბანკო გარანტია ხელშეკრულების ღირებულების 3%-ის ოდენობით.

10. შერჩევის დროს შემდგომ დაზუსტებას არ ექვემდებარება მე-6 და მე-7 პუნქტებში აღნიშნული დოკუმენტები და ინფორმაცია (გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც საჭირო გახდება საკვალიფიკაციო მონაცემების ხელახალი დადასტურება და „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-15 მუხლი? მე-3 და მე-5 პუნქტებით გათვალისწინებული შემთხვევებისა).

11. სატენდერო წინადადებები არ ჩაითვლება მისაღებად და არ დაექვემდებარება შეფასებას, თუ: ა) პირველი კონვერტით წარმოდგენილი დოკუმენტები და ინფორმაცია არ აკმაყოფილებს სატენდერო განცხადების მე-6 პუნქტის მოთხოვნებს; ბ) თუ მე-2 კონვერტით წარმოდგენილი სატენდერო დოკუმენტაცია და ინფორმაცია არ აკმაყოფილებს განცხადების მე-7 პუნქტის მოთხოვნებს; გ) შესყიდვებში მონაწილე მსურველი პირი მე-4 პუნქტით დადგენილ ვადაში არ წარმოადგენს სატენდერო განცხადების მე-6 და მე-7 პუნქტებით გათვალისწინებულ დოკუმენტაციასა და ინფორმაციას; დ) კანონით გათვალისწინებულ სხვა შემთხვევებში.

12. თუ წინამდებარე შესყიდვის ფარგლებში, შესყიდვებში მონაწილეობის მსურველი პირის მიერ გათვალისწინებული იქნება სუბ-კონტრაქტორების ჩართვა, მაშინ, სატენდერო განცხადების მე-6 პუნქტის მოთხოვნები სავალდებულო იქნება ასევე ყველა სუბ-კონტრაქტორისათვის.

13. ქართულ ენაზე შედგენილი სატენდერო დოკუმენტაციის მიღება შესყიდვებში მონაწილეობის მსურველ პირებს შეეძლებათ (მე-17 პუნქტში აღნიშნული მოსაკრებლის გადახდის შემდეგ) 2009 წლის 2 თებერვლიდან 2009 წლის 24 თებერვლის 18:00 საათამდე, შემდეგ მისამართზე: საქართველოს ფინანსთა სამინისტრო ქ. თბილისი 0114, ვ. გორგასლის ქ N16, მე-8 სართული ოთახი N8-9, სატენდერო კომისიის აპარატი.

14. ტენდერში მონაწილეობის მსურველ ფიზიკურ და იურიდიულ პირებს შეუძლიათ სატენდერო მოსაკრებლის გადახდამდე შემსყიდველ ორგანიზაციაში გაეცნონ სატენდერო დოკუმენტაციას.

15. სატენდერო წინადადებების გახსნა მოხდება 2009 წლის 25 თებერვლის 15:00 საათზე.
16. ალტერნატიული სატენდერო წინადადებები არ განიხილება.
17. სატენდერო დოკუმენტაციის მისაღებად, შესყიდვებში მონაწილეობის მსურველმა პირებმა უნდა გადაიხადოს სატენდერო მოსაკრებელი - 200 ლარის ოდენობით შემდეგ რეკვიზიტებზე:

მიმღები - ხაზინის ერთიანი ანგარიში
ანგ. N200122900, სახელმწიფო ხაზინა, კოდი 220101222, სახაზინო კოდი 302006000
გადახდის დანიშნულება - სატენდერო მოსაკრებელი, სამშენებლო-სარემონტო სამუშაოები (საქართველოს ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახურის თბილისის რეგიონალური ცენტრის (საგადასახადო ინსპექცია) სამშენებლო-სარემონტო სამუშაოები), საქართველოს ფინანსთა სამინისტრო

და წარადგინოს გადახდის დამადასტურებელი საბუთი საქართველოს ფინანსთა სამინისტროს სატენდერო კომისიის აპარატში მე-18 პუნქტში მითითებულ მისამართზე.

18. შესყიდვებში მონაწილეობის მსურველ პირებს დამატებითი ინფორმაციის მიღება შეუძლიათ საქართველოს ფინანსთა სამინისტროს სატენდერო კომისიის აპარატში (ქ. თბილისი, გორგასლის ქ. N16, მე-8 სართული, ოთახი N8-9; ტელეფონი: (+99532) 261-337; 261-335. საკონტაქტო პირები: ალექსანდრე თევდორაძე, სოფიკო ბერიშვილი. ელ-ფოსტა: **a.tevdoradze@mof.ge , s.berishvili@mof.ge**.

ჩვენი საქმიანობის პრიორიტეტი ქალის ჯანმრთელობაა ! თავი დაიცავით სარკვევი ჯირკვლის და საშვილოსნოს ავთვისებიანი სიმსივნეებისგან !!!

დავით ტატიშვილის სამედიცინო ცენტრში და მობილურ სკრინინგ-ცენტრში სარძევე ჯირკვლის და საშვილოსნოს ყელის კიბოს პრევენციის პროგრამით ყოველდღიურად წარმოებს პაციენტთა მიღება.

სარძევე ჯირკვლის მამოგრაფიული კვლევა ჩაუტარდებათ 40-დან 70 წლამდე ასაკის ქალბატონებს. გინეკოლოგიური გასინჯვა და პაპ-ტესტი ჩაუტარდებათ 25-დან 60 წლამდე ასაკის ქალბატონებს.

პროგრამა დაფინანსებულია თბილისის მერიის, „გაეროს“ მოსახლეობის ფონდის მიერ და გათვალისწინებულია დედაქალაქის ქალთა მოსახლეობაზე.

პროგრამა მიმდინარეობს პირველი ლედის მხარდაჭერით.

გამოკვლევები ტარდება წინასწარი ჩანერით. აუცილებელია მოქალაქემ თან იქონიოს პირადობის დამადასტურებელი მოწმობა.

პაციენტების მიღების საათებია: ორშაბათიდან პარასკევის ჩათვლით - 9 სთ-დან 18 სთ-მდე, შაბათს - 9 სთ-დან 15 სთ-მდე.

მის.: დავით ტატიშვილის სამედიცინო ცენტრი თბილისი, თ. აბულაძის 20

(ვაკე, „სამების“ ეკლესიის უკან)

ტელ.: 91 31 19; 91 32 42; ტელ./ფაქსი 25 39 38;

პაციენტების საყურადღებოდ !

ცნობილი ექიმები, მედიცინის დოქტორი, ნევროლოგი **არჩილ საყვარელიძე** და თერაპევტი, გასტრო-ენტეროლოგი **დავით ნემსაძე** იღებენ პაციენტებს ყოველდღიურად დავით ტატიშვილის სამედიცინო ცენტრში.

პაციენტების მიღება წარმოებს წინასწარი ჩანერით.

მიღების საათებია: ორშაბათიდან პარასკევის ჩათვლით - 9 სთ-დან 18 სთ-მდე, შაბათს - 9 სთ-დან 15 სთ-მდე.

მის.: დავით ტატიშვილის სამედიცინო ცენტრი თბილისი,

თენგიზ აბულაძის 20

(ვაკე, „სამების“ ეკლესიის უკან)

ტელ.: 91 31 19; 91 32 42;

სპორტი

"ზორჯღალოსნებს" გერმანიაში ქომაგი არ დააკლდათ



მარტო ნიურნბერგიდან, 7 თებერვალს ჰაიდელბერგში 250 ქართველი გულშემატკივარი აპირებს ჩასვლას.

გერმანიაში მცხოვრები ქართველობა 7 თებერვლის გერმანია-საქართველოს მატჩზე დასასწრებად ირაზმება. გერმანიის რაგბის კავშირში მთელი ქვეყნის მასშტაბით მცხოვრები ქართველი ემიგრანტებისგან შედის განაცხადები ბილეთების გამოყოფასთან დაკავშირებით. მარტო ნიურნბერგიდან, 7 თებერვალს ჰაიდელბერგში 250 ქართველი გულშემატკივარი აპირებს ჩასვლას. "ისინი მოდი-

ან ავტობუსებით, თვითმფრინავებით, ქვეყნის ყველა წერტილიდან და ვიცით, რომ მათი რაოდენობა იმაზე გაცილებით მეტი იქნება, ვიდრე ოფიციალური განაცხადები მივიღეთ", - ნათქვამია გერმანიის რაგბის კავშირის განცხადებაში. ჰაიდელბერგის "ფრიც გრუნდელმ შპორტპარკზე" არსებული 3 ათასივე დასაჯდომი ადგილი უკვე გაყიდულია, მთლიანობაში კი ეს პატარა სტადიონი 5 ათას

ადამიანს იტევს. ამასობაში გერმანიის ნაკრები სერიოზული საკადრო პრობლემების წინაშეა - სამწვრთნელო ტრიო რუდოლფ ფინსტერერი-მარკ კულმენი-ბრუნო შტოლორცი დიდი დანაკლისების შევსებას ცდილობს. სხვადასხვა მიზეზის გამო საქართველოს ნაკრებთან ვერ ითანამშრომლებენ: ალექსანდერ პიპა ("ტსვ ჰანდსჩუსხაიმი"), მათიუ ფრანკე ("ორლენი" საფრანგეთი), ბენჯამინ დანსო ("ჰა-

ნოვერი"), მხოლოდ რუმინეთთან დამატებით გერმანელებს რობერტ მორი ("ლა როშე" საფრანგეთი). გერიტ ვან ლუკი ("ბერლინერი") და კოლინ გრზანა ("ბერლინერი") ორიდან მხოლოდ ერთ მატჩში შეძლებენ მონაწილეობის მიღებას - 7 თებერვალს საქართველოსთან ან 14 თებერვალს რუმინეთთან. რაც შეეხება მარკუს ვალგერს ("რკ შიუსენსტატი"), მან სანაკრებო კარიერა დაასრულა.

თორნიკე სანიკიძე ბოლო წლების ახალგაზრდა ჩემპიონია

ჭადრაკში ქალთა შორის გამართული ჩემპიონატის შემდეგ, რომელიც მათა ლომინივილის გამარჯვებით დასრულდა, ჩემპიონი გამოვლინდა ვაჟთა შორისაც. საქართველოს 68-ე ჩემპიონატზე 13 შესაძლებლობიდან 8,5 ქულა დააგროვა და საქართველოს ჩემპიონის ნოდება მოიპოვა 20 წლის თორნიკე სანიკიძემ.

ბოლო წლებში საქართველოს ვაჟთა ჩემპიონატს ჭად-

რაკში ასეთი ახალგაზრდა ჩემპიონი არ ჰყოლია. ამასობაში გიბრალტარის ტრადიციულ საერთაშორისო ტურნირზე Gibtelecom Chess Festival Masters-ზე საერთაშორისო დიდოსტატმა ნანა ძაგნიძემ ჩინებული სტარტი აიღო. ქართველმა მოჭადრაკემ ზედიზედ სამი პარტია მოიგო და პოლონელ ბართომ სოჩკოსთან და ბერძენ ვასილიოს კოტრონიასთან ერთად პირველ-მესამე ად-

გილებს ინანილებს. ძაგნიძემ, რომლის რეიტინგიც 2518 ბალია, შავებით ინგლისელ ვაიტს და ფრანგ ვაშინერ-ლეგრაეს სძლია, თეთრი ფიგურებით კი შოტლანდიელ ტეტს მოუგო. გიბრალტარულ ტურნირს სულ 192 მონაწილე ჰყავს. აქედან 16 ქალია. მათ შორის ძაგნიძეს პირველი მაჩვენებელი აქვს, ლიტველ ჩმილიტეს, ბულგარულ სტეფანოვას, შვედ კრამლინგს, პოლო-

ნელ სოცკოს და შოტლანდიის სახელით მოასპარევე ქეთევან არახამია-გრანტს ორ-ორი ქულა აქვთ. მეოთხე ტურში ძაგნიძე პოლონელ ბარტომ სოცკოს შავი ფიგურებით ეთანამშრომლა. გიბრალტარის საჭადრაკო ტურნირის საპრიზო ფონდია 100 ათასი გირვანქა. აქედან გამარჯვებული 15 ათასს მიიღებს. ქალებს შორის საუკეთესო მოჭადრაკე 6 ათასით დაჯილდოვდება.

"ოლ სტარის" შემადგენლობები ცნობილია

15 თებერვალს NBA-ს "ოლ სტარის" მორიგი მატჩი გაიმართება. დასავლეთისა და აღმოსავლეთის ძირითადი ხუთეულელების გამოსავლენად თვეზე მეტია NBA-ს ოფიციალური ვებგვერდის საშუალებით მიმდინარეობს გამოკითხვა. გუნდების სასტარტო ხუთეულელებს სწორედ ფანები ასახელებენ. შემდეგ კი NBA-ში მომუშავე მწვრთნელები ასახელებენ და-

ნარჩენ გუნდს. გუმინ ცნობილი გახდა გუნდების შემადგენლობები. **დასავლეთის ნაკრები:** დუეინ უედი ("მაიამი ჰითი"), ალენ აივერსონი ("დეტროიტ პისტონსი"), კევინ გარნეტი ("ბოსტონ სელტიკსი"), ლებრონ ჯეიმსი ("კლივლენდ ქეველიერსი"), დუაით ჰოვარდი ("ორლანდო მეჯიკი"), დენი გრეინჯერი ("ინდიანა ფეისერსი"), ჯამირ

ნელსონი ("ორლანდო მეჯიკი"), დევიდ ჰარისი ("ნიუ ჯერსი ნეთსი"), კრის ბოში ("ტორონტო რეფორსი"), რაშად ლუისი ("ორლანდო მეჯიკი"), პოლ პირსი ("ბოსტონ სელტიკსი"). **აღმოსავლეთის ნაკრები:** კობი ბრაიანტი ("ლოს ანჯელეს ლეიკერსი"), კრის პოლი ("ნიუ ორლენ ჰორნეტსი"), თიმ დანკანი ("სან ანტონიო სფურსი"), ამარე სთადემაიერი

("ფინიქს სანსი"), იაო მინი ("ჰიუსტონ როქეტსი"), შაკილ ონილი ("ფინიქს სანსი"), ჩანსი ბილოფსი ("დენვერ ნაგეთსი"), პო გაზოლი ("ლოს ანჯელეს ლეიკერსი"), დიკ ნოვიცკი ("დალას მევერიქსი"), ტონი პარკერი ("სან ანტონიო სფურსი"), ბრენდონ როი ("პორთლენდ თრეილ ბლეიზერსი"), დევიდ უესტი ("ნიუ ორლენ ჰორნეტსი").

ტატანაშვილი კვიპროსში წავიდა

ჩეხეთის საფეხბურთო გამბრინუს ლიგაში მოასპარევე პლზენის "ვიქტორია", რომლის შემადგენლობაში ქართველი თავდასხმელი დიმიტრი ტატანაშვილი გამოდის, სეზონის მეორე ნახევრისწინა შეკრებას კვიპროსში გაივლის. გუნდი ხმელთაშუა ზღვის კუნძულზე გუმინ გაემგზავრა და ორი კვირა დარჩება. "ვიქტორია" სამ ამხანაგურ მატჩს გამართავს - სოფიის ცსკა-სთან, ჩეხეთის "დუბნიცასთან" და სერბეთის რად-თან. ტატანაშვილი "ვიქტორიაში" 2007 წელს გადავიდა და ჩეხეთის ჩემპიონატში ჩატარებულ 12 მატჩში ერთი გოლი გაიტანა.

ჩიხლაძემ პირველი გამარჯვება იხილა

ქართველმა ჩოგბურთელმა ლადო ჩიხლაძემ, რომელიც ავსტრიის ქალაქ ზალცბურგში დაწყებულ საერთაშორისო ტურნირზე პერსონალური მიწვევით მოხვდა, ერთეულთა ბადეში პირველი გამარჯვება იხილა. ჩეხ დავიდ სოდევთან მატჩში ჩიხლაძეს პრობლემა არ შექმნილა და მეტოქეს ორ სეტში სძლია - 6:3, 6:2. მერვედღიანობაში ქართველი ჩოგბურთელის პირისპირ სლოვენელი მარკო ტკალეცი დადგება. წყვილთა ვაიმამშობაში ჩიხლაძისა და ავსტრიელი პროპსტის დუეტმა პირველ წრეში დაისვენა, მეოთხედღიანობაში კი ბელგორუსი კარატჩენიასა და ჩეხი სკოლოდიუკის წყვილთან 3:6, 3:2 მარცხდებოდა, როდესაც თამაშის გაგრძელებაზე უარი განაცხადა. ზალცბურგის ტურნირის საპრიზო ფონდი 10 ათასი დოლარია.

რობინოს ბრალი დასდეს

სამშაბათს ბრაზილიის ფეხბურთელთა ეროვნული ნაკრებისა და ინგლისის "მანჩესტერ სიტის" ფორვარდი რობინო პოლიციამ დააკავა. ის გაუპატიურებაშია ექვმიტანილი. რობინოს ბრალდება, რომ ეს დანაშაული ჩაიდინა 14 იანვარს ქალაქ ლიდსის ერთ-ერთ ლამის კლუბში, თუმცა, მან ბრალდება უარყო. ბრაზილიელი გიაროს სანაცვლოდ გაათავისუფლეს. რობინო ამ კრიმინალურ ინციდენტში მონაწილეობას კატეგორიულად უარყოფს. ფეხბურთელი პოლიციასთან აქტიურ თანამშრომლობას აპირებს, რათა დანაშაული გაიხსნას და მის მიმართ ყოველგვარი ეჭვი გაქარწყლდეს, - განაცხადა "მანჩესტერ სიტის" წარმომადგენელმა კრის ნათანიელმა.

"ბორდო" გურკუფს ვერ ელევა

"ბორდოს" პრეზიდენტ ჟან-ლუი ტრიოს შემტვევი ნახევარმცველის, 22 წლის იოან გურკუფის შენარჩუნება სურს. ფრანგული კლუბის ხელმძღვანელმა ამის შესახებ საგანგებოდ მოწოდებულ პრესკონფერენციაზე განაცხადა. შეგახსენებთ, რომ გურკუფი "ბორდოს" იტალიურმა "მილანმა" ერთი სეზონით ათხოვა. მხარეებს შორის გაფორმებული საიჯარო ხელშეკრულება ზაფხულში იწურება. "პირველ იელისამდე ჩვენ სრულად გამოვისყიდით იოანის კონტრაქტს. ამას ოფიციალურად ვაცხადებ და გთხოვთ ამ საკითხის თაობაზე ნუღარ შემანუხებთ. მშვენივრად ვიცი, რომ გურკუფს "ბორდოში" დარჩენა სურს. ასე რომ, თუ გარიგება მოხერხდება, ეს ნარმატებული ტრანსფერი იქნება ჩვენთვისაც, ფეხბურთელისთვისაც და მილანელეებისთვისაც, რომლებსაც უთუოდ გადავუხდით მათ მიერ იოანში მოთხოვნილ 15 მილიონ ევროს", - განაცხადა ტრიომ. გურკუფი "ბორდოში" გამოჩენიდან სულ რაღაც ორ თვეში გუნდის ლიდერად იქცა. თანაც, ჟირონდელეებს მიმდინარე სეზონში გაცილებით უკეთ მისდით საქმეები - დღეს "ბორდო" ჩემპიონატის ლიდერ "ლიონს" მინიმალური სხვაობით ჩამორჩება.

"სიტი" ვილიას ყიდულობს

მას შემდეგ, რაც 110 მილიონ ფუნტად ვერ შეძლო "მილანიდან" კაკას გადაბირება, "მანჩესტერ სიტი" 70 მილიონ სთავაზობს "ვალენსიას" ვილიას საფასურად. ევროპის ჩემპიონი დავიდ ვილია, სავარაუდოდ, დატოვებს "ლამურებს", რადგან "ვალენსია" ბოლო დროს მწვავე ფინანსურ პრობლემებს განიცდის. თუმცა "სიტის" წინადადება ერთადერთი არ არის, რაც "ვალენსიას" ოფისმა ოფიციალურად მიიღო. ვილიას შეძენით დაინტერესებულია მადრიდის "რეალი" და ლონდონის "ჩელსი". ეს არცაა ვასაკვირი, რადგან მიმდინარე სეზონში 27 წლის თავდასხმელმა 18 მატჩში 15 გოლი გაიტანა.

როსიცკი ორ თვეში დაინცებს თამაშს

ლონდონის "არსენალის" ჩეხი ნახევარმცველი ტომას როსიცკი, სავარაუდოდ, რვა კვირის თავზე დაუბრუნდება მინდორს. ამის შესახებ "მეთოფთა" მთავარმა მწვრთნელმა არსენ ვენგერმა განაცხადა. "თუ ყველაფერი გვემის მიხედვით წარიმართა, როსიცკის ორ თვეში უნდა ველოდეთ. მას დატვირთვები უკვე გაუზარდეთ. ტომასის გამძლეობით გაცხადებული ვარ. სპორტში ყველაზე რთულია ტრავმის შემდეგ დაბრუნება. როსიცკი ძალიან გვაკლია და მინდორზე მის გამოჩენას მოუთმენლად ველით".

ჰოლანდიელის რეკორდი

სამშაბათს, "ვესტ ბრომვიჩის" 5:0 ძლიერ შემდეგ, "მანჩესტერ იუნაიტედის" ჰოლანდიელმა მეკარემ ედვინ ვან დერ სარმა ინგლისური პრემიერლიგის რეკორდი გააუმჯობესა. 38 წლის მეკარემ 1032 წუთის განმავლობაში "მშრალად" შეინახა საკუთარი კარი.

ძველი მიღწევა ეკუთვნოდა "ჩელსის" მეკარე პიტერ ჩეხს, რომელსაც 2004-05 წლების სეზონში 1025 წუთის განმავლობაში გოლი არ გაუშვია. ერთი სიტყვით, ვან დერ სარმა ჩეხის შედეგი 7 წუთით გააუმჯობესა. იმის გათვალისწინებით, რომ ჰოლანდიელს "მშრალი" სერია ჯერ არ შეუწყვეტია, მას შეუძლია რეკორდს კიდევ უფრო სოლიდური სახე მისცეს.

ინგლისის პრემიერლიგის მატჩებში ვან დერ სარის კარი უკანასკნელად "არსენალის" ფრანგმა ნახევარმცველმა სამირ ნასრიმ აიღო. ეს გასული წლის 8 ნოემბერს მოხდა.

"ჩემი ფეხბურთელების წარმატებები ძალიან მახარებს. მათ გამარჯვებათა ფანტასტიკური სერია აქვთ. განსაკუთრებით უნდა აღვნიშნო ედვინის მიღწევა. უნდა გენახათ, მატჩის შემდეგ როგორ ხარობდა ის რეკორდით", - განაცხადა მანჩესტერელთა თავაჯცმა სერ ალექს ფერგუსონმა. "მთავარია, რომ გავიმარჯვეთ, თუმცა, რეკორდმა ციდი სიხარული მომანიჭა. მე აუცილებლად მჭირდება კონცენტრაციის შენარჩუნება და რეკორდი ამაში ძალიან დამეხმარება", - ეს ვან დერ სარის მატჩის შემდეგ მი კომენტარია.

ჰოლანდიელი მეკარე "მანჩესტერის" შემადგენლობაში 2005-06 წლების სეზონიდან ასპარეზობს და ამ ხნის განმავლობაში 120 პრემიერლიგური მატჩი ჩაატარა. 130 მატჩში დაიცვა ქვეყნის ეროვნული ნაკრების ღირსება.

ფუნკელი "აინტრახტის" პრეზიდენტმა იხსნა

ფრანკფურტის "აინტრახტის" მთავარმა მწვრთნელმა ფრედჰელ ფუნკელმა კლუბთან კონტრაქტი ერთი წლით გააგრძელა. ახალ ხელშეკრულებაზე ბოლო რამდენიმე კვირის განმავლობაში საუბრობდნენ.

როგორც ირკვევა, "აინტრახტის" დირექტორთა საბჭოს წევრების უმეტესობას ფუნკელის გაშვება უნდოდა, თუმცა, კლუბის პრეზიდენტმა ჰერბერტ ბრიუჰაგენმა ერთპიროვნული გადაწყვეტილება მიიღო და მწვრთნელს კონტრაქტი მომავალი სეზონის ბოლომდე გაუგრძელა.

ფუნკელი ფრანკფურტელთა თავაჯცად 2004 წლიდან მუშაობს და პირველივე სეზონში "აინტრახტი" მეორე ბუნდესლიგიდან პირველში გადაიყვანა.

მარიო ბენი "ფეინოორდს" განვრთნის

ჰოლანდიის ერედვიზიონში მოსაპარეზე "ნაიმეგენის" მთავარმა მწვრთნელმა მარიო ბენმა როტერდამის "ფეინოორდთან" სამწლიანი კონტრაქტი გააფორმა.

კონტრაქტის თანახმად, 45 წლის ჰოლანდიელი სპეციალისტი "ფეინოორდს" მიმდინარე წლის ზაფხულში ჩაუდგება სათავეში.

"ეს ჩემი კლუბია და აქ მთავარი მწვრთნელის რანგში დაბრუნება ოცნებად მქონდა", - განაცხადა ბენმა.

უოლკოტი "არსენალთან" თანამშრომლობას გააგრძელებს

ლონდონის "არსენალის" მთავარმა მწვრთნელმა არსენ ვენგერმა დაადასტურა, რომ ტოუ უოლკოტი უახლოეს მომავალში კლუბთან ახალ კონტრაქტს გააფორმებს.

"შეგვიძლია განაცხადოთ, რომ კონტრაქტი მზადაა და ფეხბურთელთან შეთანხმებულია. სულ მალე მას ოფიციალურად გააფორმებთ. როგორც უოლკოტს, ისე ჩვენ, თანამშრომლობის გაგრძელება გვსურს. მომავალი ხელშეკრულების მხოლოდ მცირე დეტალები დავტარებ შეთანხმებულად", - განაცხადა ლონდონელთა მთავარმა მწვრთნელმა არსენ ვენგერმა.

ახლა 19 წლის უოლკოტი იძულებით უქმობს - გასული წლის ნოემბერში ინგლისის ნაკრებში თამაშისას მიღებულ ტრავმას მკურნალობს.

რედნაპი ფრედს ელის

ლონდონის "ტოტენჰემის" მთავარმა მწვრთნელმა ჰარი რედნაპმა დაადასტურა, რომ ფრანგული "ლონიდან" ბრაზილიელი ფორვარდის ფრედის გადაბირება სურს.

"ფრედის ინგლისში ჩამოსვლას უახლოეს დღეებში ველოთ. მას "ლონიდან" კონტრაქტის ვადა ზაფხულში ეწურება, რაც იმედს გვაძლევს, რომ ფრანგები მასში დიდ თანხას არ მოითხოვენ", - განაცხადა რედნაპმა.

"შტუტგარტმა" ლემანი დაატარა

"შტუტგარტმა" თავისი 39 წლის მეკარე იენს ლემანი დააჯარიმა. ამის მიზეზი მიუნხენის "ბაიერნთან" გერმანიის თასის მერვედფინალში 1:5 დამარცხების შემდეგ ლემანის მიერ გუნდის მისამართით საჯაროდ გამოთქმული კრიტიკული მოსაზრებები იქცა.

"ზამთრის პაუზა საზარმაცო პერიოდი სულაც არ არის. საინტერესოა შეადარო, რას აკეთებდა ამ პაუზის დროს "ბაიერი" და რას ვაკეთებდით ჩვენ, - თქვა მან, - ჩვენს წინააღმდეგ ისინი უფრო სწრაფები და ძლიერები იყვნენ და ყველაფერში გვაჯობეს. რაღაც თუ არ შევცვალეთ, არაფერი გამოვა."

ამ სიტყვების გამო კარის დამსახურებულ დარაჯს გაუმხელელი რაოდენობის თანხის გადახდა დაეკისრა.

"მან მეც და მოთამაშეებსაც მოგვიბოდიშა, - აღნიშნა "შტუტგარტის" მწვრთნელმა მარკუს ბაბელმა, - მან თქვა, რომ მისი კრიტიკა მწვრთნელთა გუნდისადმი მიმართული არ იყო. საერთოდ კი კრიტიკა საჯაროდ არ უნდა გამოითქვას. ჯარიმა მან სწორედ ამის გამო დაიმსახურა. სხვა მხრივ ჩვენ მივიღეთ მისი ბოდიში და ინციდენტი ამოწურულია."

ახალი იტალიური სკანდალი



"ინტერი" თამაშებს განგებ აგებდა

არც ისე დიდი ხანია, რაც დაცხრა ვენეციის "კალჩოპოლისთან" დაკავშირებით. იტალიურმა საფეხბურთო სკანდალმა დიდი აურზაური გამოიწვია. მსოფლიო ფეხბურთის ორმა გრანდმა - "იუვენტუსი" და "მილანი" დიდად დაზარალდნენ, "ბებერი ქალბატონის" ყოფილ ბოსი ლუჩანო მოჯი კი გისოსებს მიღმა აღმოჩნდა. რამდენიმე წლის წინ აგორებულმა სკანდალმა კინალამ იტალიური ფეხბურთი დაასამარა. თუმცა აპენინელებმა ეს დარტყმა გადაიტანეს. თითქოს ყველაფერი მოგვარდა, იმ სკანდალით ყველამ იზარალა, მილანის "ინტერის" გარდა. მასიმო მორატის გუნდმა სწორედ იმ აურზაურის წყალობით მოიპოვა ჩემპიონის ტიტული, რომელიც მაშინ "იუვენტუსს" ჩამოართვეს.

თუმცა "ინტერისთვისაც" დადგა მიმე პერიოდი და, ვინცის, იქნებ "ნერაძურში" "იუვენტუსის" ბედი გაიზიაროს.

გუშინ იტალიაში ახალი საფეხბურთო სკანდალი აგორდა, რომელიც მთლიანად "ინტერს" უკავშირდება.

გამოცემა Il Giornale, იტალიის მთავრობის წევრზე დაყრდნობით, იტყობინება, რომ გასულ სეზონში "ინტერმა" განგებ ჩააგდო რამდენიმე მატჩი, რათა ჩემპიონობისთვის პრობლა დაე-

ძაბა. საქმე ისაა, რომ გასულ სეზონში "ნერაძურის" ჩემპიონატის დაწყებიდან დიდი უპირატესობა ჰქონდა. სეზონის მეორე ნახევარში ბუკმეიკერები "ინტერის" ჩემპიონობაზე ფსონებსაც კი აღარ იღებდნენ. ამის გამო "ინტერმა" განგებ წააგო რამდენიმე მატჩი, რათა ფსონები აენია. ჩემპიონის ბედი მხოლოდ სერია ა-ს ბოლო ტურში გადაწყდა.

იტალიური გამოცემის ინფორმაციით, იტალიის ჩემპიონატის 24-ე ტურის შემდეგ, რო-

დესაც ბუკმეიკერები "ინტერის" ჩემპიონობაზე ფსონებს აღარ იღებდნენ, "ნერაძურში" ქულების დაკარგვა დაიწყო.

ამჟამად პოლიცია იძიებს სატელეფონო საუბრებს "ინტერის" მაშინდელ მწვრთნელ რობერტო მანჩინისა და ვინმე დომენიკო ბრემიას შორის. ეს უკანასკნელი იტალიაში მათგის ნათლიად ითვლება. აგრეთვე ცნობილია, რომ ის "ინტერის" ფანი და მანჩინის ახლო მეგობარია.

არსებობს საფუძვლიანი ეჭ-

ვი, რომ "ინტერის" მესვეურებმა განგებ განელეს ზღაგან იბრაჰიმოვიჩის გამოჯანმრთელების პროცესი. "ინტერისა" და "სიენას" მატჩში დანიშნული პენალტი კი სპეციალურად არ დაარეგულირეს გუნდის სამტატო პენალტისტ კრუსს, რათა მატერაციის ბურთი აეცილებინა.

მოკლედ, იტალიელმა სამართლდამცავებმა "ინტერის" საქმის გამოძიება დაიწყეს. თუ "ნერაძურის" ბრალეულობა დამტკიცდა, სასჯელი ძალიან მკაცრი იქნება.

ჰუნტელაარი "რეალში" დამკვიდრებას აპირებს

ჰოლანდიელის დამსახურება ამაში არც ისე დიდია.

- თვეზე მეტია რაც "სამეფო კლუბში" ჩაირიცხებ, განვილი პერიოდს როგორ შეაფასებდით?

- რაც მთავარიმ ახალი წლის დაწყების შემდეგ გუნდი შედეგადად თამაშობს ამაზე უკეთეს დასაწყისს ვერც ვინაბრებდით. "სანტიაგო ბერნაბეუზე" ჩემი დებიუტი შედგა და აქ თავს ბედნიერად ვგრძნობ. ამჟამად კი თითოეული ჩვენთაგანის ფიქრები მხოლოდ მომავალ თამაშს უკავშირდება.

- წნეხის ქვეშ ხომ არ ხართ, "რეალის" ახალწვეულები ამას ხშირად უჩივიან.

- არა, არანაირი წნეხი. მთავარია მუშაობა განვაგრძო და

საკუთარი შესაძლებლობები საუკეთესო მხრივ წარმოვაჩინო.

- ჩემპიონთა ლიგის მიმდინარე თამაშებში მონაწილეობას ვერ მიიღებთ.

- სამწუხაროდ "რეალს" ახალწვეულების განაცხადში შეყვანის უფლება არ მისცეს და მე ვერაფერს ვიზამ.

- როდესაც "რეალში" გადადიოდით, აცნობიერებდით, რომ შესაძლოა ჩემპიონთა ლიგის განაცხადში ვერ მოხვედრილიყავით?

- როდესაც მადრიდიდან დამირეკეს, დაუფიქრებლად დავთანხმდი შემოთავაზებას. იმ დროს საერთოდ არ მიფიქრია ჩემპიონთა ლიგაზე.

- როგორ გადაიტანეთ პრე-

ზიდენტის ცვლილება?

- ამ საკითხთან დაკავშირებით ბევრი არ ვიცი, რადგან ჯერ უპასუხრი ვაზეთების კითხვა არ შემიძლია. ვფიქრობ მხოლოდ ფეხბურთზე, ჩემს სამუშაოზე მომავალ თამაშებზე.

- ვან ნისტელრომ თუ მოგვითხროს რაიმე რჩევა?

- მან მითხრა, რომ საჭიროა ყველა თამაშში მაქსიმალურად კონცენტრირებული იყო. სწორედ ეს არის მისი წარმატების საიდუმლო.

- თქვენი აზრით რა განსხვავებაა ესპანეთის და ჰოლანდიის ჩემპიონატებს შორის?

- ყველაფერი განსხვავდება ერთმანეთისგან: ენა, ზეწოლა ფეხბურთელებზე... შედარება შეუძლებელია.

რეკორდსმანი "უემბლი"



ტურნირი ჩემპიონთა თასის სახელს ატარებდა და ფინალურ მატჩში "მილანმა" ანგარიშით 2:1 "ბენფიკა" დაამარცხა. "უემბლის" მორიგი ფინალის მასპინ-

ძლობის უფლება ხუთ წელიწადში მისცეს - 1968 წელს ჩემპიონთა თასის ფინალში "მანჩესტერმა" სწორედ "უემბლიზე" დაამარცხა "ბენფიკა".

მომდევნო ფინალიც მალევე გაიმართა - 1971 წელს ევროპის საკლუბო ჩემპიონის ტიტული "უემბლიზე" ამსტერდამის "აიაქსმა" მოიპოვა - ფინალში ბერძნული "პანათინაიკოსი" 2:0 დამარცხა, 1978 წელს კი "ლივერპულმა" მოიგო ჩემპიონთა თასი ლევენდარულ სტადიონზე. უკანასკნელად "უემბლი" 1992 წელს უმასპინძლა ფინალს. მაშინ ტურნირი ჩემპიონთა ლიგის სახელით იყო ცნობილი. იმ ფინალში "ბარსელონამ" რონალდ კუმანის გოლის წყალობით "სამპდორია" დაამარცხა.

მას შემდეგ "უემბლის" სტადიონი თითქმის მთლიანად შეიცვალა. ასე რომ, ჩემპიონთა ლიგის ფინალს განახლებული "უემბლი" უმასპინძლებს.

2009 წლის ჩემპიონთა ლიგის ფინალი იტალიის დედაქალაქ რომში გაიმართება, უეფას თასის ფინალს კი სტამბული ელის.

ბანკების ტენდერის ჩატარების შესახებ

1. საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტროს სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულება საქართველოს სააგრომომბილო გზების დეპარტამენტი (ქ. თბილისი, აღ. ყაზბეგის 12) აცხადებს ტენდერს საერთაშორისო მნიშვნელობის თბილისი-სენაკი-დედოფლის საავტომობილო გზის 294-ე კმ-ზე, ქ. სენაკის ტერიტორიაზე მოძრაობის უსაფრთხოების დონის ამაღლებლად პერიოდული შეკეთების სამუშაოების შესახებ და აქვეყნებს ტენდერში მონაწილეობის მისაღებად ევლად დაინტერესებულ თურთიულ ანდა ფიზიკურ პირებს.

2. სამუშაოების შესრულების ვადა - 2009 წლის განმავლობაში, მსარეებს შორის შეთანხმებული გრაფიკის შესაბამისად.

გასაწევი სამუშაოების შესახებ ხრული ინფორმაცია მოცემულია სატენდერო დოკუმენტაციაში.

3. დაინტერესებულ თურთიულ ანდა ფიზიკურ პირებს სატენდერო დოკუმენტაციის მიღება (ქართულ ენაზე) შეუძლებათ 200 ლარის ოდენობის სატენდერო მისაღებების გადახდის შემდეგ (რეკონსტრუქციის ხარისხის უზრუნველყოფის ანგარიში, ანგარიშის №200122900, მიმღები ბანკი სახელმწიფო სახსნი, ბანკის კოდი: 220101222, საბიუჯეტო შემოსავლის სახსნი კოდი: 302005000, სატენდერო მისაღებები სააგრომომბილო გზების დეპარტამენტისათვის). სატენდერო მისაღებების გადახდამდე დაინტერესებულ თურთიულ ანდა ფიზიკურ პირებს სატენდერო დოკუმენტაციის გაცნობა შეუძლებათ შემოიხილონ ორგანიზაციაში. სატენდერო დოკუმენტაციის, როგორც გარეა, ასევე გაცნობა შესაძლებელია 2009 წლის 31 იანვრიდან 2009 წლის 20 თებერვლის ჩათვლით (სამუშაო დღეებში და საათებში) მისამართზე: საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტროს სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულება, საქართველოს სააგრომომბილო გზების დეპარტამენტი, მე-4 სართული, სახელმწიფო შენობის საპირფარეო.

4. სახელმწიფო შენობების განხორციელების წესის შესახებ დებულებების მე-14 მუხლის მე-2 და მე-3 პუნქტების თანახმად სატენდერო დოკუმენტაციაში მონაწილეობის წინადადების წარმოდგენისა და კონფერენციის გახსნის ალტერნატიული წესი, პრეტენდენტმა უნდა წარმოადგინოს ცალკეულად ორი დასაშვანი კონფერენცია (კონფერენციაზე გაკეთებული შესაბამისი აღნიშვნებით). პირველი კონფერენცია უნდა მოთავსდეს პრეტენდენტის საკვალიფიკაციო მონაცემებისა და ტექნიკური წინადადების დეტალური აღწერის, ხოლო მეორე კონფერენცია მხოლოდ სატენდერო წინადადების, ხარჯთაღრიცხვის და სატენდერო წინადადების უზრუნველყოფის 1%-იანი საბანკო გარანტიის დეტალური აღწერის დასახელებით.

საკვალიფიკაციო მონაცემებისა და სატენდერო წინადადების ქართულ ენაზე წარმოდგენის ვადაა - 2009 წლის 23 თებერვლის 9⁰⁰ საათიდან 18⁰⁰ საათამდე და 2009 წლის 24 თებერვლის 9⁰⁰ საათიდან 12⁰⁰ საათამდე (სამუშაო დღეებში და საათებში).

საკვალიფიკაციო მონაცემები და სატენდერო წინადადებები წარმოდგენილი უნდა იქნას შემდეგ მისამართზე: ქ. თბილისი, აღ. ყაზბეგის 12, საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტროს სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულება საქართველოს სააგრომომბილო გზების დეპარტამენტი, პირველი სართული, საერთო გახილვით.

სახელმწიფო შენობების შესახებ საქართველოს კანონისა და სახელმწიფო შენობების განხორციელების წესის შესახებ დებულებების მოთხოვნების თანახმად დაგეგმვით შემოსულ სატენდერო წინადადებებს დეპარტამენტის სატენდერო კომისია არ განიხილავს და გაუხსნელად დააბრუნებს უკან.

მიღება მხოლოდ თურთიული სტატუსის მქონე პირების განცხადებები.

5. საკვალიფიკაციო მონაცემები უნდა შეიცავდეს შემდეგ ცნობებს და ინფორმაციას:

5.1. თურთიული პირისათვის:

- ა) ადრეული სამუშაოების რეკონსტრუქცია;
- ბ) ხელისმძღვრისათვის გაცემული მინდობილობა, იმ შემთხვევაში, თუ ხელისმძღვრის პირი არ არის წარმომადგენლობითი უფლებამოსილებით აღჭურვილი;
- გ) ცნობა საგადასახადო სამსახურიდან დაგადასახების შესახებ;
- დ) სახელმწიფო შენობების სააგრომომბილო წერილობითი დადასტურება, რომ იგი არ არის შესული შესყიდვებში მონაწილე არაკეთილსინდისიერი პირების, პრეტენდენტებისა და მიმწოდებლების რეესტრში.

5.2. ფიზიკური პირისათვის:

- ა) ცნობა, შესაბამისი უფლებამოსილებით, დოკუმენტური სახელმოწერის დაწესებულებიდან რომ მას მილიანად ან ნაწილობრივ არ აქვს შესრულებული ქვეითუნარიანობა;
- ბ) ცნობა საგადასახადო სამსახურიდან დაგადასახების შესახებ;
- გ) სახელმწიფო შენობების სააგრომომბილო წერილობითი დადასტურება, რომ იგი არ არის შესული შესყიდვებში მონაწილე არაკეთილსინდისიერი პირების, პრეტენდენტებისა და მიმწოდებლების რეესტრში.

5.3. როგორც ფიზიკურ, ისევე თურთიული პირისათვის:

ა) ინფორმაცია სამუშაოების შესასრულებლად საჭირო მანქანა-მექანიზმების, მიწობილობების, დანადგარების და აპარატურის შესახებ.

ტენდერში მონაწილე პრეტენდენტს ტენდერით გათვალისწინებული სამუშაოების შესასრულებლად უნდა გაანდგოს საკუთარი ან საქართველოს სამოქალაქო კოდექსით ნებადართული ან აუკრძალავი ნებისმიერი ფორმით (ქირა, თხოვნა და ა. შ.) თანამედროვე ტექნიკური მოთხოვნების შესაბამისი, სატენდერო დოკუმენტაციაში მოცემული მანქანა-მექანიზმები, მანქანისა და აპარატურა.

შენიშვნა: ინფორმაცია წარმოდგენილი იქნას ქვემოთ მოცემული ცხრილის შესაბამისად და უნდა აკმაყოფილებდეს სატენდერო დოკუმენტაციით მოთხოვნილ პირობებს.

№	მანქანა-მექანიზმების და დანადგარების დასახელება	აღწერილობა, მოდელი, ტიპი, მარკა და ასაკი	რაოდენობა	მდგომარეობა (ახალი, ნახშირი, მოძველებული)	საკუთრება: მფლობელობის ან სარეგულირების ფორმა, ოჯახის შემთხვევაში წარმოდგენილი იქნას შესაბამისი საბანკო ხელშეკრულებები
1 2 და ა.შ.					

ბ) ინფორმაცია პრეტენდენტი პირის მართლად სპეციალისტთა (იმ მართლად ინჟინერ-ტექნიკური პერსონალის, რომელიც დაკავებული იქნება ამ ტენდერით გათვალისწინებულ სამუშაოებზე) კვალიფიკაციის და გამოცდილების შესახებ.

შენიშვნა: ინფორმაცია წარმოდგენილი იქნას ქვემოთ მოცემული ცხრილის შესაბამისად.

თანამდებობა, სპეციალობა	კვარი, სახელი	მუშაობის საერთო გამოცდილება (წელი)	ანალოგიურ სამუშაოებზე გამოცდილება	ბიოგრაფიული მონაცემები (ინსტრუქტის დამთავრების წელი, სპეციალობა დიპლომის მისაღებად, ორგანიზაციების

1	2	და ა.შ.	დასახელება და ამ ორგანიზაციებში დაკავებული თანამდებობები (წლების მხედვით)

გ) ინფორმაცია ტენდერში მონაწილე პრეტენდენტი პირის მიერ, უკანასკნელი 3 (სამი) წლის განმავლობაში შესრულებული ანალოგიური ხასიათის, სიხარისხის და შინაარსის სამუშაოების გამოცდილების შესახებ (3 წლიანი უწყვეტი გამოცდილება სავალდებულო არ არის).

უშუალოდ ტენდერში მონაწილე პრეტენდენტი პირის (ქვეყნის ტერიტორიის გარეშე) გამოცდილება უნდა შეადგენდეს ტენდერით გათვალისწინებულ ანალოგიური ხასიათის, სიხარისხის და შინაარსის სამუშაოების საერთო გამოცდილების არა ნაკლებ 50%.

შენიშვნა: ინფორმაცია წარმოდგენილი იქნას ქვემოთ მოცემული ცხრილის შესაბამისად.

№	სამუშაოს დასახელება (თითოეული ობიექტის დასახელებით)	შესრულებული დასახელება	ხელშეკრულების დირექტორი	შენიშვნა (საკუთრება ხელშეკრულების ახლებს წარმოდგენა, თუ კონფიდენციალური არ არის)
1				
2				
და ა.შ.				

დ) ინფორმაცია ქვეყნის ტერიტორიის მიერ გასაწევი სამუშაოების შესახებ.

- შენიშვნა: ქვეყნის ტერიტორიის ადგილის შესახებ, ინფორმაცია წარმოდგენილი იქნას ქვემოთ მოცემული ცხრილის შესაბამისად.

გასაწევი სამუშაოს ხასი	ქვე-კონტრაქტორი (დასახელება, მისამართი)	ქვე-კონტრაქტორის მიერ ახალიგური სამუშაოების შესრულების გამოცდილება (თითოეული ობიექტი, რომელზეც ქვე-კონტრაქტორს შესრულებული აქვს ანალოგიური სამუშაოები)
1		
2		
და ა.შ.		

- ქვე-კონტრაქტორის შესახებ წარმოდგენილი ინფორმაცია განიხილება პრეტენდენტის საკვალიფიკაციო მონაცემებთან ერთობლიობაში. ქვე-კონტრაქტორის მიერ შესასრულებული სამუშაოების უაღრესი მოცულობა არ უნდა აღემატებოდეს შესასრულებული სამუშაოების მთლიანი მოცულობის 40%.

6. ტენდერში მონაწილე პრეტენდენტს ხელმძღვანელი მის მიერ წარმოდგენილ საკვალიფიკაციო მონაცემების და სატენდერო წინადადების სისუსტეს ადასტურებს თავისი ხელმოწერითა და ბეჭდის დამსთ.

7. ტენდერში მონაწილე პრეტენდენტის მიერ წარმოდგენილი ცნობები და ინფორმაციები დეპარტამენტის სატენდერო კომისიის გადაწყვეტილებით შეიძლება იქნას გადახილვადი ინფორმაციად.

8. საკვალიფიკაციო მონაცემების შეყვანების სატენდერო კომისია ახდენს საკვალიფიკაციო მონაცემების წარმომადგენელ პრეტენდენტის მონაცემების საკვალიფიკაციო მოთხოვნებთან შესაბამისობის დადგენის გზით.

9. სატენდერო განცხადებით მოთხოვნილი ევლად ცნობა და ინფორმაცია გარდა სატენდერო წინადადების უზრუნველყოფის 1%-იანი საბანკო გარანტიის, პრეტენდენტის სატენდერო წინადადების შესრულების დროს ექვემდებარება დაზუსტებას.

10. ტენდერში მონაწილე პრეტენდენტი უნდა გათვალისწინოს საკვალიფიკაციო შერწყმის თუ იგი არ წარმოდგენს მე-5 მუხლში მოცემული ევლად ცნობას და ინფორმაციას, ან რომელიმე მათგანი ევლად აღმოჩნდება.

11. ტენდერში მონაწილე პრეტენდენტის სატენდერო წინადადება უნდა შეიცავდეს სატენდერო დოკუმენტაციის მე-9 მუხლის 9.1 პუნქტით და საბანკო მონაცემებით განსაზღვრულ დოკუმენტებს. შესაძლებელია ალტერნატიული წინადადების წარმოდგენა. ალტერნატიული წინადადება უნდა იყოს დასაბუთებული და ხრულიყოფილი, შესაბამისი ნახაზებით და გაანგარიშებით, წინადადება შემოსევაში დეპარტამენტის სატენდერო კომისიის მიერ ის არ განიხილება.

12. პრეტენდენტმა უნდა წარმოადგინოს სატენდერო წინადადების უზრუნველყოფის საბანკო გარანტია, გაცემული ბანკის ან საქართველოში დოკუმენტურად ხელმძღვანელი კომისიის მიერ. საგარანტო თანხის ოდენობა განისაზღვრება პრეტენდენტის სატენდერო წინადადების დირექტორის ან ნაკლებ 1% ოდენობით. (სატენდერო წინადადების უზრუნველყოფის საბანკო გარანტიის მოქმედების ვადა ძალაში უნდა იყოს 90 დღე დაწყებული 24.02.2009წ.)

13. სატენდერო წინადადების შემოწმის (რომელიც სატენდერო წინადადება დაიწყება შესაფასებლად და რომელიც არა) განხორციელება "სახელმწიფო შენობების განხორციელების წესი შესახებ დებულების" მე-15 მუხლის მე-5 და მე-6 პუნქტების შესაბამისად.

14. გამარჯვებულმა თურთიულმა ანდა ფიზიკურმა პირმა ხელშეკრულების დადებამდე უნდა წარმოადგინოს ხელშეკრულების შესრულების უზრუნველყოფის საბანკო გარანტია. საგარანტო თანხის ოდენობა განისაზღვრება ხელშეკრულების უაღრესი დირექტორის 5% ოდენობით.

15. დამატებითი ინფორმაცია დაინტერესებულ პირებს შეუძლებათ მივიღონ საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტროს სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულება საქართველოს სააგრომომბილო გზების დეპარტამენტის სახელმწიფო შენობის საპირფარეოში, საკონტაქტო ტელეფონი 37.05.08 დამატებით 2.92 გიზო დლიონტი.

საკვალიფიკაციო გზების დეპარტამენტის სატენდერო კომისია

The New York Times offers a "window" to the world



The New York Times & 24 Saati - the global dimension in Georgian press

- Every Tuesday, from 20th of January, the leader of the world press The New York Times with 24 Saati.
- The New York Times selects the articles each week specially for Georgian Reader.
- The best from The New York Times.

"ნიუ-იორკ თაიმსის" საერთაშორისო ყოველკვირეული გამოცემა - International Weekly, წარმოადგენს "ნიუ-იორკ თაიმსის" საინფორმაციო სამსახურის მიერ კვირის განმავლობაში გამოქვეყნებული მასალებიდან შერჩეული საუკეთესო სტატიების, ფოტოების, გრაფიკის ნაკრებს; იგი მზადდება "ნიუ-იორკ თაიმსის" რედაქტორებისა და დიზაინერების მიერ, კაბადონდება ნიუ-იორკში და იგზავნება დასაბეჭდად საქართველოში. ყოველკვირეული ჩანართი სპეციალურად მზადდება "24 საათისთვის", ისევე, როგორც ფრანგული "ლე მონდისთვის", ესპანური "ელ პაისისთვის", გერმანული "ზიუდ დოიჩე ცაიტუნგისთვის", ბრიტანული "ობსერვერისთვის" და ა.შ.

"24 საათი" 2009 წლის იანვრიდან არის "ნიუ-იორკ თაიმსის" კორპორატიული პარტნიორი და უფლება აქვს გამოიყენოს "ნიუ-იორკ თაიმსის" საინფორმაციო, ფოტო და გრაფიკული ბაზა.

A weekly international edition of "The New York Times" - "International Weekly" is a collection of the best articles, photos and graphics selected by "The New York Times" information service out of all materials published during the whole week. It is prepared by "The New York Times" editors and designers, imposed in New York City and sent to Georgia for printing. A weekly insert is specially prepared for "24 Saati" newspaper as well as for French "Le Monde", Spanish "El Pais", German "Sueddeutsche Zeitung", British "Observer", etc.

From January 2009, "24 Saati" newspaper is a corporate partner of "The New York Times" and enjoys the right to use information, photo and graphic base of "The New York Times".

ფინალში ფედერარი ნადალს დაუპირისპირდება

სულ რალაც ორი მატჩი და დასრულდება 2009 წლის პირველი დიდი სლემის ტურნირი, გაირკვევა იმ ჩოგბურთელების ვინაობა, რომლებმაც ავსტრალიის ღია პირველობა მოიგეს.

ქალთა ტურნირში ფინალისტების ვინაობა ხუთშაბათს გაირკვევა, ამავე დღეს ცნობილი გახდა, რომ ვაჟთა ფინალში ითამაშებდა როჯერ ფედერერი, გუშინ კი რაფაელ ნადალისა და ფერნანდო ვერდასკოს ჯახში შვეიცარიელის მეტოქის ვინაობა ირკვეოდა. სანამ მეტოქეში გამართულ ესპანურ დერბიზე გადავიდოდეთ, გუშინ გამართულ ორ ფინალზეც მოგახსენებთ.

ქალებმა წყვილებში გაარკვეეს გამარჯვებულის ვინაობა. დები უილიამსები აი სუგიამა დანიელა ხანტუხოვას წყვილს დაუპირისპირდნენ და ორ სეტში საკმაოდ იოლად იმარჯვეს, ამრიგად სერენამ წყვილებში უკვე მოიპოვა ავსტრალიის ღია პირველობის გამარჯვებულის ტიტული და დღეს დინარა საფინანსოან ჩიდილინი დუბლის გახერხებასაც შეეცდება.

გაირკვა გამარჯვებული შერეულ წყვილებშიც. მირზა-ბუპატის წყვილმა ყოველგვარი პრობლემების გარეშე დაამარცხა ბენესოვა დლორის წყვილი და გამარჯვებულის ტიტულსაც დაეუფლა.

ახლა კი გუშინდელი დღის მთავარ მოვლენაზეც ვთქვათ. ვაჟთა ტურნირში ესპანური დერბი ავსტრალიის ღია პირველობის ნამდვილ მშვენივალ იქცა, ცენტრალურ კორტზე შეკრებილი გულშემატკივარი გულგრილი ნამდვილად ვერ იქნებოდა იმ დაძაბული ბრძოლის შემხედვარე, რომელიც ნადალმა და ვერდასკომ გააჩაღეს.

შეგახსენებთ, რომ ნახევარფინალამდე ნადალი ისე მივიდა სეტიც კი არ ქმონდა ნაგებული და ცხადია ვერდასკოსთან დუპირისპირებაში ფავორიტადაც მსოფლიოს პირვე-



ნადალს ნახევარფინალში ძალიან გაუჭირდა

ლი ჩოგანი მოიაზრებოდა, თუმცა პირველივე სეტმა დაგვანახა, რომ ფერნანდო ვერდასკომ ტიტულთან თანამემამულეს უბრძოლველად არ დანებდებოდა. სრულიად თანაბარ ბერძოლაში მიმდინარე სეტის ბედი ტაიბრეიკზე გადაწყდა, რომელიც ვერდასკომ მოიგო და ტურნირზე პირველი სეტის ნაგება აგემა ნადალს.

დაძაბული ბრძოლა მეორე სეტშიც გაგრძელდა, თუმცა ნადალმა მაინც მოახერხა მეტოქის მოწოდებაზე გეიმის მოგება და სეტში ანგარიშით 6:4 იმარჯვა. მესამე სეტში ორივე ჩოგბურთელი იგებდა გეიმებს საკუთარ მოწოდებაზე და საქმე კვლავ ტაიბრეიკამდე მივიდა, ამჯერად ნადალს გაუმართლა და რაფა სეტებშიც დანიშნაურდა. მეოთხე სეტში ფაქტობრივად არაფერი შეცვლილა, საკუთარ მოწოდებაზე გეიმის ნაგებას არც ერთი ესპანელი არ აპირებდა და ჩოგბურთელებს კვლავ ტაიბრეიკის თამაში დასჭირდათ. თითქოს ნადალს აქ

უკვე საბოლოოდ უნდა გაეტეხა თანამემამულე, მაგრამ ვერდასკომ ტეიბრეიკი უმალეს დონეზე ჩაატარა, ნადალს მხოლოდ ერთი ქულის ალების საშუალება მისცა და სეტებშიც ანგარიში გაათანაბრა.

ამრიგად გამარჯვებულის გამოსავლენად უკვე მეხუთე გადამწყვეტი სეტის გამართვა გახდა საჭირო.

არანაკლებ დაძაბული გამოდგა მეხუთე სეტიც. რვა გეიმი ისე წარიმართა, რომ ჩოგბურთელები საკუთარ მოწოდებას მეტდენენ, შემდეგ ნადალმა ხერ თავის მოწოდებაზე მოიგო გეიმი და ანგარიში 5:4 გახადა ამა კი მეტოქის მოწოდებაც მიაკოლა. აღსანიშნავია, რომ მეათე გეიმში ნადალს სამმაგი მატჩბოლი ქონდა, ვერდასკომ ორის ამოქაჩვა მოახერხა, თუმცა მსოფლიოს პირველმა ჩოგანმა თავისი მაინც გააკეთა და საბოლოოდ მატჩიც მოიგო.

ასე, რომ ვაჟთა ფინალში ერთმანეთის წინააღმდეგ ფედერერი და ნადალი წარსდგებიან, სწორედ ამ ფინალს ელოდა ყველა.

თვალის მიკროქირურგიის

ჯ ა ვ რ ი შ ვ ი ლ ი ს

კლინიკა

"ოფთალმიჯი"

ერთადერთი კლინიკა 8 ფილიალით

და ერთი მოქრავი სამოქრავი

ბლოკით

SLT-ლაზერი

გლაუკომის ქირურგია

ოფთალმოქირურგიაში

ტექნიკის უკანასკნელი მიღწევა

ტელეფონი: 54 53 53; 30 10 80

გააზრავთ სმს ჯეოსელიდან, მაგთიდან, ბილინიდან ნომერზე - 30-30 და 1 ლარით ყოველთვიურად დაეხმარებით მზრუნველობამოკლებულ ბავშვებს. ერთჯერადი დახმარებისათვის დარეკეთ ნომერზე 30-30 და ფონდ ივენანას ანგარიშზე ავტომატურად ჩაირიცხება 1 ლარი.

შეამოგვიერთდით, ერთად დავეუბრუნოთ ბავშვები თავიანთ ოჯახებს!

ფონდი ივენანა
გაზეთი 24 საათი



ჰაიდელბერგცემენტი HEIDELBERGCEMENT

შპს „ჰაიდელბერგცემენტ კაუკასუსი“
აცხადებს ფასთა გამოკითხვას
შემდეგი სახის მომსახურებაზე:

კასპის ცემენტის ქარხნის ტერიტორიაზე N8 ცემენტის სილოსის (8X17) განმენდა (600 ტ. ცემენტისაგან) და სახურავის ბეტონით დაფარვა.

წინადადებები მოგვანოდეთ შემდეგ მისამართზე:

შპს „ჰაიდელბერგცემენტ კაუკასუსი“

წინამძღვრიშვილის ქ. N 90

ტელ: +995 77 57 75 12;

+995 32 47 47 47

ელ. ფოსტა: tamriko.darakhvelidze@heidelbergcement.com

თამარ დარახველიძე

წინადადებების მიღების ბოლო ვადაა: 2009 წლის 6 თებერვალი.

ლაგოდების მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2009 წლის 30 იანვრის განკარგულების (N4) საფუძველზე, საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 38-ე მუხლის შესაბამისად დაიწყო არასამენარმეო /არაკომერციული/ იურიდიული პირის „მოქალაქეთა მომსახურების ბიუროს“ ლიკვიდაცია.

ჩვენი მისამართია: ქ.ლაგოდეხი, ქიზიყის ქ. N25;

საკონტაქტო ტელეფონები: 2-33-64; 895-36-58-85 არასამენარმეო /არაკომერციული/ იურიდიული პირის „მოქალაქეთა მომსახურების ბიუროს“ ლიკვიდატორი თეა მეტრეველი.

ლაგოდების მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2009 წლის 30 იანვრის განკარგულების (N5) საფუძველზე, საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 38-ე მუხლის შესაბამისად დაიწყო არასამენარმეო /არაკომერციული/ იურიდიული პირის „კომპლექსური სასპორტო სკოლის“ ლიკვიდაცია.

ჩვენი მისამართია: ქ.ლაგოდეხი, მ.კოსტავას ქ. N4;

საკონტაქტო ტელეფონები: 899-21-50-13 არასამენარმეო /არაკომერციული/ იურიდიული პირის „კომპლექსური სასპორტო სკოლის“ ლიკვიდატორი ლაშა ჯიბლაძე.

31.01.2009 წ.

განცხადება ტენდერის ჩატარების შესახებ

1. დმანისის მუნიციპალიტეტის გამგეობა (ქ. დმანისი წმინდა ნინოს ქ. N41, (საიდენტიფიკაციო კოდი N228928391, სახალხო ბანკის დმანისის ფილიალის კოდი N220101425, ა.ა. N1313033030001)) აცხადებს ტენდერს სამ ლოტად საავტომობილო ტექნიკის და ნაგვის ურნების შესყიდვაზე:

ლოტი I - ერთი ცალი, ახალი, მაღალი გამავლობის მსუბუქი ავტომანქანა, პიკაპის ტიპის, ძრავის მოცულობა 2.8 - 3.0 მ3, დიზელი.

ლოტი II - ოთხი ცალი ახალი სამგზავრო ავტომობილი 20 - 30 ადგილიანი, საქალაქთაშორისო ტიპის, ცალხიდიანი (2X4) დიზელის ძრავით.

ლოტი III - მყარი ნარჩენებისათვის 200 ცალი (დიდი და პატარა) ბუნკერი.

2. დაფინანსების წყარო 2009 წლის ადგილობრივი ბიუჯეტი;

3. საქონლის მიწოდების ვადა 2009 წელი განმარტობის მხარეების შორის შეთანხმებული ბრავიკის შესაბამისად.

4. შესასყიდი საქონლის შესახებ სრული ინფორმაცია მოცემულია სატენდერო დოკუმენტაციაში

5. დაინტერესებულ იურიდიულ ან/და ფიზიკურ პირებს სატენდერო დოკუმენტაციის მიღება (ქართულ ენაზე) შეუძლიათ 200 ლარის ოდენობის სატენდერო მოსაკრებელი გადახდის შემდეგ (რეკვეზიტებზე: სახაზინო ერთიანი ანგარიში, ანგარიშის N200122900, მიმღები ბანკი - სახელმწიფო ხაზინა, ბანკის კოდი N220101222, საბიუჯეტო შემოსავლის სახაზინო კოდი N300073174), 2009 წლის 31 იანვრიდან 20 თებერვლის ჩათვლით (სამუშაო დღეებში და საათებში) მისამართზე: ქ. დმანისი წმინდა ნინოს ქ. N41 დმანისის მუნიციპალიტეტის გამგეობა პირველი სართული საფინანსო-საბიუჯეტო სამსახური.

6. პრეტენდენტის საკვალიფიკაციო მონაცემები და სატენდერო წინადადებები ქართულ ენაზე უნდა წარმოადგინონ დალუქულ კონვერტში 2009 წ. 20 თებერვალს 9 საათიდან 16 საათამდე, ორ ეგზემპლარად (ერთი დედანა და მეორე ასლი) შემდეგ მისამართზე ქ. დმანისი წმინდა ნინოს ქ. N41 დმანისის მუნიციპალიტეტის გამგეობა მე-3 სართული კანცელარია.

7. სატენდერო წინადადების გახსნა მოხდება პრეტენდენტთა თანდასწრებით. სატენდერო წინადადების მიღების დასრულებისთანავე 2009 წლის 20 თებერვალს 16 საათზე ზემო აღნიშნულ მისამართზე

8. საკვალიფიკაციო მონაცემები უნდა შეიცავდეს შემდეგ ცნობებსა და ინფორმაციას:

8.1 იურიდიული პირისათვის:

ა) ცნობა, რომ არ ხორციელდება იურიდიული პირის რეორგანიზაცია ან ლიკვიდაცია მის მიერ არ მიმდინარეობს გაკოტრება ან სანაციის საქმის წარმოება;

ბ) ცნობა შ.ს. სამინისტროს საინფორმაციო ცენტრიდან, რომ მისი ხელმძღვანელი უკანასკნელი 5 წლის განმავლობაში არ იყო მსჯავრდებული და მოცემულ მომენტში მის მიმართ არ მიმდინარეობს სისხლის სამართლის საქმე ეკონომიკურ ან სამსახურებრივ საქმიანობასთან დაკავშირებული დანაშაულისათვის.

გ) ამონაწერი სამენარმეო რეესტრიდან

დ) ცნობა რომ მის ქონებაზე არ არის დადებული ყადაღა.

8.2 ფიზიკური პირისათვის

ა) პირადობის დამადასტურებელი მოწმობების ასლები;

ბ) ცნობა შესაბამისი უფლებამოსილი სამედიცინო დაწესებულებიდან, რომ მას მთლიანად ან ნაწილობრივ არა აქვს შეზღუდული ქმედუნარიანობა;

გ) ცნობა რომ მის მიერ არ ხორციელდება გაკოტრების საქმე.

8.3 როგორც იურიდიული ასევე ფიზიკურ პირთათვის:

გ) ორგანიზაციის ან ფიზიკური პირის დასახელება, იურიდიული მისამართი, ტელეფონი, ფაქსი, საბანკო რეკვიზიტები, ხელმძღვანელის ან ხელმძღვანელების სახელი და გვარი;

დ) ცნობა საგადასახადო ინსპექციიდან საბიუჯეტო დავალიანების შესახებ;

სატენდერო წინადადება არ ჩაითვლება მისაღებად და არ დაიშვება შეფასებისათვის, თუ პრეტენდენტი დადგენილ ვადებში არ წარმოადგენს მე-8 მუხლში მოცემული ყველა ცნობასა და ინფორმაციას, ან რომელიმე მათგანი ყალბი აღმოჩნდება.

9. მე-8 მუხლით გათვალისწინებული მოთხოვნები და საბაზისო მონაცემებით გასაზღვრული დოკუმენტები შემდგომ დაზუსტებას არ ექვემდებარება.

10. იურიდიულ და ფიზიკურ პირებს აქვთ უფლება გაეცნონ სატენდერო დოკუმენტაციას სატენდერო მოსაკრებლის გადახდამდე.

11. პრეტენდენტებმა უნდა წარმოადგინონ სატენდერო წინადადების უზრუნველყოფის საბანკო გარანტია, გაცემული ბანკის ან საქართველოში ლიცენზირებული სადაზღვეო კომპანიის მიერ. საგარანტო თანხის ოდენობა განისაზღვრება პრეტენდენტის სატენდერო წინადადების ღირებულების არა ნაკლები 1% ოდენობით (სატენდერო წინადადების უზრუნველყოფის საბანკო გარანტიის მოქმედების ვადა ძალაში უნდა იყოს 90 დღე, დაწესებული 2009 წ. 20 თებერვლიდან.

12. სატენდერო წინადადების შერჩევა (რომელი სატენდერო წინადადება დაიშვება შესაფასებლად და რომელი არა), განხორციელდება „სახელმწიფო შესყიდვების განხორციელების წესის შესახებ დებულების“ მე-15 მუხლის მე-5 და მე-6 პუნქტის შესაბამისად.

13. გამარჯვებულმა იურიდიულმა ან/და ფიზიკურმა პირმა ხელშეკრულების დადებამდე უნდა წარმოადგინოს ხელშეკრულების შესრულების უზრუნველყოფის საბანკო გარანტია, გაცემული ბანკის ან საქართველოში ლიცენზირებული სადაზღვეო კომპანიის მიერ. საგარანტო თანხის ოდენობა განისაზღვრება ხელშეკრულების ჯამური ღირებულების 5% ოდენობით.

ტენდერის შესახებ დამატებითი ინფორმაციისათვის დაინტერესებულ პირებს შეუძლიათ მიმართონ შემდეგ მისამართზე:

ქ. დმანისი წმინდა ნინოს ქ. N41. დმანისის მუნიციპალიტეტის გამგეობა. სატენდერო კომისია ან სატენდერო კომისიის აპარატი ტ - 8 260 2 16 16.

საკონტაქტო პირი ზაქარია მენთეაშვილი

დამატება ტენდერის ჩატარების შესახებ განცხადებაში

შეტანილი იქნეს ცვლილება აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს მიერ 2009 წლის 16 იანვარს გაზეთ „24 საათში“ „ინკურაბელურ პაციენტთა პალიატიური სამედიცინო დახმარების კომპონენტის“ შესყიდვის მიზნით გამოქვეყნებულ განცხადებაში ტენდერის ჩატარების შესახებ და დაემატოს:

პუნქტი 18 - ტენდერში მონაწილეობის მსურველ პირებს სატენდერო მოსაკრებლის გადახდამდე უფლება აქვთ გაეცნონ სატენდერო დოკუმენტაციას შემსყიდველ ორგანიზაციაში.

პუნქტი 19 - ტენდერში მონაწილეობის მსურველი პირების მიერ განცხადების მე-7 პუნქტის შესაბამისად წარმოდგენილი საკვალიფიკაციო მონაცემების დამადასტურებელი დოკუმენტები საკვალიფიკაციო შერჩევის დროს შემდგომ დაზუსტებას არ ექვემდებარება.

დამატება ტენდერის ჩატარების შესახებ განცხადებაში

შეტანილი იქნეს ცვლილება აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს მიერ 2009 წლის 16 იანვარს გაზეთ „24 საათში“ „რესურსტევადი, მაღალტექნოლოგიური (გულის ქირურგიის) სამედიცინო მომსახურების კომპონენტის“ შესყიდვის მიზნით გამოქვეყნებულ განცხადებაში საერთაშორისო ტენდერის ჩატარების შესახებ და დაემატოს:

ბის შესახებ და დაემატოს:

პუნქტი 18 - ტენდერში მონაწილეობის მსურველ პირებს სატენდერო მოსაკრებლის გადახდამდე უფლება აქვთ გაეცნონ სატენდერო დოკუმენტაციას შემსყიდველ ორგანიზაციაში.

პუნქტი 19 - ტენდერში მონაწილეობის მსურველი პირების მიერ განცხადების მე-7 პუნქტის შესაბამისად წარმოდგენილი საკვალიფიკაციო მონაცემების დამადასტურებელი დოკუმენტები საკვალიფიკაციო შერჩევის დროს შემდგომ დაზუსტებას არ ექვემდებარება.

დამატება ტენდერის ჩატარების შესახებ განცხადებაში

შეტანილი იქნეს ცვლილება აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს მიერ 2009 წლის 16 იანვარს გაზეთ „24 საათში“ „დამატებითი სამედიცინო დახმარების კომპონენტის“ შესყიდვის მიზნით გამოქვეყნებულ განცხადებაში საერთაშორისო ტენდერის ჩატარების შესახებ და დაემატოს:

პუნქტი 18 - ტენდერში მონაწილეობის მსურველ პირებს სატენდერო მოსაკრებლის გადახდამდე უფლება აქვთ გაეცნონ სატენდერო დოკუმენტაციას შემსყიდველ ორგანიზაციაში.

პუნქტი 19 - ტენდერში მონაწილეობის მსურველი პირების მიერ განცხადების მე-7 პუნქტის შესაბამისად წარმოდგენილი საკვალიფიკაციო მონაცემების დამადასტურებელი დოკუმენტები საკვალიფიკაციო შერჩევის დროს შემდგომ დაზუსტებას არ ექვემდებარება.



ბანცხალება ტენდერის ჩატარების შესახებ

1. ქალაქ თბილისის დიდუბე-ჩუღურეთის რაიონის გამგეობა აცხადებს ტენდერს რაიონის ტერიტორიაზე არსებული სკოლამდელი დაწესებულებებისათვის და სმენადაქვეითებულ ბავშვთა სადღეღამისო ბაგა-ბაღისათვის კვების პროდუქტების მიწოდების სახელმწიფო შესყიდვაზე 5 ლოტად და ინვესტ ტენდერში მონაწილეობის მისაღებად ყველა დაინტერესებულ პირს.

- ლოტი N1 - ბაკალეა;
- ლოტი N2 - რძის პროდუქტი;
- ლოტი N3 - პურ-ფუნთუშეული;
- ლოტი N4 - ბოსტნეული და ხილი;
- ლოტი N5 - ხორცი და თევზი;

რაიონის ტერიტორიაზე არსებულ 16 სკოლამდელი დაწესებულების 3031 აღსაზრდელისთვის კვების პროდუქტების სავარაუდო რაოდენობა და მიწოდების პერიოდულობა განისაზღვრება სატენდერო დოკუმენტაციის პაკეტით.

2. მიწოდების სავალდებულო ვადაა **2009 წლის 01 მარტიდან - 2009 წლის 01 სექტემბრამდე;**

3. დაინტერესებულმა პირებმა განაცხადი ტენდერში მონაწილეობის სურვილის შესახებ, საკვალიფიკაციო მონაცემები და სატენდერო წინადადება, სატენდერო კომისიის აპარატს უნდა წარმოუდგინოს ერთად, ერთ დალუქულ კონვერტში, შედგენილი ქართულ ენაზე (დედნის სახით ან ნოტარიულად დამოწმებული ასლი) 2009 წლის 24 თებერვლის 11 საათიდან 2009 წლის 24 თებერვლის 16 საათამდე მისამართზე: დავით აღმაშენებლის გამზირი N140ა, დიდუბე-ჩუღურეთის რაიონის გამგეობა.

4. საკვალიფიკაციო მონაცემები უნდა აკმაყოფილებდეს შემდეგ მოთხოვნებს:

4.1 იურიდიული პირისათვის:

ა) ცნობა, რომ არ ხორციელდება იურიდიული პირის რეორგანიზაცია ან ლიკვიდაცია (ცნობა წარმოდგენილი უნდა იქნას საგადასახადო ინსპექციიდან იურიდიული პირის რეგისტრაციის ადგილის მიხედვით);

ბ) ცნობა, რომ არ მიმდინარეობს იურიდიული პირის გაკოტრების ან რეაბილიტაციის საქმის წარმოება (ცნობა წარმოდგენილი ინდა იქნას სასამართლოდან);

გ) ცნობა იურიდიული პირის ქონებაზე ყადაღის არარსებობის შესახებ (ცნობა წარმოდგენილი უნდა იქნას საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს ადგილობრივი ორგანოს მიერ);

4.2 ფიზიკური პირისათვის:

ა) ცნობას შესაბამისად უფლებამოსილი სამედიცინო დაწესებულებიდან, რომ ფიზიკური პირი ქმედითუნარიანია;

ბ) ცნობას სასამართლოდან, რომ მის მიმართ არ მიმდინარეობს გაკოტრების საქმის წარმოება;

4.3 როგორც ფიზიკური, ასევე იურიდიული პირისათვის:

ა) ცნობა საგადასახადო ინსპექციიდან, რეესტრაციის ადგილის მიხედვით, ბიუჯეტის წინაშე დავალიანების არარსებობის შესახებ;

